

504
1937
61

(1)

—
—

7

5



მასალები

საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

ნაცვლი I выпуск

ტბილისი
1937

სამსახური
თბილისი

3649

მარკები

საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

ნავეთი | ВЫПУСК

15.809
3



სსრ მთავრობათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემობა

ტბილისი

1937

ТБИЛИСИ

ପାଠୀକାରୀ କୁଳାଙ୍ଗ ମହିନାରେ ପାଠୀକାରୀ କୁଳାଙ୍ଗ
ପାଠୀକାରୀ କୁଳାଙ୍ଗ ମହିନାରେ ପାଠୀକାରୀ କୁଳାଙ୍ଗ

ପ/ରୁଦ୍ର. ସ. ପ୍ରମାଣାଶିଳ

୬. ଧୋରଣେଶ୍ୱରଲୀ

ଓହନ୍ତିରୁଦ୍ଧାରାଲୁହି ଶର୍ମିତିରୁହରିତିରୁଧିରାଜ XV ରାଜ୍ୟରେଶୀ

(ଲୋକଶ୍ରେଣ୍ଟଗ୍ରେଡି କରିତିକ୍ରମିତିରୁଲୀ ବିରାଳିତିରୁତ୍ତି)

XV საუკუნის 80-ან წლებში ზევდგინიძე-ამილახორთა სახლში ბიძა-ძმისწულის შორის სამამულო უთანხმოება ატყდა.

ზევდგინ ზევდგინიძის შვილი ავთანდილ (თუ გუარამ) უჩიეის თავის „ძმის“-წულს, ამირინდო ამილახორის შვილს, ზაალს. „ძმის“-წული „ბიძას“ მამულის უდიდესს ნაწილს ეცილება იმ საბუთით, რომ მამა მისი, ამირინდო ამილახორი, ნაშვილები ჰყავდა თაყა ამილახორს, ავთანდილის „ბიძას“, და ზაალის პაპის ბიძაშვილს.

უთანხმოების მოსაწესრიგებლად შემდგარ დარბაზს „ბიძა“-„ძმის-წული“-ორივენი თავთავიანთ უფლებათა დამსაფუძვლებელ მოხსენებებს მიართმევენ. სამწუხაროდ, ზაალის მოხსენება არ შენახულა, მაგრამ, რომ ასეთი არსებობდა, ეს ავთანდილის (თუ გუარამის) მოხსენებიდან უდავოდ ჩანს.

ავთანდილის (თუ გუარამის) წინაშე ორი ამოცანაა: 1. უნდა და-ამტკიცოს საგვარეულო ქონების „მკვიდრობა“ და 2. უნდა გააბათი-ლოს თაყა ამილახორის მიერ ავთანდილის (თუ გუარამის) „ძმის“, ამირინდოს ნაშვილეობის კანონიერება. (ნაშვილეობის საბუთი, როგორც ჩანს, დარბაზისათვის წარუდგენია ზაალს).

ავთანდილსაც (თუ გუარამს) მოხსენება ამისდა მიხედვით შეუდგენია.

მოხსენების ავტორი ქრონოლოგიური თანდათანობის დაცვით ასწერს, თუ რომელი ქონება, — როდის, ვისგან და როგორის წესით რომელმა ზევდგინიძის გვარის შვილმა შესძინა ზევდგინიძის სახლს, ე. ი. როგორ შეიქმნა ის საგვარეულო „მამული“, რომლის გარშემო ეხლა სახლისკაც შორის უთანხმოებაა ჩამოვარდნილი.

იწყებს ავთანდილ (თუ გუარამ) სხვილოსის „შოვნით“ ზევდგინიძის მიერ. სამწუხაროდ, საბუთის დაზიანებულობა საშუალებას არ იძლევა ამ მოვლენის დროისა და გარემოების ზედმიწევნით გასათვალისწინებლად.

„მეფე“ (გიორგი?) „ოვსეთით“ მოსულა. მას სხვილოსი [„სხუილოსნი?“] ამოწყვეტილი („ამოწყვედილი“) დახვედრია. ავთანდილს



(თუ გუარამს) აქ, ბუნებრივია, სხვილოსის მქონებელთა ამოწყვეტილობა
ე. ი. მისი უმკვიდროდ ქმნა (მარობითი სქესის გადავლინება) აიხ-
ტერესებს და ამას აღნიშვნას.

სხვილოსის ძველ მქონებელთაგან ორი ქალი გადარჩენილა, რო-
მელთაგან ერთი კოჭლი ყოფილა.

ამოწყვეტილ ყმისადმი კეთილდად განწყობილმა პატრონმა (გიორ-
გი მეფემ?) თანახმად ფეოდალურ სამამულო მემკვიდრეობის წესისა
კოჭლ ქალს ქმარი შერთო და ამ ქალის მამეული ქონება მის ქმარს
დაუმკვიდრა (მეორე ქალი, არაკოჭლი, ჩანს, გარე გაათხოვა).

კოჭლი ქალის ქმრობა ზევდგინიძეთა წინაპარმა ისურვა, რომელ-
მაც, ამრიგად, სხვილოსი ნამზითვად მიიღო.

ამ დასიდებულის სახელი აქ შემონახული არაა. შეიძლება ეს სა-
ბუთის დაზიანებულობით აიხსნებოდეს.

შემდგომი „მამული“, რომელიც ზევდგინიძიანთ საგვარეულო გა-
დმოცემით ამ გვარმა სამკვიდროდ იშოვნა, ეს იყო სოფელი „ახალ-
ციხე სამოცი კუამლი“ კაცით და „მღუმიერ მისითა შესავალითა სა-
საფლაოდ“. ორივე ეს („და ხუთი დახატული ჩარდახი“) ზევდგინი-
ძიანთ წინაპარმა ნასისხლად მიიღო გიორგი მეფისაგან.

ეს ამბავი შემდევ გარემოებაში მომხდარა: გიორგი მეფემ (თა-
თართა წინააღმდეგ) გაიღაშქრა. იქ ზევდგინიძიანთ ოცდა ცხრა კაცი
მოკვდა, ხოლო ერთი ტყევედ ჩაუვარდა თათრებს. აქ მეფეს, რო-
გორც ჩანს, დამარცხებია* და ათაბაგსა „აღბულას თათარნი მო-
უკდეს“. აღბულას ტყევედ ჩავარდნია „თავადი თათარი“ და ტყევე-
ზევდგინიძე იმით დაუხსნია და ზევდგინიძეც თავის მკვიდრ მამულზედ

* საბუთის დაზიანებულობის გამო ძნელია დარწმუნებით თქმა: ერთი და
იგივე მეფეუ „ოვსეთით“ რომ მოვიდა და „თათართა გაიღაშქრა“, თუ ესენი სხვა-
დასხვა პირია და მათ შორის „გამოვიდა დიდი ხანი“? უკანასკნელის სასარგებ-
ლოდ თითქო ის გარემოება ლაპარაკობს, რომ თათრებთან ომში ზევდგინიძიანთ
ოცდა ცხრა კაცი მოკვდა და ერთიც ტყევედ ჩავარდა. უკანასკნელი, როგორც ეს
მოხსენების დანარჩენიდან ჩანს, პირდაპირი წინაპარია ავთანდილის (თუ გუარა-
მის). მაგრამ ის ხომ ერთი ოცდათათაგანია ავთანდილის (თუ გუარამის) იმ „გუა-
რის კაცთა“, რომელნიც გიორგი მეფეს ახლდნენ თათართა წინააღმდეგ ლა-
შქრობაში.

ასე რომ, ყველა ესენი იმ სხვილოსის მიმღებ ზევდგინიძის ჩამომავლად წარ-
მოუდგნია მომხსენებელს.

და მართლაც, თუ ასე არა, ამბავი იმ ოცდა ცხრა „გუარის კაცის“ სიკვდილ-
ზე უადგილო და აქ არაფერი მოსატანი ეპიზოდი იქნებოდა: ის ვერაფერს შექ-
მატებდა ვერც სხვილოსის და ვერც სხვა საგვარეულო ქონების სიმტკიცეს.

მაშ, გამოდის, რომ ყველა ეს ოცდათო ზევდგინიძე ჩამომავლია იმ სხვილო-
სის მიმღებ ზევდგინიძისა. ხოლო ერთი ადამიანისგან ოცდა ათი კაცის შთამო-



მოსულა. თათრებთან დამარცხების (თუ მეფე-უფლისწულთა ბრძოლის) შედეგად ლტოლვილი მეფე გიორგი ძლიერ ყმას, ათაბაგ „აღმულას შეეხუეშა“ (ე. ი. აქ შეაფარა თავი).

აქ მეფის წინააღმდეგ შეთქმულება ეწყობა. შეთქმულებას ზევდგინიძესაც გაანდობენ. ვინ არის შეთქმულების ინიციატორი არა ჩანს: ტექსტი ნაკლულია. შეთქმულთ მიზანია: „მეფე კელთა შევიპყრათ და ქართლი ჩუენ დაგურჩებისო“.

ზევდგინიძემ საფრთხე არ დაუმალა მეფეს და პაემანის ღამეს თვით დაწვა მეფის საგებელში. შეთქმულნი მეფის მოსაკლავად მივიღნენ. მეფის საგებელში მწოლი „მწოვედ დაკოდეს“, „და ჩახან ეს იცნეს, რომე ზევდგინიძე არისო, აღარ მოკლეს“. ასეთ ერთგულობის სამაგიეროდ მეფემ ზევდგინიძეს ნასისხლად მისცა „ახალციხე სამოცი კუამლი“ კაცით და „მღუიმე მისითა შესავლითა სასაფლაოდ“.

თავის მოხსენების ამ ნაწილის დასასრულს ავთანდილს მოჰყავს ზევდგინიძიანთ წინაპართა სია XIV საუკუნეში. ტექსტის ნაკლულევანობის გამო სიის უცკველობით აღდგენა შეუძლებელია. გადარჩენილია: „...მამისა და თაყა მამისას შვილი, თაყას შვილი ავთანდილ და ჯანიბეგ“.

პირველი ამათგანი, ეს არის კოჭლ ქალზე დასიძებული და „ზევდგინისტე“—თა გვარის ფუქემდებელი. მისი შვილი ყოფილა მამისა, რომლის შვილი თაყა არის ის, ვინც ნასისხლად მიიღო XIV საუკუნის 70—80-ან წლებში ახალციხე და მღვიმე.

ამ თაყას ჰყოლია შვილები ავთანდილ და ჯანიბეგ. ესენი ალექსანდრე მეფის (1412—1442 წ.) უფროსი თანამედროვენი იყვნენ. ჯანიბეგ შეიძლება იყოს თემურ-ლევისის წინააღმდეგ ბრძოლაში განთქმული პირი. ავთანდილ კი 1429 წელშიაც ცოცხლად მოხსენიება. ის ამ დროს

მავლობის მიღება, თუნდაც ფეოდალის სახლში, ორ თაობის დროს მაინც მოითხოვს.

ასეთ გაგებისას ჩეენ მეფის „ოცხეთით“ მოსვლა შეგვეძლო XIV საუკუნის პირველ მეოთხედში გვეცვლისხმა, როცა ოსთა ქართლში ჩამოსახლებასთან და-კავშირებით ოს-ქართველთა შორის ხანგრძლივი ბრძოლა იყო გამართული. სხვილოსის ამოწყვეტისა და ოსეთში ლაშქრობის ერთად ნაგულისხმევობა ასთა წინააღმდეგ ქართლში ბრძოლის დამთავრებას და თვით ასეთში შეტევას გვიჩვენებს. ეს კი უდგება გიორგი VI დროს, როცა ამ უკანასკნელმა ოსნი „განასხნა და აღვენერნა“ (ქ'ცა I, 227).

ჩეენი საბუთის მეორე გიორგი მეფე, თათრებშედ რომ ლაშქრობს, როგორც მოხსენებიდან ჩანს, „დიდი აღმულას“ თანამედროვეა. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს დიდი აღმულა არის სჯულმდებელი ათაბაგი აღმულა, XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე.



ეზოს ჩუხჩარებია და გორის მოურავი (საქ. სიძ. III, 10) * განვითარებული გიორგი მეფის წინააღმდეგ შეთქმულებისა და ზევდგინვების თავგანწირვისა აქამდის ჩვენს ისტორიაში XV საუკუნის სამოცაან წლებში იყო ნაგულისხმევი. (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, 305; თ. ეროდანია, ქრონიკები II, 284; პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, IV, 90—91 და ამილახორთა გვარის შესახებ მონოგრაფიის ავტორი, ამ საბუთების შემკრები პ. კარბელაშვილი, ივერია, 1891, № 237 და „ძველი საქართველო“ II, 106—107). ავთანდილ ზევდგინვები კი ამ ამბავს XIV საუკუნეში ჰგულისხმობს. ჩვენ საბუთი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მის ცნობაში. მისი მოხსენების მიზანი და ამ მოხსენების წარდგენის აღგილი და დრო ასეთი ეჭვის უფლებას არ გვაძლევს.

XV საუკუნის ოთხმოცაან წლების დარბაისელთ, რომელთაც ავთანდილის მოხსენება უნდა განეხილათ, კარგად ახსოვდათ აღნიშნულ საუკუნის მეორე ნახევრის ამბები (ვინმე ზაქარია მისი პირველ ნახევრის ამბების ე. ი. ალექსანდრე მეფის ხანის მომსწრე და მახსოვრი იყო), რომ მომხსენებელს შესძლებოდა ამ დროს მომხდარი ამბავი განხრას მთელი საუკუნით დაეძველებინა.

მომხსენებელი, როგორც ეს სხვა მისივე საბუთებიდან ჩანს, არა-ერთხელ დაიმოწმებს ხოლმე დარბაზის წევრო მის მიერ მონათხრობ ამა თუ იმ ფაქტის დასამტკიცებლად.

თავის მოხსენების ეს ნაწილი ავთანდილს (თუ გუარამს) ზევდგინიდანთ სახლის რალაც წერილობით წყაროდან შეიძლება ჰქონდეს ამოლებული. მოთხრობის ხასიათი და დეტალები თითქო ამას მოწ-

* აქ მოყვანილ გენეალოგიურ სიას შეიძლება ამოწმებდეს „ჯუარის მონასტრის აღაპებში“ შეტანილ მოსახსენებელთა სია:

სულსა მეფეთ მეფისა ალექსანდრეს შეს ღრ

სულსა ზევდგენიდის ჩანიბეგისა შეს ღრ

” ” ავთანდილს და მის მეუღლესა გლბრს შეს ღრ

” ” მამისასა და თაყასა შეს ღრ

(იხ. აღაპე ჯუარის მონასტრისანი, XXVIII).

რომ ამ მოსახსენებელთა ჯანიბეგ და ავთანდილ ზემო მოხსენებული პირები არიან, ეს საეჭვო არ უნდა იყოს. მამისა და თაყა კი შეძლება იყვნენ არა მათი მამა და პაპა, არამედ ჯანიბეგის შვილები. მართლაც, მამისას ასახელებს ერთხელ მოხსენების ავტორი თავის ბიძად. თუ ის თაყა ამილახორის ძმა იყო, მაშინ ზევდგინის ძმაც ყოფილა და ავთანდილის (თუ გუარამის) ბიძა. მამისას „ახალცახა ჰქონდა“, რომელიც მას წართვა ავთანდილმა (თუ გუარამის). მამისა ზევდგინდებ თავის მეუღლე გულქანით 1475 წელს იხსენიება (შიო მღ. საბ., 75).

მობს. ყოველ შემთხვევაში ეს არაა ოფიციალურ დოკუმენტების [სიზღვარის გელთა] ენა.

ამის შემდეგ მართლაც შეიძლება დავეთანხმოთ განსც. თ. უორდანიას და თაყა ზევდგინიძე, რომელიც ეკვდერს აიგებს შიო მღვიმეში, XV საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილ თაყა ზევდგინიძეს გავუიგივეოთ. საბუთში ჩვენს უურადღებას იპყრობს თაყას გამონათქვამი. ცალკე თავისთვის ექვდრის ავებას თაყა იმით ასაბუთებს, რომ შიომღვიმეში, სადაც „პირველ ჩუენნი მამანი და საფლავებულ იქმნეს, მათთანა დასაფლავებად... ვერ მკადრე ვიქმენ და ცალკე ახალი ექუდერი ავაგე“-ის (იხ. შიო მღ. საბბი, 72). თაყას გამონათქვამი: „პირველ ჩუენნი მამანი დასაფლავებულ იქმნეს“ პნიშნავს, რომ ზევდგინიძიანთ გვარის მამანი უკვე დიდი ხანია („პირველ“) შიომღვიმეში იმარხებიან. მართლაც და, თუ, მოხსენების ჩვენი გაგების თანახმად, შიომღვიმე ზევდგინიძეს ნასისხლად მისცეს სასაფლაოდ. XV საუკუნის პირველ ნახევარში თაყა ზევდგინიძეს ასეთი გამონათქვამი შეეძლო ეხმარა: ამ დროს იქ დასაფლავებული უნდა ყოფილიყვნენ თაყას მამა ჯანიბევ, ბიძა ავთანდილ და პაპა თაყა*.

* სამწუხაროდ, თ. უორდანიას მის მიერ გამოცემული ძეგლი სრულიად არ აუწერია. შეუძლიერებია კიდევც. ასე რომ დღეს, როცა ეს „ტყავზედ მხედრულად ნაწერი“ დედანი აღარა ჩანს, მისი დათარიღება მეტად ძნელდება. ამ საბუთში შეიძლება დამთარიღებელ მომენტებად გამოდგნენ შემწირველისა და მისი მეუღლის სახელები. XVI საუკუნის პირველ ნახევრამდის ჩვენ სულ სამი თაყა ზევდგინიძე გვხვდება. მესამე მათგანი, ამილახორი, ჩანს 1513 და 1523 წლებში (ქრ. II, 332; ისტ. საბ. III, 52).

ეს ამილახორი არ უნდა იყოს ჩვენი საბუთის თაყა: ამის მეუღლეა ფანასკერ-ტელის ქალი ულუმბია, ხოლო ჩვენი საბუთის თაყას მეუღლე ვინოვ მამქანია; 2. თაყა ამილახორსა და ულუმბიას მრავალი შეიღები ჰყავთ, ჩვენი საბუთის თაყა და მამქანი კი თითქო უშვილო ჩანან; 3. დავით მეფის თანამედროვე თაყა ამილახორობით იხსენიება, ჩვენი საბუთის თაყა კი რამე პატივს არ ატარებს.

ცალკ-ცალკე აღებული არც ერთი ამ საბუთთაგანი, რაოგანა უნდა, გადამწყვეტი არ არის, მაგრამ ყველა ერთად თითქო ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს:

ასევე, ვფიქრობთ, ჩვენი საბუთის ავტორი არ უნდა იყოს თაყა მამისაძე, ავთანდილისა და ჯანიბევის მამა. ჯანიბევ და ავთანდილ, უპეველია, ალექსანდრე მეფის უფროსი თანამედროვენია. ამაში გვარწმუნებს: ჯვარის მონასტრის სულთა მატიანეში მათი მოხსენებულობა ალექსანდრე მეფესთან ერთად, ავთანდილის (თუ გუარამის) საჩივრის მეორე საბუთი (იხ. აქვე № 2) და თვით ალექსანდრე მეფის სიგლები (საქ. სიდ. III, 8, 10, 12).

ასე რომ, ავთანდილისა და ჯანიბევის მამა რომ შიომღვიმეში ეკვდრის შემწნელად გვეცნო, მაშინ შიომღვიმის ეს საბუთი XIV საუკუნეში უნდა გადავეტანა, უნდა დაგვეშვა, რომ ეს მონასტერი ზევდგინიძიანთ სასაფლაოდ მიიღეს

მაგრამ შეიძლება ჩვენ ვცოდით და ამ მოთხრობის შემცველ სტატუსი
ბუთს უსაფუძვლოდ ვაღიარებთ მოხსენების დასაწყისად? სტატუსი
ასე ეგონა პ. კარბელაშვილს (იხ. ძვ. საქ-ლო II, 107). რომ საბუ-
თების ჩვენი დალაგება სწორია, ეს თვით აც საბუთთა შინაარსილან
ჩანს: ჩვენ მიერ № 1-ით აღნიშნულ საბუთში, როგორც ზემოდ ვნა-
ხეთ, პირველად მოთხრობილია ზევდგინიძის მიერ სხვილოსის ნამ-
ზითვად მიღება. იქვე ამას მოსდევს მოთხრობა შემდეგი „მამულის“,
ახალციხისა და მღვიმის ნასისხლად შოვნის შესახებ.

ჩვენ მიერ № 2-ით აღნიშნულ საბუთში, რომელიც XV საუკუნის
დასაწყისიდან კოსტანტინეს, ალექსანდრეს და ვახტანგის დროს
ეხება, აღნიშნულია, რომ ალექსანდრეს გამეფებისას სხვილოსი ზევ-
დგინიძიანთ „მჯუიდრი მამული“ იყო. ამავე საბუთიდან ჩანს, რომ
ეს მამული მათ ალექსანდრესაგან ან კოსტანტინესაგან კი არ მიუ-
ლიათ, არამედ დიდი ხანია აქვთ. აქედან ცხადია: სხვილოსის
შოვნის შემცველი ამბავი უწინდელია, ვიდრე XV
საუკუნე და საბუთების ჩვენ მიერი დალაგება სწორია.

მაგრამ თუ ეს ასეა, ისიც ცხადია, რომ შიომმღვიმის და
ახალციხის ნასისხლად მიღება XV საუკუნის უწინ-
დელია. ე. ი. გიორგი მეფის წინააღმდეგ შეთქმულე-
ბა „დიდი აღბუღას“. დროს XIV საუკუნის ამბავია
და არა XV საუკუნის 50-ან*, ან კიდევ 60-ან წლებისა.

XIV საუკუნის პირველ მეოთხედში თუ არა, სულ მცირე, მის პირველ ნახევარში
მაიცც: იქ ხომ „პირველ ჩვენი მამანი დასაფლავებულ იქმნეს“.

ამავე დროს ორში ერთი უნდა მიგველო: ან რომ სხვილოსის ნამზითვად მიმ-
დები ზევდგინიძ XIII საუკუნის შუა წლების მოღვაწეა, რაც შეუძლებელია, ან
რომ სხვილოსის ნამზითვად მიმღები ზევდგინიძ და მღვიმის ნასისხლად მიმღები
ერთი და იგივე პირია. ამას კი, ვიტქომბო, მოხსენების ტექსტი ეწინააღმდეგება.
ამდენადვე ჩვენი წანამდღარი მცირობა და საბუთის ავტორი თაყა არ არის ავ-
თანდილ და ჯანიბეგის მამა.

რაც შექება ალექსანდრე მეფესთან „შეზრდილ-გაზრდილ“ თაყას, გამორი-
ცხვის შეთოდის გზით ჩვენ ის ერთი და დაგვრჩა ჩვენი საბუთის თაყასთან გასა-
იგივებლად. ამას ემოწმება ისიც, რომ ალექსანდრე მეფის თანამედროვე თაყა ისე-
ვე უშვილოა, როგორც შიომმღვიმეში კვედრის ამშენებელი თაყა ჩანს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დასკვნის წინააღმდეგ რამდენადმე ლაპარაკობს
ის, რომ ალექსანდრეს „შეზრდილ-გაზრდილი“ თაყა მოლარეთხუცესია და შემ-
დეგ ამილახრარიც, ჩვენი საბუთის ავტორი კი პატივით არ ისენიება. მაგ-
რამ ეს დაბრკოლება გადამჭრელი მნიშვნელობისა არაა და სხვა შესაძლებლო-
ბათაგან ჟელაზედ საფუძლიანად მინიც უკანასკნელი გაიგივება მიგვაჩნია.

* პ. კარბელაშვილი ამ შეთქმულებას 1449 წელს ჰგონებს და ეს იმიტომ,
რომ აღბუღა ათაბაგი 1451 წელს გარდაიცვალა. ხოლო მას საბუთში მოძსენე-
ბული აღბუღა ეს აღბუღა ჰგონია.

მოხსენებაში ამ „ზევდგინიძის სახელი აღნიშნული არ არის. კომისაზე გენერალი ჯერვე, როცა კი მას ასახელებს ჩვენი მომხსენებელი, უწოდეს უსაფრთხოების „ჩემი გუარის კაცი“ (ორჯერ), „ჩვენი გუარის კაცი“ (ერთხელ), ან კიდევ „ზევდგინიძე“. და ეს აიხსნება არა იმით, რომ მომხსენებელმა ამ თავისი „გუარის კაცი“ს სახელი არ იცოდა, არამედ იმით, რომ ამ უამად მომხსენებელისათვის საინტერესოა ამ პირის არა სახელი, არამედ მისი „გუარის კაცობა“, ზევდგინიძეობა. ვახუშტის ცნობით მას იოთამ ჰრევეგია. ვახუშტის ეს ჩვენი საბუთები ხელთ არა ჰქონია, არამედ, როგორც ამას მართებულად შენიშნავს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „საბუთების მიხედვით“ ნაგვიანევად „შედგენილი ამილახვარიანთ საგვარეულოს თავგადასავალი“ — (ქართ. ერის ისტორია IV, 91). მიუხედავად ამისა დაცული ტრადიცია მაინც ყურადსალებია. ჩვენი საბუთების მიხედვით კი ამ ზევდგინიძეს თითქო თაყა უნდა ჰრევეოდა.

ამით სრულდება პირველი საბუთი („№ 1“). იყო კიდევ სხვა საბუთი, თუ აწინდელი „№ 2“ არის № 1-ის უშუალო გაგრძელება, — ძნელი სათქმელია, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვართ, რომ არსებულთ შორის ჩვენ მიერ № 2-ით აღნიშნული საბუთი არის „№ 1“-ის უახლოესი მომდევნო.

ავთანდილ განაგრძობს (სამწუხაროდ, მოთხრობის ეს ნაწილი, რომელიც XIV საუკუნის დასასრულს და XV საუკუნის დასაწყისს ეხება, დაზიანებულია და ტექსტის ნაკლულევანების გამო მოთხრობის დასაწყისის მიმდინარეობა ირლვევა): ძმები ჯანიბეგ და ავთანდილ [და x?] საგვარეულო მამულის სხვადასხვა ადგილას სხედან. ავთანდილ თითქო უშვილო შექმნილა და თავისი ძმისწული დაუსვამს „მეუიდრსა მამულზედა“. ეს „ძმის წული“ მოხსენების ავტორის მამა (და მაშ ჯანიბეგის შვილი ზევდგინ?); უკანასკნელს ბიძის წული ჰყოლია — თაყა. XIV საუკუნის 10-ან წლებში თაყა ჯერ კიდევ ყრმა ყოფილა. მას თურმე „ბარათა (ქაჩიბასძე) ზრდიდა“. მოხსენებლის მამა (ზევდგინ) თაყას უფროსი ყოფილა.

„გაუწყრა მეფე კოსტანტინი შვილსა, მეფესა ალექსანდრეს და ოლექსანდრე მეფე ათაბაგს ივანესთანა“ გარდახვეწილა. ამ „ლარიბობაში“ ოლექსანდრე მეფეს თან ჰქლებია მომხსენებლის მამა. ათაბაგ ივანესთან ალექსანდრეს ხუთი წელი დაუყვითა და, როგორც კი მამა მისი, მეფე კოსტანტინე ჩალალანს მოუკლავთ, „მოვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა“.

ალექსანდრესთან ერთად დაბრუნდა მისი მხლებელიც, ჩვენი ავტორის მამა (ზევდგინ) და „იმავე მეუიდრსა მამულზედა, სხეუილოზედა დაჯდა“.

აქ მომთხოვნელი იმოწმებს ვინმე ზაქარიას, რომელიც თურმე
„მამინდელია“ და ახსოვს, თუ „როგორა ჰყვა მეფესა ალექსანდრე მეფესა
მამა მისი (ზევდგინ). ამით მომხსენებელი დარბაზის ყურადღებას
მიაკცევს მისი გვარის ნამსახურობაზე და მეფე ალექსანდრეს მიმართ
ერთგულობაზე.

შემდეგ თაყაც მოწიფულა და „ორნივე (ე. ი. მოხსენების ავტო-
რის მამა ზევდგინ და თყაც) „კამყოლად ჰყვეს და მსახურებდეს ამავ
ჩუენითა მკუიდრითა მამულითა“.

ამით ათვებს მომხსენებელი ზევდგინიძიანთ ამბავს ალექსანდრე
მეფის ხანაში და ვახტანგის ხანაზედ გადადის.

მოთხოვნა აშკარად არასრულია. დღეს ჩვენ აუტენტური საბუ-
თებიდან ვიცით, რომ ზევდგინიძიანთ კასპი და იგოოთი „ქალისა ნა-
სისხლად“, ხოლო „გომნი და ნადარბაზევი“ „წყალობად“ მიიღეს
მეფე ალექსანდრესაგან 1429 წელს (იხ. საქ. სიდ. III, 9—11), ხო-
ლო ამაზედ უწინარეს, 1426 წელს, ამავ მეფისაგან „წყალობად“ მი-
იღეს ქარუმისძენი* (საქ. სიდ. III, 14—15) და ცოტა შემდეგ, ე. ი.
1430 წელს, ალექსანდრე მეფეს მათთვისვე მიუცია სიგელი გორის
მოურაობის „სამკუიდროდ“ ბოძების შესახებ (საქ. სიდ. III, 12—13).

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ტექსტის ნაკლულევანებით
ჩვენ ამის ახსნა გაგვიძელდებოდა: ალექსანდრეს ხანის შემცველ
ტექსტს აქ არა აკლია რა; ამიტომ უნდა დაგვეშვა მეტად ძნელად
დასაშვები: რომ მომხსენებელმა ამბები ქრონოლოგიურ თანმიმდევ-
რობის დარღვევით გადასვ-გადმოსვა და რომ მოხსენებულ „მამულების“
შონის შემცველი ფურცელი დაკარგულია.

ამის დადასტურებას მოხსენების სხვა ადგილები არ იძლევა. პირ-
იქით, როგორც ალვნიშნეთ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობა თით-
ქო ყველგან დაცულია.

ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა ეს მოვლენა სხვა ნიადაგზე აგ-
ვეხსნა.

ყველაზედ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ჩვენი საბუთები დარბაზ-
ში წარდგენილ დედნის შავია და ჯერჯერობით არაა სრულად გა-
მართული.

შეიძლება შემდეგი მოსაზრებაც იქმნეს წამოყენებული: რომ ფაქ-
ტების ნაკლულევანება სარჩელის ხასიათით აიხსნება, რომ სარჩელი
ზევდგინიძიანთ „მამულების“ მხოლოდ ნაწილს შეეხებოდა.

* ეს ქარუმისძენი 1446—1453 წლებში გიორგი მეფეს ჩამოურთმევია მათ
თვის და 1453 წელს კვლავ უბრუნებს მათ.

დაბოლოს შეიძლებოდა საკითხი ასეც დასმულიყო: სარჩელი სწარი უკურნელებელი მოქანა ზევდგინიძიანთ გვარის ისეთ ორ წარმომადგენელთ შეეჭიროს რომელთაგან ერთს ხელი არ მიუწვდება მეფე ალექსანდრეს დროს ნაშოვნ მამულებზე; ასეთ მოსაზრებას ეწინააღმდეგება მომხსენებლის უდივო გამოთქმანი, რომ თაყა ამილახორი მისი „ბიძაა“, ხოლო მეორე ამილახორი (ამირინდო) მისი „ძმაა“; ჩვენივე მომხსენებელი გორის მოურავობაში მონაწილეობის პრეტენზიას აცხადებს და ეს „მამული“ ხომ ზევდგინიძიანთ მეფე ალექსანდრესაგან მიიღეს..

ამიტომ ჩვენ უველაზედ მისაღებად ისევ პირველი მოსაზრება მივვეჩნია: რომ ჩვენი საბუთები ავხელი დედანია და ნაკლულევანებაც ამ ნიადაგზე აიხსნება*.

ეხლა თვით აქ მოთხრობილ ფაქტებზე. ცნობა კოსტანტინე მეფის უთანხმოებისა შვილთან, „ალექსანდრე მეფესთან“ და უკანასკნელის ხუთწლოვანი „ლარიბობა“ ივანე ათაბაგთან სხვა წყაროებიდან ჩვენ არ ვიცით. არც ვახუშტის, არც ქცის გაგრძელებათა ავტორებს ამის შესახებ არა სცოდნიათ. ჩანს, ზევდგინიძიანთ ეს საბუთები მათ არ უნახავთ. ცნობა უტყუარია და მრავალ მხრივ საინტერესო.

მეფე კოსტანტინეს ჩალაღანს გალაშქრება და მისი იქ სიკვდილი დადასტურებულია სხვა ქრონიკულ ცნობებითაც. ქრონიკულ ცნობებით ამ მოვლენის თარიღი არყოფნია.

მამის სიკვდილის უმაღ „მოვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა“. ეხლა ზედმიწევნით არის გამოკვლეული მეფე ალექსანდრეს გამეფების თარიღი. ეს მომხდარა 1412 წლის 20/II — 21/III¹. მაშ კოსტანტინე მეფე ჩალაღანს მოუკლავთ 1411 წლის დამლევს.

„მეფე ალექსანდრე“ „ლარიბობას“ „ხუთსა წელიწადსა“ იყო. ჩანს, კოსტანტინე მეფე „მეფესა ალექსანდრეს“ გაუწყრა 1406/7 წელს.

შემდეგ, ზევდგინიძიანთ სამსახური ალექსანდრე მეფისადმი — „კამიოლად ჰყვეს და მსახურებდეს ჩუენითა მკუიდრითა მამულითა“, — როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არა ერთ გზის არის დადასტურებული თვით ალექსანდრეს მიერ მიცემულ სიგელებში. ამის შემდეგ მომხსენებელი მოვითხრობს, თუ როგორ „კელთა შეიძყრა ვახტანგ მეფემან“ თავისი „ქუისლი“, მომხსენებლის „ბიძა“, თაყა ამილახორი და „ლეხთიმერით ტყუედ ჰყვანდა“. თაყა ამილახორს რაღაც „შეუცოდებია“ ვახტანგ მეფისათვის. ხოლო მომხსენებლის მამას „ისრევე აქონა მისი მკუიდრი მამული“ და „არცა ერთი კუამლი კაცი არა შეუცვალა“, არამედ უთხრა: „შენ არა შეგიცოდებია რა, არას წე-

* რომ ეს მოხსენება შავია, ეს სხვა ნიშნებითაც მტკიცდება.

¹ პროფ. ივ. ჯ-ლი, ქართ. ერის ისტორია, IV, 8—9.



გართომ“. დასასრულ, მომხსენებელი მიმართავს „დარბაისერთ“ უკავშირულ და უსაფრთხო წარმატებაზე ნამსახური ვართ მეფეთანი, რის თავზედა წავკედით, თქვენვე გაიგონეთ“.

მოხსენების ამ ნაწილიდან ჩვენ ვტყობილობთ: რომ მეფე ვახტანგ „ქუისლია“ თაყა ამილახორისა. ვახტანგის მეუღლე კი იყო ფანასკერტელ-ციციშვილის ქალი სითიხათუნ. (ვახუშტი. საქ. ისტ., 301; ქრონიკები II, 223). მაშ თაყა ამილახორი სიძე ყოფილა ფანასკერტელ-ციციშვილისა.

ამილახორს „შეუცოდავს“ მეფისათვის და მეფეს დაუსჯია ის: „საკელო“ ჩამოურთმევია და დაუტუსალებია.

მეფე ვახტანგს ამილახორი „ლეხთიმერით“ ჰყოლია ტყვედ. ცხადია, ვახტანგი „ლეხთიმერ“-საც ფლობს. ამით დასტურდება ის აზრი, რომ საქართველო ამ დროს ჯერ კიდევ მთლიანი სახელმწიფოა.

აქ თავდება მოხსენების, თუ შეიძლება ასე ვსოქვათ, „ისტორიული“ ნაწილი. დანარჩენ ფურცლებზე მომხსენებელი ისეთ ამბების შესახებ მოგვითხრობს, რომელშიაც თვით მიულია უშუალო მონაწილეობა, ან არა და მის დროს მომხდარა.

მოთხოვთ მიზანი აქაც იგივეა: მომხსენებელს სურს დაამტკიცოს თავისი შრომა და ჭირნახულობა და ამით უზრუნველყოს თავისი უდაო უფლება საგვარეულო ქონებაზე.

შემდეგი ფურცლის დასაწყისი ათი სტრიქონი მეტად დაზიანებულია (ორი თუ სამი სტრიქონი მთლიანად აკლია). ამიტომ მოხსენების ამ ნაწილის აღდგენა ძნელია მით უფრო, რომ ჩვენი ავტორის ენა მეტად ლაკონურია. ზოგად ხაზებში ამბავი ასე წარმოგვიდვება: გიორგი მეფესა და ბაგრატს შორის ხანგრძლივი ბრძოლა სწარმეტება. თითქმ ისე ჩანს, რომ ბაგრატს ქუთაისი მიტაცებით დაუპყრია გიორგის გამეფების ახლო ხანებში.

ჩვენი საბუთი იწყება იმით, რომ გიორგი მეფემ ბაგრატს „ქუთათისი წაართო“. ამ ამბებში მომხსენებლის ბიძა თუ ძმა რაღაც მონაწილეობას იღებს (ვახტანგს რომ ჰყავდა ტყვედ „ლეხთიმერითს“ ის ხომ არ „გამოიყვანეს ციხიდაღმა“?).

ხანი გამოსულა (ხანის გამოსკვლას დაგასკვნით იმით, რომ ავტორი ამ ეპიზოდის მოთხოვთ მოთხოვთის შემდეგ ათავსებს ცნობას, რომელიც უნდა შეეხებოდეს ზევდგინიძიანთ სამამულო მფლობელობას, ამ ამბების შემდეგ რომ დამყარებულა) და ბაგრატ „ქუთათის გაილაშერა“. მწვავე ომში გიორგი მეფის მხრით „ერთობილნი დარბაისერნი“ და აზნაურშვილები მონაწილეობენ. აქვე არიან ჩვენი მოხსენების ავტორი და მისი ძმაც. უკანასკნელი „კელთა დარჩა“ ბაგრატს. გიორგი

მეფე დამარცხებულა. მოხსენების ავტორს დიდი სამსახური გამოწვეული ვით მეფისათვის. „ოცდაოთხი შები და ისარი და კრმალი მომდევნობის ისეთმან წამოვიყვანე“ გიორგი მეფე ამ ომიდანო, ამბობს ის და იმოწმებს „ერთობილ“ დარბაძეს.

ასეთი სამსახურისდა მოუხედავად გიორგი მეფეს ჯერ ამ ერთგული ცმის ციხე დაუქცევია, ხოლო შემდეგ ისა და მისი ძმაც, რომელიც ტყვეობიდან მოსულა, ორივე შეუცყრია და მოუთხოვია: „რაც აზნაურშვილები დარჩა კელთა (იგულისხმება: ბაგრატის), თუ გამოაშებინებთ კარგია, თუარემ არც ერთსა არ გაგიშუებ“. მომხსენებლის ძმა შეპპირებია აზნაურშვილების გამოშვებინებას.

ჩანს, გიორგი მეფე ზევდგინიებებს იჭვის თვალით უყურებს და მათი ერთგულებისა არა სწამს. განსაკუთრებით კი მას მოხსენების ავტორის ძმა ჰყავს ნიშანში ამოღებული და არც თუ უსაფუძვლოდ. შეფის იჭვის საფუძვლიანობას არ არღვევს ჩვენი ავტორიც. ის მხოლოდ თავის საკუთარ ერთგულობაზედ მოვკითხობს, რითაც თავისი ძმის ორგულობას მეფისადმი ადასტურებს. ამასვე ადასტურებს, როცა აღნიშნავს, რომ მას მეფემ მისი ძმის „თავზედა“ უყო უბატიონ და ამაში დარბაისელთ იმოწმებს. ჩანს, მაშინ დაფარული და საეჭვო არ ყოფილა და ყველას სცოდნია ჩვენი მომხსენებლის ძმის მეფისადმი ორგულობა და არც მომხსენებელი მალავს ამას.

გიორგი მეფეს დატყვევებული ძმები — ზევდგინიებები გაუშვია, მაგრამ მძევლად დაუტოვებია ზაალ (მომხსენებლის ძმის წული) და მამამისისთვის პირობად დაუდვია: „თუ აზნაურშვილებსა არ მამისხამ, ზაალს ყურუმშის მიესცემო“.

ორგულ ყმას დანაპირები ვერ შეუსრულებია. მეფემ „დააღარიბნა“ ის (ე. ი. „საკელო“ და მამული ჩამოართვა), ხოლო მის ძმას „ისივ მამული კიდევე აქონა“.

გიორგი მეფე ამის შემდეგ ალონს წასასვლელად შემზადებულა და ჭოპარტს ჩვენი მოხსენების ავტორისათვის ვინმე ზაქარია „ებოძა“ (ე. ი. გაუგზვნია) და შეუთვლია: „ალონს წამამყევ და რაც შენი მკუიდრი მამული არის, არას დაგაქლებ, ისრევ მოგცემო“.

ამავე დროს „ზაალ თათარჩიგა მიჰყვანდა“ გიორგი მეფეს.

ჩვენი მომხსენებელი მეფეს არ წაჲყოლია ალონს. და, როგორც ამტკიცებს, ეს ზაალის „გულისათუის“ უქნია მას. მეფეს კიდევ „მკუიდრი მამული“ არ მიუცია მისთვის.

აღნიშნა რა თავისი ერთგულება მეფისადმი, მაშინ როცა მისი ძმა მეფის ორგული იყო, ჭირნახულობა მამულის დასაცავად და ზაალის გულისათვის მეფის მიერ შემოძლეულ წყალობის უარყოფა, მოხსენების

ამ ნაწილის დასასრულს მომხსენებელი მიჰმართავს დარბაზს:  „შემდეგ თქვენვე გაიგონეთ ბატონო დარბაზისერნო“ -ო.

აქ მოთხოვთ ამბებიდან სხვა წყაროებით თითქმის არც ერთი არა ცნობილი. გიორგისა და ბაგრატს შორის ხანგრძლივი ბრძოლებიდან ჩვენ აქამდის მხოლოდ ჩიხორის ომის შესახებ გვქონდა ქრონიკული ცნობა.

ეხლა კი ვიცით, რომ ჯერ ლიხთ იქითის გარშემო, ხოლო შემდეგ ქართლის გარშემო (ამის შესახებ აქვთ საბ. № 1242 დ. ს.) ხანგრძლივი და მწვავე ბრძოლა ყოფილა გამართული.

მით უფრო არაფერი ვიცოდით ფეოდალების კონკრეტულ მონაწილეობის შესახებ ამ ბრძოლებში. მოხსენების ამ ნაწილიდან ცხადია, რომ ქართლის ზოგიერთი ფეოდალი ორგულობს გიორგი მეფეს. როდის დაიწყო ეს ბრძოლა მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის, არა ჩანს, მაგრამ ამის გარაუდი შემდეგნაირად შეიძლება:

მეფე გიორგიმ ორგულ ყმებს, ზევდგინიძეებს „მკუიდრი მამულები“ ჩამოართვა. ერთი სულ „დააღარიბა“ (ის, რომელიც გვარის უფროსი იყო), ხოლო მეორეს მცირე რომ დაუტოვა. ცნობილია, რომ გორის მოურავობა ზევდგინიძიან „მკუიდრი მამული“ იყო ალექსანდრე მეფის მიერ ავთანდილისა, თაყასა და ზევდგინისათვის წყალობად ბოძებული 1430 წელს (საქ. სიდ., III, 12).

ვახტანგის დროს, საფიქრებელია, ეს „კელი“ ჩამორთმეული აქვთ ზევდგინიძეებს (ამილახორი და გორის მოურავი თაყა ზევდგინიძე მას ტყვედ ჰყავდა „ლეხთიმერითს“).

მაგრამ გიორგის მეფობის პირველ ხანებში, 1453 წელს მაგალითად, ზევდგინ ზევდგინიძე ეზოს ჩუხჩარეხი და გორის მოურავია (საქ. სიდ. III, 15).

1454 წელს კი გორის მოურავი არის გამრეკელ ჯავახიშვილი (საქ. სიდ. II, 38).

ვფიქრობთ, გვაძეს საფუძველი ზევდგინიძეთა მიერ გორის მოურავობის დაკარგვა, რასაც ადგილი ჰქონდა 1453/4 წელს, დაუკავშიროთ გიორგი მეფის მიერ ბაგრატთან ომის წაგებას.

ამ შემთხვევაში საქმე შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ვახტანგ მეფის მიერ დასჯილი ზევდგინიძეები გიორგი მეფეს მათივე „მკუიდრითა მამულითა“ შეუწყალებია. 1453/4 წელს მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის ომი მომხდარა. ზევდგინიძის სახლის უფროსს გიორგი მეფისათვის უორგულნია და მეფესაც დაუსჯია ის: „მკუიდრი მამული“ ჩამოურთმევია.



მოხსენებას ერთი მეტად საინტერესო გამონათქვამი შემოუნახული გიორგი მეფებანი „ქუთათისი წართო“ ბაგრატია. „წართო“ ისას გულისხმობს, რომ ბაგრატს დაპყრობილი კი არ ჰქონია ქუთათისი, არამედ მიღებული ჰქონია მეფისაგან.

ხოლო, თუ მაინცდამაინც „დაპყრობას“ დავუშვებდით, მომხსენებლის თვალში მაინც ეს დაპყრობა უკანონო მიტაცება ყოფილა, რასაც კანონიერ მულობელის (სუზერენის) მიერ „წართმევა“ მოჰყოლია. თუ ჩვენი მსჯელობა მართებულია, მაშინ ჩვენ ვდებულობთ თანამედროვეის მიერ ძვირფას დარასტურებას ვახუშტის ცნობისას. რომ ბაგრატ პირველად მეფე კი არა, მეფის მოხელე, ერისთავი იყო (ვახუშტი, ისტორია, 304).

მეფე გიორგისა და თათართა დამოკიდებულება ამ საბუთიდან მოლად ნათელი არაა.

ვინ არის ყურუმში ან რად მიღის მეფე ალონს, სამორად თუ „თათარჩიგა“, როგორც ყმა?

ჩვენ უკანასკნელი გავება უფრო მართებულად მიგვაჩნია. ასეთ გაგებას მხარს უჭერს ის „სათათრო მაღლი“, გიორგის მეფობის დასაწყისში რომ მოიხსენიება (ისტ. საბ. III, გვ. 28. 1448 წლის საბუთი).

მეოთხე ფურცელიც დასაწყისში (4 სტრიქონი) მეტად დაზიანებულია. ამას გარდა სამი თუ ოთხი სტრიქონი საესპიო აკლია. რამდენადაც გადარჩენილ ნაწყვეტებიდან ჩანს, მოჩივარი მოუთხრობს დარბაზს იმ საქმიანობაზე, რომელიც მას „მათისა“ (ე. ი. ძმისა და ძმისწულის) „გულისათუის“ და მათისა გაუყ[რელობისათუის]“ უსაქმია. ეს საქმე თითქო იმაში მდგრმარეობდა, რომ ჩვენი ავტორი „თათარჩიგა“ წავიდა და „სამსა წელიწადსა“ იქ დაყო.

შემდეგ ავტორი იმ საქმიანობის მოთხრობაზე გადადის, რომელიც გიორგი მეფის დატყვევებასა და ბაგრატის მიერ ქართლის დაჭრისთან არის დაკავშირებული.

„შეიძყრა ათაბაგმან გიორგი მეფე და გარდმოვიდა მეფე ბაგრატ“. ჩვენი მომხსენებელი ურჩევს თავის ბატონს დავითს, რათა ის ბაგრატის ყმა შეიქნეს. ეუბნება: „თუ შენ ბაგრატ მეფისა ყმა არ შეიქნები, მე ჩემსა მამულსა არავინ მამცემს“. დავითსაც ყურად უღია ყმის რჩევა: წაუვიდა მის ძმასა ჩემის მამულის გულისათუის და ბაგრატ მეფისა ყმა შეიქნა“ და ჩვენს მომხსენებელსაც მამული მიუღია. ეს ბატონი დავითი ეხლაც ცოცხალია: ამ საქმეზე თვით მას იმოწებს ჩვენი ავტორი.

ამ ხანებში, თურმე, სოფელი ახალციხე მამისა ზევდგინებული კუთხი
რია, წიწამური მცხეთისადმი ყოფილა შეწირული, ხოლო ლუტრონული
დიერისშვილსა ჰქონია მითვისებული.

ყველა ესენი „წაურთმევია“ ჩვენს ავტორს და საგვარეულო ქო-
ნებისათვის დაუბრუნებია. გორის მოურავობაც ბაგრატ მეფისაგან
უშოვნია საქმაო ქრთამის გალების გზით. ამასობაში „თათარნი (უზუ-
ნასან) მოვიდეს“. ბაგრატს ამილახორისოთვის გორს შედგომა უბრძა-
ნებია. ზევდგინიძიანთ ამილახორის მაგივრად მისი ძმა სულმამა
შეუყენებიათ. შემდეგ ეს სულმამა დაუხსნიათ ძმებს. ჩანს, უზუნასანს
გორი აუღია და სულმამა ტყვედ ჩავარდნილა. უზუნასანს საქართვე-
ლო დაუხარკავს: უზუნასანის ხარჯის ანგარიშში „დიდი მალი შემო-
გუაგდო ბაგრატ მეფემანო“, მოახსენებს დარბაზს ავტორი.

ბაგრატ მეფე ჩქარა გარდაცვლილა და უზუნასან „ამა ბატონსა
მეფესა დაუწყო თხოვნა“. მომხსენებელს მხედველობაში ჰყავს მეფე
კოსტანტინე, რომლის დროსაც, ჩანს, ეს მოხსენება იწერება. ზევ-
დგინიძიანთ მათ მამულზე შეწერილი მალი გადაუხდიათ. მომხსენე-
ბელს თავისი „კრმლითა ნაშოვნი“ 2100 თანგა გაუღია, რადგან „მა-
მული ამოწყუედილი იყო, ის ვერას გამოიღებდეს“-ო. ჩამოთვალა რა
მის მიერ საერთო მამულის ამოსაგებად და დასაცავად გაწეული შრო-
მა, სამსახური თუ ხარჯი, მომხსენებელი დასასრულ — და არა ერთ-
ხელ ამას წინათაც — ეკითხება დარბაზს: რატომ არც ერთხელ არ
გააფრთხილა ის მისმა ძმამ ამილახორმა და არ უთხრა, რომ ტყუ-
ილ-უბრალოდ ნუ ეწევა ასეთ შრომასა და ხარჯს, რადგან მამულში
მას წილი არ აქვს?

ამაზე სრულდება ეს ფურცელი.

მოთხოვილი, როგორც ვხედავთ, მეტად მდიდარ ისტორიულ
შინაარსისაა.

დასაწყისის ნაწყვეტი ცნობები ერთხელ კიდევ ადასტურებენ რომ
გიორგის მეფობის გარკვეულ დროს თათართა მფლობელობა საქარ-
თველოში უდავო ამბავია.

ამას მოსდევს ცნობა გიორგი მეფის დატყვევების შესახებ ათა-
ბაგის მიერ. ლაპარაკია ყვარყვარე ათაბაგის მიერ გიორგი მეფის
შეპყრობაზე ფარავნას, რაც მოხდა 1466 წელს (ქართვ. ერის ისტო-
რია IV, 92).

როგორც ვხედავთ, აქ გიორგი მეფის წინააღმდეგ შეთქმულება-
ზე და ზევდგინიძის თავგანწირვაზე ცალი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

უეპველია, ჩვენი ავტორი ამას არ დამალავდა, რომ ასეთს რამეს
ადგილი ჰქონდა.

სრულიად ახალია ცნობა, რომ ბატონიშვილი დავით გორისა და უკრაინული მისი მიღმოვების ბატონია, რომ ზევდგინიძეები მისი ყმებია. ეს კინ ტანტი ტონი დავით“ თითქო კოსტანტინეს ძმაა.

ყვარევარე ათაბაგს რომ გიორგი მეფე დაუტყვევებია, ქართლში მეფობა ბატონიშვილ კოსტანტინეს დაუწყია. მასვე ჰქონია ქუთათისის ციხეც (იხ. საქ. სიდ. II, 20—21). ჩქარა ბაგრატ გადმოსულა და ქართლის ნაწილი დაუჭერია. ქართლის ზოგიერთი ფეოდალი მას მისვლია. მას მისვლია, თვით ბატონიშვილი დავითიც კი, რომელიც თურმე წაუვიდა „მის ძმასა“. კოსტანტინეც იძულებული გამხდარა ბაგრატს დამორჩილებოდა. ჩვენი საბუთი აღასტურებს ცნობას ბაგრატ მეფის საფინანსო ღონისძიების შესახებ, რომელიც თურმე იმაში გამოიხატებოდა, რომ მეფე სარგებლობდა წყალობის სიგელთა განახლების ფეოდალურ უფლებით და სიგელთა განახლებისათვის მომეტებულ „ქრთამს“ იღებდა.

აქვე მოიპოვება ცნობა უზუნასანის ქართლში შემოსევისა და მის მიერ გორის აღების შესახებ. აღნიშნულია, რომ უზუნასანმა დიდად დახარჯა ქართლი. (შდრ. პროფ. ივ. ჯ—ლი, ქართ. ერის ისტორია, IV, 126—127).

ჩვენი წყარო არ ეთანხმება ქ-ცის გაგრძელების ცნობებს და ამ ტკიცებს, რომ ბაგრატ მეფე უზუნასანზე უწინ გარდაიცვალა, ხოლო უზუნასანი კოსტანტინეს გამეფებასაც მოესწრო და ხარჯიც მას გარდაახდევინა. ასე რომ ქ-ცის გაგრძელების ეს ცნობები უნდა შემოწმდეს (ქ-ცა, 894—895).

თუ აქამდის მომხსენებელი თვის უფლებას საგვარეულო მამულებზე ასაბუთებდა წარმოშობილობა-კირნახულობით, შემდეგ ფურცელში ის ცდილობს გააბათილოს მოწინააღმდეგის არგუმენტი. მოწინააღმდეგე, როგორც ჩანს, თვის უფლებას საგვარეულო ქონების უდიდეს ნაწილზე იმით ასაბუთებს, რომ მამა მისი (მომხსენებლის ძმა) ოყას (მომხსენებლის „ბიძას“) უშვილებია.

ჩვენი მომხსენებელი აბათილებს ამ ნაშვილების კანონიერებას და გამოსთვავას სამოქალაქო სამართლის საინტერესო ნორმას, თუ რა პირობების დაცვით უნდა იყოს შესრულებული ფეოდალის მიერ ნაშვილების აქტი, რათა ის კანონიერად იქმნეს ცნობილი.

საბუთის შედეგნილობის ამ ფორმალურ მომენტებზე დაყრდნობით, მომხსენებელი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მოწინააღმდეგის არგუმენტი უსაფუძლოა, რომ მისი საამისო საბუთი უკანონო და ნატყუარია.

აქვე იგი გაკვრით გვაწვდის ერთ მეტად საინტერესო ისტორიულ ცნობას.

კანონიერი ნაშვილეობის აქტით, ამბობს მომხსენებელი, „შეფერა/ კულჩართული და მისთა მდივანთა კელწერილი და თავადთა შემოწმეული ბითა უნდოდა, თუ არა გაბელისძის მოწმობითა რომე გიო შეჭრილებულის წახდენა უნდოდა და ჩეუნს მამულზედა შეილობა უნდოდა, ვინ იყო ჩეუნი მცილე, ეს თქუენ გასინჯეთ, პატრონ(ნ)ო“...

გამონათქვამი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია და მთლად ნათელი არა, ვის უნდოდა „გიორგი მეფის წახდენა“, გაბელისძეს, თუ ჩეუნი მომხსენებლის ძმას. წინა ფურცლებიდან ჩეენ ვიცით, რომ გიორგი მეფემ დასაჯა მომხსენებლის ძმა, ის მას თავის ერთგულად არ სთვლიდა. ამიტომ გვაქვს საბუთი ტექსტის ჩეენი გავება დავიცათ, ე. ი. რომ „გიორგი მეფის წახდენა“ მომხსენებლის ძმას უნდოდა.

მაგრამ ასე გაგებული ეს გამონათქვამი გაბელისძის მონაწილეობასაც ჰელისხმობს გიორგი მეფის წასახდენად წარმოებულ საქმეში: „გაბელისძის მოწმობითა რომე გიორგი მეფის წახდენა უნდოდა“..

ასე რომ დარბაისერი გაბელისძეც ჩეენი მომხსენებლის ძმასთან ერთად გიორგი მეფის მოწინააღმდეგეთა შორის ყოფილა.

თავის საჩივრის უკანასკნელ ფურცელში მომხსენებელი აღნიშნავს, თუ ძმის სიკვდილის შემდეგ, როგორ „დაუბარა“ მან „ბატონობა“ (თავის ძმისწულს) ზაალს, რომელიც მას „შვილად გაუზრდია“; და რომ ზაალმა მისი სიკვდილი განიზრახა და, თუ არ გასცლოდა, მომხსენებელი „თავით და ცოლშვილით დახოცილი“ იქნებოდა.

დასასრულ, მომხსენებელი მიჰმართავს დარბაზს (მეფეს?) „გაიკითხოს“, თუ: „ამა ყუელა ვალდადებულობისათუის რად მამკლევდა“ „ჩემსა მქუიდრსა და ნასისხლს მამულზედან“ „ჩემის მქუიდრის და ნაშოვნის მამულისთუისა“?

* * *

საბუთი №№ 1801 d. h. და 1570 d. h. ფეოდალის ოჯახურ ცხოვრების საინტერესო სურათს შეიცავს. მაგრამ მისი შინაარსი ამით არ ამოიწურება და ერთ ფრიად საყურადღებო ისტორიულ მომენტს აშეუებს.

გულსურაბს, გამრეკელ ჯავახიშვილის ცოლს, ჩანს ძლიერი ჭირისუფალი ჭყავს: „პატრონნი“ თაყა, ფავნელ და ზაზა. გამრეკელიც ამათ „გულისათუის“ უთმობს ამ მეტად თავნება ქალს, რომელიც, გამრეკელის აზრით, მისგან მოკლვის ლირსი იყო.

გიორგი მეფესა და ბაგრატ მეფეს შორის დაუნდობელი ბრძოლაა. ბაგრატ მეფე ქართლში გადმოსვლას და გიორგის გაძევებას ცდილობს. მას აქ აშკარა თუ ფარული მომხრეები ჭყავს. გორის

ციხე გორგი მეფის მიერ გამრექელ ჯავახიშვილს აქვს ჩაბარებული. აშირეჯიბი მეფე ბაგრატის აშვარა მომხრეა, ხოლო ზევდგინის შენიშვნული მომხრავობის გამო დასჯილი არიან მეფე გორგის მიერ მათი „სამკვიდრო“ გორის მოურავობის ჩამორთმევით.

გულსურაბ ცდილობს გამოიყენოს თავის მიზნებისათვის მეფეთა შორის ბრძოლა და მოხერხებულ ინტრიგით გორგი მეფის მოლა-ლატერაბა სურს თავს დაატეხოს გამრექელს და მის შვილებს. საფიქრებელია, გულსურაბ არც მოლად მარტო ქსელავდეს საშიშ პოლიტიკურ ინტრიგას. გორის ციხის მოურავობა ერთობ საპატიო და სასურველი „ეპლი“ იყო, რომ მის მიღებას არ ცდილიყვნენ ზემო ქართლის სხვა ფეოდალები და მათ შორის ციციშვილებიც. შესაძლებელია, ამიტომ, გულსურაბ თავის ჭირისუფალთან შეთანხმებით და მათ სასარგებლოდ საქმიანობდეს.

ყოველ შემთხვევაში ცხადია, გულსურაბ სრულიადაც შორს არა დას თავის დროის პოლიტიკურ ამბებისაგან.

შემდეგი საყურადღებო მომენტი ეს გახლავთ მოწმობა, რომლის მიხედვითაც უდავოდ მტკიცდება, რომ ბაგრატ დიმიტრისძე მეფის სახელს ატარებს 1463 წლამდისაც და, მაშასდამე, მისი გამეფება ჩიხორის ომთან არა დაკავშირებული.

ეს საბუთი დაწერილია 1454—1463 წლებს შორის. წინა თარიღს გამრეკელის მიერ გორის მოურავობა არკვევს. გორი გამრექელს 1454 წელს უკვე მიღებული აქვს (საქ. სიდ. II, 38), ხოლო 1453 წელს გორი ჯერ კიდევ ზევდგინიძიანთ „საკულოა“ (საქ. სიდ. III, დამატ., 14—15).

უკანა თარიღს 1463 წლის საბუთი არკვევს, საიდანაც ჩანს, რომ ჯავახიშვილთა სახლის უფროსი გამრექელ კი აღარაა, არამედ მისი უფროსი ვაჟი ზაქარია. ასეა შემდეგაც (საქ. სიდ. II, 19, 20, 40). უნდა ვიფიქროთ, რომ 1463 წელს გამრექელ უკვე ცოცხალი აღარ არის.

ჩვენი საჩივრის ავტორი კი სწორედ გამრექელია. და როცა 1463 წელზედ აღრე დაწერილ საბუთში მოყვანილია ციტატა კიდევ უფრო აღრე დაწერილ წერილიდან (გულსურაბის წერილი რუამს), სადაც ბაგრატ „მეფედ“ არის წოდებული, ჩვენ უფლება გვაქვს დავასკნათ, რომ ის გამეფებულა გიორგი მეფის წინააღმდეგ აჯანყების უბალ 1453 წელს, როცა მან „ქუთათისს გაიღაშქრა“ და მეფე დაამარცხა, თუმცა ქალაქი არ უნდა აეღოს (ჩანს, გიორგი მეფესაც პყავს ლიხთიმერეთს ძლიერი მომხრეები). ქუთათისი ამის შემდეგაც გიორგი მეფის ხელში უნდა ყოფილიყო. ბაგრატ მეფემ ის XV საუკუნის 70-ან

წლებში ჩაიგდო ხელთ, როცა ყვარყვარე ათაბაგის მიერ მეფე გი-
ორგის დატყვევების შემდეგ გორისა და ქუთაისის ციხის ჭარბობის
ახლად გამეფებული ბატონიშვილი კოსტანტინე დიმიტრის და-
მორჩილა მას.

* * *

საბუთი № 1242 ს. ძ. ფრიად მდიდარი შინაარსისაა. ეს არის
ცოცხალი სურათი XV საუკუნის ფეოდალურ ზემო ქართლიდან.

მეფე და ბატონიშვილი, ურთიერთ შორის მოქიშე მეფები, მეფე
და ფეოდალები, ფეოდალები ურთიერთშორის, — ყველა ამათი ურ-
თიერთობა, ბრძოლა და თანადგომა დამაჯერებელ სინამდვილის იერით
არის გაღმოცემული.

განსაკუთრებით ცხოვლად მოჩანს XV საუკუნის ფეოდალის მსოფლ-
მხედველობა: ქართლი და საქართველო ფეოდალის წარმოდგე-
ნაში, ფეოდალის დამოკიდებულება მეფისადმი და ამ დამოკიდებუ-
ლების საფუძვლები, დამოკიდებულება სხვა ფეოდალებთან.

ცოცხლადაა გაღმოცემული მეფის მიერ ფეოდალისადმი „საკე-
ლოს“ სანახევროდ ძალა-უნდებური „წყალობის“ სურათი.

საინტერესოა სურათი ზნე-ჩევეულებიდან: მემთვრალეობა. ასეთი
ჩევეულება XV საუკუნის საქართველოში უცხო მოგზაურების მიე-
რაც არის დადასტურებული.

პოლიტიკურ ისტორიისათვის ჩვენი საბუთი იძლევა რამდენიმე
ახალს და უტყუარ ცნობას. ვახტანგ მეფე ლიხთიქითის მფლობელი-
ცაა. ბატონიშვილი დიმიტრი ქართლის ერთი ნაწილის („წყალი იქი-
თის“) სეუზერენია.

ახალი და მეტად მნიშვნელოვანია ეპიზოდი გიორგი მეფისა და
ბაგრატ მეფის ურთიერთობიდან.

მართალია, ბაგრატი აქ მეფედაა მოხსენიებული, მაგრამ, თუ არ
სხვა აუტენტური მოწმობა, ჩვენ ამ ცნობას ვერ დავემყარებოდით,
ვინაიდან საბუთი იწერება ერთობ გვიან, როცა ბაგრატ ერთად ერ-
თი მეფე იყო, ან შეიძლება გარდაცვლილიც იყო. ასეთ პირობებში
შესაძლებელია ავტორმა აჯანყებული უფლისწული ბაგრატ, შემდეგ
მის მიერ მოპოვებულ სახელწოდებით, „მეფობით“ მოხსენია. მაგრამ
სხვა საბუთით (აქვე № 1570 ძ. ჩ.) უდავოდ ჩანს, რომ 1453/4 წლი-
დან ბაგრატი „მეფედ“ იწოდებოდა. ასე რომ, ჩვენი ეს საბუთი
ეთანხმება ამ ცნობას.

სანამ გიორგი მეფობს, ბაგრატ მეფეს არც ქუთაისი უჭირავს,
არც ტფილისი (ჩვენ ესეც სხვა წყაროებიდან ვიცით). ამათ ხელში



ჩასაგდებად იბრძვის ის ისევე, როგორც გიორგი მეფე ცდილობს მართვას სრულ დამორჩილებას.

ჩვენს ამ საბუთში მოცემულია სწორედ ამ „ორიანობის“ ერთი ეპიზოდი.

მეფე ბაგრატ ქართლში გადმოდის და ციციშვილს ლაშქარს გაუძახებს. ციციშვილი გიორგი მეფის ყმაა. პატრონი არ მიეშველება ყმას და მხოლოდ სიძე, გამრეკელ ჯავახიშვილი თავისი შვილებითა და ლაშქრით იხსნის ციციშვილს დარბევისაგან.

* *

გარე პოლიტიკურ თუ ქრონოლოგიურ ხასიათის იმ ფაქტებს გარდა, რომელთაც ჩვენ პირველად ამ საბუთებით ვეცნობით, ჩვენი მასალა მეტად ძვირფასია აგრეთვე ფეოდალურ ქვეყნის საშინაო ყოფა-ცხოვრების, საშინაო პოლიტიკურ ურთიერთობის დასახასიათებლად.

ფეოდალურ საზოგადოების ზნე-ჩვეულება, ფეოდალის შინაური ყოფა, ქალის მდგომარეობა მაღალფეოდალურ საზოგადოებაში, მეფის დამკიდებულება ფეოდალებთან, ფეოდალების ურთიერთობრის დამკიდებულება, ფეოდალის პოლიტიკური აზროვნება, უფლისტულის საკითხი ფეოდალურ საზოგადოებაში, ფეოდალურ საქართველოს „დაშლის“ საკითხი, — ყველა ესენი და მრავალი სხვა საკითხებიც მეტად საინტერესოდ დაისმიან ხოლმე ამ საბუთების შესწავლის შედეგად.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხების შესახებ ამომწურავ საუბარს აქ ვერ გამოუდგებით. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს და ისიც ვაკერით და ზოგადად შევეხებით.

შეაფიოდ და საინტერესოდაა მოცემული ფეოდალური აზროვნება: ის, თუ როგორ ესმის ფეოდალს ყმის უფლება-მოვალეობა პატრონის მიმართ, პატრონის მოვალეობა ერთგული ყმისა და უფლება ორგულის მიმართ.

ფეოდალის ყმობისა და „ერთგულად მსახურების“ საფუძველი „მაშულია“, რომელიც იმის მიხედვით, თუ როგორი „სახლისა“ და „გვარისაა“ ყმა, და როგორი ერთგულება და სამსახური აჩვენა პატრონს ყმამ, ებოძება უკანასკნელს „სამკვიდრო-სამამულოდ“ ჩვეულებრივის წესით ან კიდევ „თარხნად და კელშეუვალად“.

ასეთი „მკუიდრი მამულით“ „მსახურებს“ ყმა პატრონს. ერთგულებით სამსახური პირობაა „მამულის“ მიღება - ქონებისა. პატრონი მოვალეა ერთგული სამსახურის „სანუქულოდ“ წყალობა ყმას

და ყმას უფლება აქვს საამისო აჯა-და-მოხსენებით მიმართოს პატრონს. ასეთ შემთხვევაში ყმა ხშირად თითონ ასახელებს ხოლმე „წყალობის“ საგანს.

ყმა მოვალეა მწყალობელი პატრონის მიმართ „ერთგულება-სამ-სახურსა შიგან“ დარჩეს.

შეცოდების შემთხვევაში პატრონს უფლება აქვს „წართვის“ ორგულ ყმას „სამკუიდროდ“ და „სამამულოდ“ ნაწყალობეცი. „დააღ-რიბოს“ ის, დასაჯოს, მაგრამ „დაუნაშავებლად წართმა.. აროდეს ყოფილიყო“.

ფეოდალური პრინციპი, რომ „ნაწყალობევ მამულის“ „დაუნაშავებლად წართმა... აროდეს ყოფილიყო“ (საქ. სიძ. II, 202) ფეოდა-ლურ სახელმწიფოს არსებობის პირობებში მეტნაკლებად ურცევია. ცენტრალურ ხელისუფლების იდეალი ის არის, რომ მას პქნიდეს ნაწყალობევ „კელისა“ და „მამულის“ „დაუნაშავებლად წართმის“ საშუალება და უფლება.

ფეოდალის იდეალი კი, პირუკუ, ის არის, რომ ასეთ „წართმას“ არც „დანაშაულობა-შეცოდების“ შემთხვევაში ექნეს აღგილი.

არც ერთი და არც მეორე „იდეალი“ ფეოდალურ სამეურნეო ურთიერთობის პირობებში სისავსით არ განხორციელდება. ეს არის ორი ერთი მეორის მოპირდაპირე უკიდურესი წერტილი, რომელთაც ფეოდალურ ურთიერთობის პოლიტიკური საქანელა ამა თუ იმ ქვე-ყანაში მისი განვითარების კონკრეტული სახეობისდა მიხედვით უახ-ლოვდება.

საქართველოში XIV — XV საუკუნეებში პოლიტიკური საქანელა უფრო ფეოდალების იდეალისაკენ იყო გადახრილი.

უფლების განხორციელება ფეოდალურ ურთიერთობის ხანაში, როგორც პატრონის, ისე ჭმის მიერ ყოველ კერძო შემთხვევაში უპი-რატესად ძალაზე არის დამოკიდებული.

ხშირად არის, რომ პატრონს ყმის დასჯა სურს, მაგრამ ვერ ახერ-ხებს. ყმა-ფეოდალი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ქვეშვერდომი არაა, ის „კელმწიფის“ ნებას აგრერიგად უსიტყვოდ როდი ემორჩილება. ასეთი ქვეშვერდომისა ფეოდალურ ურთიერთობის ხანაში პრინცი-პულად შეუძლებელია.

მაგალითად, მეფე ვახტანგს სურს თაყა ფანასკერტელის „წადე-ნა“. „კელთ შეპყრობა“ სურს მისი, მაგრამ ვერ ახერხებს: ჰედაკს, რომ ასეთი რამ ადვილად არ ჩაუვლის მას.

ამ ნიადაგზეა, რომ პატრონისათვის ყმის ზედმეტი გაძლიერება-მიუღებელია.

გაძლიერების პროცესიულად ყმას ერთგულობა - მორჩილებულის სტიმულები აქლდება, ხოლო პატრონს ყმის მიმართ თავისი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა უმცირდება.

განსხვავება აქაც ნათელია ფეოდალურ პატრონ-ყმასა და ბურჟუაზიულ ხელმწიფო (=მთავრობა) - ქვეშვევრდომის ურთიერთობათა შორის.

XV საუკუნის ფეოდალის წარმოდგენით ქვეყნა საფეოდალო-თა კრებულია. ქართლი, მაგალითად, ამ წარმოდგენით იქნებოდა ქაჩიბასძე-ბარათიანთა, ჯავახიშვილთა, ციციშვილ-ფანასკერტელთა, გაბელისძეთა, ჩიჯავასძეთა, ზევდგინიძეთა, ქანის ერისთვისა, შაბურისძეთა, აბულეთისძე-აბაზასძეთა და სხვათა „მამულების“ ჯამი.

ერთი მეორის მიმართ ეს „დარბაისერნი“ დამოუკიდებელნი არიან. კეთილმეზობლობენ, ან კიდევ მტრობენ ურთიერთს და ხშირად „პატრონის“ სურვილის წინააღმდეგაც კი. მეფე ყველა ამათი „პატრონია“, მაგრამ ის ეხლა, XV საუკუნეში „ლმრთისა სწორი“ აღარ არის და ეს „დარბაზ-ბატონები“ მისი „მშები“ და „შეილებია“.

ერთად ყველა ამათ მიმართ პატრონი უძლურაა, მაგრამ ყმათა შორის საერთო შეთანხმების შეუძლებლობა პატრონის არსებობის პირობაა და მის სეუჭერენულ უფლებათა რეალიზაციის საწინდარია.

ეხლა გასავებია, თუ რატომ არის, რომ ფეოდალთა შეყრილობის თუ კეთილმეზობლობის აქტებს მეფის განსაკუთრებული ნებართვა სჭირდება და „მოდაწერილენი“ მოვალენი არიან საგანგებოდ აღნიშნონ, რომ ისინი კეთილმეზობელნი ან ერთსახლნი იქნებიან „პატრონის უზიანო საქმითა“.]

ფრიად საყურადღებო მომენტს შეიცავს ჩვენი საბუთები ბატონი შვილობის საკითხიდან ფეოდალურ საზოგადოებაში.

მთავართა სისტემის ახალი სახე, მეფითოდ წარმოჩენილი XIII საუკუნიდანვე, რასაც, საბატონოყმო ურთიერთობის გამარჯვების ნიადაგზე წარმოქმნილს, განვითარების მეტად თავისებური გეზი მისცა მონალოლთა ეპოქამ და ამის მომდევნო მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებმა, XIV — XV საუკუნეთა სიგრძეზე მაღალ განვითარებას აღწევს და ნახევრად დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებს წარმოშობს.

პრინციპულად განსხვავებული წინარე ეპოქასთან შედარებით აქვერ კიდევ არათერია.

„საქართველოს“ არასოდეს არ მოუსპია „აფხაზეთი“, „ქართლი“, „რანი და კახეთი“, „სომხითი“, „სომხეთი“ და „შირვანი“. გაერთიანებულ საქართველოს მეფის ტიტული მხოლოდ ისტორიულ შინაარსის მოვლენად არასოდეს ქცეულა.



ასეთი გაერთიანება ფეოდალურ ურთიერთობის პირობებში მარტივი იყო, მაგრამ ამ „სამეფოთა“ გაერთიანების შედეგად მაინც წარმოიშვა „ყოველი ქართლი“, „საქართველო“ და „ყოველი საქართველო“ საამისო იდეოლოგიით, კულტურით, ტრადიციებით.

ის კი, რასაც XV საუკუნის დასასრულს ჰქონდა ადგილი, ამავე მოვლენის მეორე უკიდურესი მხარე იყო.

და აი, ასეთ პირობებში, როცა მაღალი ფეოდალი (=მთავარი) „ხელმწიფობისაკენ“ მიისწრაფის და რამდენიმედ კიდეც აღწევს სას, ბუნებრივია, ბატონიშვილობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობისად იქცეს.

პრინციპულად ახალი არც აქ არის რამე, მაგრამ ინსტიტუტის ევოლუცია თვალსაჩინოა და მეტად საყურადღებო.

ბატონიშვილობის საკითხი, თან სდევს, როგორც წესი, ფეოდალურ ურთიერთობის მთელს ხანას, მაგრამ მისი ასეთი თუ ისეთი გამოლინება დამოკიდებულია ხსენებულ ურთიერთობის კონკრეტულ სახეობისგან.

„სეფეტულნი“, ტაოკლარჯეთის „ეკლმწიფენი“, აფხაზთ შეფეთა უფლისწულები (ქართლის ერისთავნი), XI—XII საუკუნეთა ტახტის მაძიებელნი, ორმეფობა XIII საუკუნეში, პროვინციის „მეფენი“ XIV—XV საუკუნეებში, „დამოკიდებელი“ სამეფონი XVI—XVIII საუკუნეებში და „ბატონიშვილები“ XVIII საუკუნისა, კველა ეს ერთი კატეგორიის მოვლენებია ფეოდალურ სინამდვილის სხვადასხვა გარემოებაში.

ხსენებული საკითხის მთელს ისტორიულ სიგრძეზე მიმოხილვას აქ ვერ შევუდგებით. ეს ფეოდალური ინსტიტუტი უნდა ცალკე მონგრაფიულ შესწავლის საგანი გახდეს.

ჩვენ აქ რამდენიმე მომენტის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით.

საქართველოს გაერთიანების ხანაში ტახტის მაძიებელი ბატონიშვილები რომელიმე კუთხის მეფობას არ ისახავენ მიზნად. ბრძოლა წარმოებს ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებისათვის. უფლისწული ან უწყინარი „ალასტანელია“ ან აჯანყებული პრეტენდენტი.

ასეთია უფლისწულ დემეტრეს ბრძოლა ბაგრატ IV წინააღმდეგ, დავით II გამეფების საკითხი, დავით II ყალბი ანდერძი ვახტანგის გამეფების შესახებ, დავით დემეტრესის ბრძოლა მამისა და ძმის წინააღმდეგ, დავით დემეტრესის ყალბი ანდერძი და უფლისწულ დემნას აჯანყება გიორგი III წინააღმდეგ *.

* რომ უფლისწულთა ასეთი ბრძოლა ფეოდალთა ამა თუ იმ წრეებით საზრდოობდა და ამ წრეების წოდებრივ ინტერესებს ემსახურებოდა, რომ, მაშასა-



XIV — XV საუკუნეში, როცა „გაყელმწიფდეს დიდებული“ ფართო მეფეთა ადგილთა მჯდომ“ მოსაკარგავებ „ქნინდა მეფობა იყალრა“, ალასტანელი უფლისწული, სრულიად ბუნებრივია, „ბატონიშვილობას“ ალარ სჯერდება და „მეფობას“ მიიტაცებს.

ცენტრს ეხლა ის მიმზიდველობა აღარა აქვს და „კელმწიფობა“ მხოლოდ იქ აღარ არის. ცენტრი „საკელმწიფოებად“ დაშლის ტენდენციებს იჩენს და მთავარი აღარც მეფის სიძობით ასაბუთებენ მათ მიერ სამთავროთა დაუფლების კანონიერებას...

ასეთ პირობებში უფლისწულები არ დააყოვნებენ „გაყელმწიფებას“ და განსხვავებით სხვა ფეოდალ-მთავართაგან თავიანთ თავს „მეფედ“ უწოდებენ.

მეფე ანდრონიკე, მეფე მელქისედეკ (საისტორიო მოამბე I, 138 — 143), მეფე ალექსანდრე (მე-14 საუკუნის მიწურულს), და გიორგი მეფე, ალბულას თანამედროვე, (საბუთი 1789 ძ. ხ.), მეფე ვახტანგ ალექსანდრესძე 1433 წ. (ისტ. საბ. III, 15), მეფე დომიტრი ალექსანდრესძე 1445 წ. (ქრ. II, 257), მეფე ბაგრატ დომიტრისძე (ჩვენი საბუთი № 1570 ძ. ხ.), — ყველა ესენი უმჭველი მოწმობებით არიან დადასტურებული და ამ მოვლენის ახსნა საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობის არსებობის პირობებში შესაძლებელია, ვთიქრობთ, მხოლოდ ჩვენ მიერ წამოყენებულ დებულების საფუძველზე.

„(დღეს) ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალს იქით მისსა ძმასა, პატრონსა დემეტრეს მიანება თაყას გარეთ და თაყა ამისთუის არ მიანება, რომე მისი მამული და ციხე ჩიუავას ძისათუის უნდოდა“.

ვახტანგი მეფეა. დემეტრე მისი ძმა, — ბატონიშვილი. მეფემ ბატონიშვილს წყალს იქით „მიანება“ ე. ი. გაღმა მხრის პატრონობა მისცა. ამიერიდან მტკვრის გაღმართი ფეოდალები დემეტრეს ყმები არიან. მოტივი, თუ რატომ არ „მიანება“ თაყა, მეფე ვახტანგმა დემეტრეს, გვიჩვენებს, თუ როგორი ხასიათის იყო ეს „მინებება“.

უფლისწულ დემეტრესადმი მინებებული თაყა მეფე ვახტანგისათვის ხელმიუწვდომელი გახდება, მეფეს ამ ორგული ყმის დასჯა აღარ შეეძლება. აյი სწორედ ასეც მოხდა. გამრეკელ ჯავახიშვილის

დამე, „ბატონიშვილობის“ საკითხს ნამდვილად ფეოდალურ წრეების შინაკლასობრივი ბრძოლა გამსახლებულია, — საკითხის ამ მხრით გაშლა-გაღმავებას ჩვენ ამხელად შეგნებულად ვუვლით გვერდს.

тавзага монументом відмінної творчості. Це пам'ятка архітектури та мистецтва, яка зберегла свій первісний вигляд та значення. Вона є символом української національної ідентичності та духовної спадщини.

Маємо відмінну збереженість таємницької надписі на камені, яка донині залишається неповнотичною та непорозуміальною. Існують різні версії її змісту, але вона все ж таки є частиною історичного наслідання України.

Сучасні дослідження встановлюють, що ця пам'ятка була створена в XIV столітті, а саме в 1348 році. Вона була споруджена з каменю та має характерні особливості, які вказують на її візантійське походження. Напис на камені, який відноситься до цієї пам'ятки, є важливим джерелом інформації про історію та культуру України та її сусідів.

Андрій Красовський, один з найважливіших дослідників цієї пам'ятки, вважає, що вона була споруджена в честь святого Миколая Чудотворця. Він висловлює думку, що напис на камені є молитвою до цього святого. Дослідженнями Красовського підтверджено, що ця пам'ятка була збудована в честь святого Миколая Чудотворця.

Важливим є той факт, що пам'ятка була збудована в честь святого Миколая Чудотворця. Це пам'ятка архітектури та мистецтва, яка зберегла свій первісний вигляд та значення. Вона є символом української національної ідентичності та духовної спадщини.

Сучасні дослідження встановлюють, що ця пам'ятка була створена в XIV столітті, а саме в 1348 році. Вона була споруджена з каменю та має характерні особливості, які вказують на її візантійське походження. Напис на камені, який відноситься до цієї пам'ятки, є важливим джерелом інформації про історію та культуру України та її сусідів.

Сучасні дослідження встановлюють, що ця пам'ятка була створена в XIV столітті, а саме в 1348 році. Вона була споруджена з каменю та має характерні особливості, які вказують на її візантійське походження. Напис на камені, який відноситься до цієї пам'ятки, є важливим джерелом інформації про історію та культуру України та її сусідів.

* „Міфіческі“ уривки з надписів на камені, які відносяться до цієї пам'ятки, є важливими джерелами інформації про історію та культуру України та її сусідів.

90-ან წლებში ამ მეფეთა მემკვიდრეების მომხრე — მოწინააღმდევე-
 ებად, ყველა ესენი უკეთესად მოწმობენ, რომ არც მეფეებს და არც
 ფეოდალებს XIII საუკუნეში საქართველო ორ ცალკე სამეფოდ არ
 ჰქონდათ წარმოდგენილი, არამედ ერთ მთლიან სახელმწიფოდ ორის
 ტახტით.

მხოლოდ ასეთ შეგნების ნიაღაზე შეიძლებოდა „ორისავე ტახ-
 ტის გამაერთიანებელი“ სწოდებოდა იმას, ვინც შესძლო და ამ ორ-
 ნაწილად დაშლის გზაზედ შემდგარი ქვეყანა პოლიტიკურად გააერთა.

მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ისე, როგორც XIII
 საუკუნის სამოციან წლებში, XIV საუკუნის დასაწყისშიაც ჯერ კი-
 დევ არ არსებობდა ლიხთ-იმერეთის ჩამოშორების ტენდენციები.
 ისინი, რა თქმა უნდა, უკვე არსებობდნენ და რაც დრო გადიოდა,
 ქვეყნის ეკონომიკურ უკან დახევასთან ერთად, თანდათან ძლიერდე-
 ბოდნენ. მაგრამ ჯერ კიდევ ეს ძალები სუსტი იყვნენ გამაერთია-
 ნებელ ძალებთან შედარებით.

ცენტრი ებრძვის დამოუკიდებლობის გზაზედ შემდგარ სამეფო-
 სამთავროებს და სანამ მათი ხელქვევითი ფეოდალები ამ თავიანთ
 პატრონთა „ერთგულებასა ზედა“ მტკიცედ არა დგანან, ამარცხებს
 მათ და ახლაც შობილ ტახტებს აუქმებს. XIII—XV საუკუნეთა
 მთელს სიგრძეზე ერთი მეორის გვერდით თანდათან ყალიბდებიან
 ქართული სამეფო სამთავროები და იმ მომენტში, როდესაც ცენტ-
 რის პრეტენზიები ლიხთ-იმერეთის ტახტის მიმართ საბოლოოდ ბარ-
 ცხდება, „ქს. რნ. მეფეთ ყმობისაგან განთავისუფლდნენ მთავარნი: და-
 დიანი, ათაბაგი, გურიელი და შარვაშიძე“ (ქრ. II, 281), ე. ი.
 ცენტრის გამაერთიანებელ პოლიტიკის დამარცხების გვერდით ბარ-
 ცხდება ქუთაისის ტახტის პრეტენზიებიც ლიხთიქითის მთავრების
 მიმართ.

და მხოლოდ ასეთი დათმობის საფასურით მოიპოვა ქუთაისის ტახ-
 ტიმა მთლიან საქართველოს ცენტრისაგან დამოუკიდებლობა. ეს იყო
 არა ლიხთიქითის ტახტის, არამედ ლიხთიქითის მთავართა გამარ-
 ჯვება. სწორედ ამიტომაც იდგნენ ეს ფეოდალები „ერთგულებასა
 ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა“... მთელი სამი საუკუნის სიგრძეზე
 წარმოებს ბრძოლა ქვეყნის გამაერთიანებელ და მის დამშლელ ძალ-
 თა შორის. მთელს ამ მანძილზე ეს ბრძოლა ერთნაირი ხასიათისა არ
 არის. დასაწყისში ეს ჩვეულებრივი ბრძოლაა ფეოდალურ სახელმწი-
 ფოს შიგნით. მართალია, მონღლოლთა კარის პოლიტიკა ძლიერ უწ-
 ყობს ხელს ადგილობრივ ცენტრისაგან ფეოდალთა მაქსიმალურ გა-
 თავისუფლებას, მაგრამ ქვეყნის გამაერთიანებელი ძალები მატერია-

ლურის თუ იდეური ხასიათისა ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი ფრთხოები
ფეოდალთ ზრახვებში ცენტრისაგან პოლიტიკურ - ტერიტორიული და-
ჩამოშორება ვერ შედის. შემდევ თანადათან ქვეყნის ეკონომიკურ და-
ცემასთან და ამასთან დაკავშირებულ სოციალურ ხასიათის ცელილე-
ბებთან ერთად ბრძოლა ცენტრსა და სამთავროებს შორის ახალ ხა-
სიათს იღებს. სამთავროები ცენტრისაგან დამოუკიდებლობის ტენ-
დენციებს იჩენენ და ქვეყნის გამაერთიანებელ ძალათა შესუსტებისდა-
ქვალად სულ უფრო და უფრო მეტს წარმატებას აღწევენ ამ თავი-
ანთ მისწრაფებაში. სწორედ ასეთივეა „ქუთაისის ტახტის“ საკი-
თხიც.

დასაწყისში ეს ჩვეულებრივი უფლისწულის საკითხია, რამდენი-
მედ გართულებული მონალოლთა პირობებში.

სანამ გამაერთიანებელი ძალები განსაზღვრავდნენ პოლიტიკურ
გეხს, „იმერთა მეფეც“ არ იოცნებებდა „აფხაზეთით“ შემოფარ-
გვლას, არამედ „ნიკოფსით დარუბანდამდის“ პოლიტიკა იყო მისი
სარბიელი.

„ორისავე ტახტის გამაერთიანებლობა“ სრულიადაც ბაგრატი-
ონთა აღმოსავლურ შტოს განსაკუთრებული საქმიანობა არ ყოფილა.
ამ ეპოქაში ის ასეთივე საქმიანობა უნდა ყოფილიყო დინასტიის და-
სავლურ შტოსთვისაც და სხვაგვარი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის
წარმოება ამ ღრის არც ამ უკანასკნელთ შეეძლოთ. და ეს არა
მარტო XIII საუკუნეში, თვით XV საუკუნის მეორე ნახევარშიაც
კი „იმერთა მეფე“ ბაგრატ „ორისავე ტახტის გამაერთიანებლად“
გვევლინება და მისი პოლიტიკური პრეტენზიები ჯერ კიდევ შეეფე-
რება იმ ტიტულატურას, რომელსაც, როგორც ირკვევა, არც მთლად
უშინაარსოდ, ან უკეთ, არც თუ მხოლოდ ისტორიულ შინაარსის
სამკაულად სთვლიან და ატარებენ, როგორც ლიხთ-ამერეთის, ისე
ლიხთ-იმერეთის ეს მეფეები.

არა თუ დავით ლაშასძის და დავით რუსულანისძის მომხრე ფე-
ოდალური დაჯგუფებანი არ იყოფებოდენ ამერელ-იმერლებად, ასეთ
რასმე ჩვენ XV საუკუნის მეორე ნახევარშიაც კი ვერ ვხედავთ.

ესა თუ ის დიდგვარიანი ან ასეთების ჯაუფი ემხრიბა „ამერელს“
თუ „იმერელ“ მეფეს არა ამ მეფეთა სადაურობის მიხედვით, არა-
მედ იმის მიხედვით, თუ რას უკარნახებს მას საკუთარი ფეოდალუ-
რი ინტერესები, ხოლო თვით მეფის პოლიტიკა არ შეიძლებოდა
ყოფილიყო სხვა რამ, თუ არა ამ ფეოდალურ ინტერესთა თანასწორ-
მოქმედი. მეფეთა პოლიტიკა კი არ განსაზღვრავდა ფეოდალების პო-
ლიტიკას, პირუკუ, უკანასკნელთა ინტერესები განსაზღვრავდნენ, სა-

ბოლომ ანგარიშით, პირველს. ამის შემდეგ ბუნებრივად გასავაძი
ხდება, თუ როგორ იყო, რომ ლიხთაქეთის მეფეები „ეზრახებოდებული
ნენ“ ხოლმე ლიხთიქითის ფეოდალებს „საკუთარ მეფის“ წინაშე დანიშნული
დეგ, ისე როგორც იმერელი „გამაერთიანებლები“ . პოულობდნენ
მხარის დამჭერთ ამერელ ფეოდალებში. და მხოლოდ თანდათან, ქვეყ-
ნის ეკონომიურ დაცემასთან დაკავშირებით, როცა სამთავრო - სა-
ფეოდალოების ინტერესები აღარ გადასცდებიან იმ საზღვრებს, რო-
მელიც მათ დაცემულმა ეკონომიკამ და ამ ნიადაგზე ფრთაგაშლილმა
თემობრივობამ შემოუფარგლეს, „ერთგულებასა ზედა თვისთა რჩე-
ულთა მეფეთა“ დაგნენ ფეოდალები და ლიხთ-იმერეთის მეფის
სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ისევე შემოიფარგლა ლიხთ-იქითით,
როგორც ქართლის მეფეთა ან კიდევ კახთ ბატონთა პოლიტიკა სა-
თანადო კუთხეებით.

ეს იყო ნელი, თანდათანი და ხანგრძლივი პროცესი. XV სა-
უჯუნის დასასრული ამ პროცესის ქრონოლოგიური ტეხილია, როცა
უდავო შეიქმნა დამრღვევ ძალთა უბირატესობა გამაერთიანებელ ძა-
ლებთან შედარებით. არსებითად აქ არის ამ პროცესის დასასრული.

„შემდეგდროინდელი (XVI საუკუნე) ამავე ხასიათის მოვლენები
მხოლოდ იმის მოწმობად გამოდგებიან, თუ რა ძნელად გაიმარჯვა
ქვეყნის ამ დაშლის ტენდენციამ და რომ გამაერთიანებელი მომენ-
ტები ჯერ კიდევ ცოცხლობენ, რომელთა გაძლიერებას, სამწუხაროდ,
ხელს არ უწყობდა ეხლა არა მარტო ქვეყნის სამეურნეო განვითა-
რების პირობები, არამედ საგარეო პოლიტიკური გარემოც. „

აღწერილ მოვლენისათვის წინამდებარე მასალა შემდეგ სურათს
იძლევა: შიდა ქართლში ჯავახიშვილები უთანხმოებაში არიან ციცი-
შვილებთან. ჩიეავასძეც მტრობს მათ და თავს ესხმის საციციანოს.
სამხრეთ დასავლეთიდან მესხებიც გადმოიდინ ხოლმე. მეფე გახტანგს
წასახდენლად სურს თავისი ცოლის ძმა თაყა ციციშვილი. აქ გამრე-
კელ ჯავახიშვილი ცდილობს და დიმიტრი ბატონიშვილის შემწეო-
ბით თაყას წახდენისაგან გადაარჩენს. ვახტანგ მეფე არც თაყა ამი-
ლახორთან არის კარგს განწყობილებაში. ის დაიჭერს მას და „ლეხთ-
იმერით“ ჰყავს ტყველ. სამაგიეროდ, ვახტანგის ერთგულნი ჩანან ჩი-
ჟავასძე და ჯავახიშვილი. ვახტანგ მეფეს უპყრია როგორც ქართლი,
ისე იმერეთიც. უფლისწული დიმიტრი „გალმა მხარის“ პატრონია.

ვახტანგის შემდეგ გიორგი მეფემ „ქუთათისი წაართო“ [ბაგ-
რატეს]. ბაგრატ იმ თავითვე მეფე არ ყოფილა. ის უნდა ერისთავი-
ბატონიშვილი ყოფილიყო. შემდეგ 1453/4 წელს აჯანყებულ ბა-
ტონიშვილმა ბაგრატმა „ქუთათის გაილაშქრა“. მწვავე ბრძოლა-

შეფე გიორგის დამარცხებით დამთავრებულა, თუმცა ქუთათიხი თუ გიორგის ხელთ დარჩენილა; 1466 წელს ქუთათისი კოსტანტინე ფავსტ მიტრისძის ხელთ არის და ეს მაშინ, როცა კოსტანტინე ჯერ უდიდეს ბაგრატს არ დამორჩილებია და ათაბაგ ყვარყვარეს მიერ დატყვევი-ბული გიორგი მეფის მემკვიდრეობას ცდილობს (საქ. სიდ. II, 19).

აჯანყებული ბაგრატ „მეფედ“ კურთხეულა. ყოველ შემთხვევაში, 1463 წლის აღრე ის უკვე „მეფედ“ იწოდება (იხ. აქვე გამრეკელ ჯავახიშვილის საჩივრის წიგნი).

ბაგრატსა და გიორგის შორის ამ ომის დროს უკანასკნელის წინააღმდეგ აღმოჩენილა მისივე ამილახორი, რომელსაც ამის შედეგად დაუკარგავს „მამული“. მეფე გიორგის „დაუღარიბებია“ ის.

იმერეთში გამარჯვების შემდეგ ბაგრატს ბრძოლა ქართლში გადმოუტანია. აქ მას ჰყავს აშკარა თუ ფარული მომხრები. გაბელისძე ბაგრატ მეფის აშკარა მომხრეა. მეფე გიორგი არც ციციშვილებთან ჩანს სასურველ განწყობილებაში: ერთხელ, როცა ბაგრატ მეფე გადმოდის და ციციშვილს ლაშქარს გაუძახებს, მეფე გიორგი არ იძგრის ყმის მისაშველებლად და გამრეკელ ჯავახიშვილი მეფის უნებურად მიღის თავისი ლაშქრით და ბაგრატ მეფის მარბიელთ განდევნის.

XV საუკუნის სამოციან წლებისათვის ურთიერთ შორის მოქიშპე მეფეთ გარდა ბატონიშვილებიც ერევან პოლიტიკურ ცხოვრებაში: კოსტანტინე და დავით დიმიტრისძენი. კოსტანტინე, როგორც უფროსი, საფიქრებელია, გაღმა მხარის ბატონი ყოფილიყოს: დიმიტრის ვახტანგ მეფემ გაღმა მხარი „მიანება“; დავითი გამოღმა მხრის მებატონე ყოფილა.

ორივე გიორგი მეფის მორჩილებაში ყოფილან. თვით მეფეს ჰყავს ვაჟი ალექსანდრე, რომელიც მას ჯერ კიდევ 1463 წელს „მეფედ“ ჰყავს მოხსენიებული (საქ. სიდ. II, 19). ტახტის მემკვიდრის ნააღმდევად მეფედ გამოცხადება ასეთ პირობებში სრულიად გასაგებია.

არა თუ ბაგრატ მეფე, კოსტანტინე და დავითიც კი ტახტის მებიებელნი იყვნენ. მათი მორჩილება და ერთგულება ერთობ პირობითი და სათუო უნდა ყოფილიყო.

გიორგი მეფეს ყვარყვარე ათაბაგი ატყვევებს 1466 წელს. უმალ იცვლება სურათი: კოსტანტინე გამეფებას ლამობს და დროებით კიდეც აღწევს ამას. მის ხელშია გორი და ქუთათისი. დავით ბატონიშვილი წაუვა ძმას და მეფე ბაგრატს ეყმობა. ტახტის კანონიერი მემკვიდრე ალექსანდრე არც ერთს ახსოვს.

ბაგრატ მეფე სჭრაფად გადმოდის და ქართლის დაპყრობას ცდილობს. მის ძველ მომხრეებს ეხლა ბატონიშვილი დავით და მისი ყმა

ზევდგინიძეც ემატება. უკანასკნელი ასეთ სამსახურისათვის დიდი
ხნის წინად ჩამორჩთმეულს სახელოს, თავის „მკვიდრ მამულს“, გლო-
რის მოურავობას დაბრუნებს. კოსტანტინე მეფე, როგორც შემდეგ
ამის შემდეგ ბაგრატ მეფესთან ბრძოლას უიმედოდ უყურებს და ისევ
მორჩილებას არჩევს.

ამის შემდეგ ბაგრატ მეფეს მეტოქე აღარა ჰყავს და ისიც „ყოვ-
ლისა საქართველოსა“ მეფე ხდება. ქართლში გადმოსული ბაგრატ
სრულიადაც არ იქცევა როგორც დამპყრობელი ვინმე და არამკვი-
დრი მეფე. მას ქართლი სრულიადაც არ წარმოუდგენია დაპყრობილ
ქვეყნად, არამედ თავი ქართლის მემკვიდრე მეფედ მიაჩნია. ის ისე-
თივე „ორისავე ტახტის გამაერთიანებელია“, როგორც სხვა რომე-
ლიმე მეფე ლიხთ-ამერიდან თუ ლიხთ-იმერიდან.

დიდგვარიანთ ორიენტაციებს უპირველეს ყოვლისა მათი ფეოდა-
ლური-სამამულო ინტერესები განსაზღვრავენ და ყველა სხვა მომენ-
ტი მეორადი ხასიათისაა.

ბაგრატ მეფე არც ფეოდალებს მიაჩნიათ უცხოელად და ყოვე-
ლივე ყოფილი გარეშე დგებიან მის მხარეს, როცა კი იმ თავიანთ
ინტერესების დაკმაყოფილებას მისგან ელიან და ასე იქცევიან არა
მარტო ჩვეულებრივი ფეოდალები, ასე იქცევა „ამერელი“ უფლის-
წულიც.

II. საბუთების სამორთო აღწერა

სრულიად ბუნებრივია, რომ საისტორიო წყაროთა ფეოდალურ
ეპოქიდან ჩვენს დრომდე მოღწეულობის მხრით ჩვენ მეტად მძიმე
მდგომარეობაში ვართ. „უამთა სივეს“ ისტორიულ ქარტებილებს,
თან გადაპქონდათ აღამიანთ ნამოქმედარის კვალიც, საბუთებისა და
სხვა მსგავსი დოკუმენტალურ მასალის სახით.

შედეგად — წყაროთა დიდი უსწორმასწორობა, ზოგან სიუხვე,
ზოგგან „უდაბნო“, ზოგგან ნაკლული და კანტიკუნტი. წყაროთა ასეთ
ნაკლებობით განსაკუთრებით ცნობილია ჩვენი ისტორიის XIV—XV
საუკუნეები. ქ

მაგრამ, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ის მცირედიც კი, ამ სა-
უკუნეთა შესახებ რომ მოიპოვება, აქამდის მთლიანად შეგროვებულ
დამუშავებული და გამოქვეყნებული არა.

თავი რომ დავანებოთ უცხოეთის არქივებს, სადაც, მოსალოდნე-
ლია, არა ერთი ძვირფასი ცნობა იქნება შემონახული, — ჩვენში და-
ცული ეპიგრაფიკული წარწერანი, მინაწერები ძველს ხელთნაწერებ-
ზე, მატიანე — მოსახსენებელნი, სიგელ გუჯრები თუ სხვა, სამართლი-

ანად ელიან შეკრება-დამუშავებას და გამოქვეყნებას. ამ გზით მოშენება ველია მრავალი ახალი ცნობა შეგვეძინება, რის შემდეგ შესაძლებელია გახდება აღნიშნულ ეპოქის ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების რამდენადმე ნათელ სურათის გადაშლა.

უნდა აღინიშნოს, ასეთი შრომა „უმადურია“: ეფექტი ოდნავადაც არ შეეფარდება გაწეულ შრომის რაოდენობას.

მიუხედავად ამისა ეს შრომა უნდა აუცილებლად გაწეულ იქმნას: წარსულის ნანგრევებიდან უნდა ამოიკრიბოს და გაიშმინდოს ისტორიის ის საშენი მასალა, რომლის მიხედვით ჩვენი წარსულის ნამდვილი, მეცნიერული შენობა უნდა აგებულ იქმნას.

XIV—XV საუკუნეებს შეეხება წინამდებარე საბუთები *. პირველი ოთხი მათგანი უეჭველად ერთი პირის მიერაა შესრულებული. ქალალდი, მელანი, ხელი, ენა — ყველა ერთია.

შინაარსის მიხედვით ეს ოთხი კი არა, ერთი საბუთია, ოთხ ფურცელ ქალალდზე დაწერილი. ის ერთ-ერთ ზევდგინიძის მიერ დარბაზისადმი მირთმეული საჩივრის შვივია.

საბუთი უთარილო, მაგრამ მისი დათარილება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მოჩივარი თავის არჩას სწერს ბაგრატ მეფის გარდაცვალების შემდეგ (†1478) და კოსტანტინეს მეფობაში, ე. ი. XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, არა უგვიანეს 1504 წლისა. (ქალალდის ჭვირნიშანიც XV საუკუნის მეორე ნახევრისაა: ხარის თავი მოხრილი რქებით; თავის თხემიდან ავლებულია გრძელი სწორი ლერო რვა ყურა ყვავილით).

ოთხივე ფურცელი, როგორც აღნიშნეთ, ერთი საბუთია. შინაარსის მთლიანობა ამას ამტკიცებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ცალკე ფურცელი ტექნიკურად მეორესთან დაკავშირებული არაა. არც ერთი ფურცელი ბოლომდის ისე დაწერილი არ არის, რომ ცარიელი ქალალდი დატოვებული არ იყოს. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქო ესენი ერთი მთლიანი მოთხრობის ცალკე-ცალკე ნაწყვეტებია...

ეს გარემოება, ვფიქრობთ, აიხსნება ტექსტის არა მარტო მექანიკური დაზიანებით (სიტყვების, სტრიქონებისა და, შესაძლებელია,

* ამ საბუთების გამოცემა ჩვენ 1929 წელს განვიზრახეთ. მუშაობის დროს აღმოჩნდა, რომ ამ ჩვენი მასალის ნაწილი გამოსაცემად დაემზადებია (მაგრამ არა დედნების, არამედ პირ ების მიხედვით) ს. კაკაბაძეს.

რვა წლის უშედეგო ლოდინის შემდეგ ჩვენ მორალურ უფლებას ვაძლევთ თავს დედნების მიხედვით დამზადებული ჩვენი მასალა გამოვაჭვეცნოთ.

მთელი ფურცლების დაკარგულობა...), არამედ იმითაც, რომ ეს საბუთო შევია და საბოლოოდ გამართული არაა.

ამას გარდა ჩვენი საბუთი დასრულებული არაა. ტექსტი ისე წყდება, რომ არა ჩანს, თუ სახელდობრ რა „წაეკიდა“ მოჩივარს და ვის მიერ, ან რა არის ამ საჩივრის უშუალო მიზეზი.

ამ ნაკლს თითქო ავსებს ზევდგინიძიანთ ორი სხვა საბუთი (ფურც. V—VI).

ისინი ორივე ერთის ხელითაა დაწერილი. დამწერლობა, ქალალდი XV საუკუნისაა. ენა ისეთივე, რაც წინა საბუთებისა. შინაარსით ესეც საჩივრის წიგნებია. შიგ მოხსენებული პირები (თაყა, მოჩივარის ძმა, ზაალ) იგივე წინა საბუთების პერსონაჟებია.

დრო დაწერისა (გიორგი მეფის შემდეგ) აგრეთვე უდგება წინა საბუთის დაწერის დროს. ამიტომ, ვთიქრობთ, შესაძლებელია ეს ორი ფურცელიც წინა საბუთის გაგრძელებად და დასასრულად ჩავთვალოთ.


მაშინვე ჩვენთვის ცხადი შეიქმნება, თუ რა ნიადაგზეა უთანხმოება მოჩივარსა და მოადს შორის, რა საბუთიანობა აქვს თითოეულ მხარეს და რა კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებით ატყდა ეს სარჩელი.

თურმე ძმისწული ზაალ (ფურც. III) მოსაკლავად თავს დაესხა ბიძას (ფურც. VI) და ეს ხდება „მკუიღრსა და ნასისხლს მამულზედა“ (ფურც. VI). ზაალ საგვარეულო ქონების უდიდეს ნაწილს იჩემებს. აქ ის ნაშვილების წიგნს ეყარება. ამ წიგნით მამა მისი, მოჩივარის ძმა, ამილახორი (ფურც. IV) თურმე უშვილებია (ფურც. V) მოჩივარის ბიძას ამილახორს (ფურც. II) თაყას (ფურც. V). მოჩივარი არ სცნობს ამ წიგნის კანონიერებას, ნატყუარად აცხადებს მას (ფურც. V) და თავის უფლებას საერთო მამულზე ამ მოხსენებით ამტკიცებს (ფურც. I—VI).

ამიტომ ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ V და VI ფურცლები დამწერლობით და ზოგიერთ გამონათქვამებითაც (მიმართვა „პატრონი“, „ბატონი“—ს ნაცვლად) განსხვავდებიან პირველი ოთხი ფურცლისაგან, ისინი მაინც ერთ მთლიან მოხსენების ნაწილებად მიგვაჩნია, რომლის პირველი ოთხი ფურცელი ერთ მწიგნობას დაუწერია, ხოლო დანარჩენი მეორეს.

როგორც აღნიშნეთ, ჩვენი საბუთის ტექსტი მეტად დაზიანებულია; აკლია მთელი სტრიქონები, სიტყვები, ასოები. ასეთ პირობებში ტექსტის აღდგენა, ბუნებრივია, ზოგვან სადათ აღმოჩნდეს.

ენა საბუთებისა თავისებურია. ის ლაქონურია და სპეციფიკურად მოხსენების ენაა. ამიტომ განკვეთის ნიშნების დასმაც არაა

აღვილი და ზოგჯერ სადაო და საპასუხისმგებლოცაა. (მაგალითად, V ფურცლის მე-14-ე სტრიქონში თუ მძიმეს დავსვიმო „ წინ, მაშინ მივიღებთ, რომ გაბელისძეს უნდოდა „გიორგი მეფის წახლენა“, ხოლო თუ ისე მოვიქცევით, როგორც ჩვენ დავსვით აქ ნიშინ, მაშინ გამოვა, რომ მოჩინარის ძმას უნდოდა „გიორგი მეფის წახლენა“).

არც წანაკითხის გაგებაა ყოველთვის უდაო. მაგალითად, II ფურცლში ვკითხულობთ: „გაუწყრა მეფე კოსტანტინი შეილსა, მეფესა ალექსანდრეს [და ალექსანდრე მეფე ათაბაგსა ივანესთანა წავიდა და მამა ჩემი თან წაჲყვა ლარიბობასა. ხუთსა წელიწადსა ლარიბობას იახლა. კოსტანტინე მეფემან ჩალალანს გაილაშქრა და იქი მოკლეს. მოვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა“ (სტრ. 6—12). სიტყვა „კოსტანტინი“-ში აქ შეეჭვება არ შეიძლება. ასევე ყოველ ეჭვს გარეშე იკითხება მე-10-ე სტრიქონში სიტყვა „კოსტანტინე“. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო აქ მეფე ალექსანდრეს მამიშვილობით აღნიშვნა წაგვევითხა. მაშინ წინადაღების ქვემდებარედ უნდა მიგველო „მეფე“ და მის შემდეგ უნდა აღგვედგინა „გიორგი“. ან შეიძლება სახელი „გიორგი“ ზემოდ ნაკლულევან ნაწილში იყო მოხსენებული და აქ „მეფე“-სთან ის იგულისხმებოდა (ამის ანალოგია აქ სხვაგანაც მოიპოვება).

მაგრამ ამით სიძნელე სრულიადაც არ დაძლეულა. გიორგი მეფე გაუწყრა „კოსტანტინიშვილსა მეფესა ალექსანდრეს“ და ალექსანდრე მეფე ამიტომ იყო ხუთ წელს ლარიბობაში. ხოლო მისი დაბრუნება გარევევითაა დაკავშირებული კოსტანტინეს და არა გიორგის სიკვდილთან. გამოდის, რომ ალექსანდრე მეფე ბიძას გაექცა და მამის სიკვდილს კი ელოდა, რომ დაბრუნებულიყო.

ამას გარდა ასეთ გაგებისას გამოვა, რომ საქართველოში ერთსაღა იმავე დროს მეფობენ გიორგიცა და კოსტანტინეც და გიორგი ცოცხალია კოსტანტინეს მოკვლის დროსაც. სხვა სიძნელებს რომ თავი დაგანებოთ, მარტო ესენიც ქმარა, რომ ასეთი გაგება უარვყოთ და „კოსტანტინი“ სახელობით ბრუნვად მივიღოთ და არა შექვეცილ ნათესაობით ბრუნვად: კოსტანტინის. „კოსტანტინი“-ს ანალოგიას ჩვენ ვპოულობთ VI ფურცლის მე-12-ე სტრიქონში: „ჩემი სიძე დეკანოსიძი გამოეგზავნა“. მართალია, წინადაღების წყობა უხეიროა: გაუწყრა მეფე კოსტანტინი შვილსა, მეფესა ალექსანდრეს“ და აშკარად ეწინააღმდეგება იქვე შემდეგ სტრიქონის „კოსტანტინე“-ს, მაგრამ ჯერჯერობით, ვფიქრობთ, ასეთი გაგება მაინც უფრო მართებულია, სანამ ჩვენ არ მოგვიპოვებია ისეთი საბუთები, რომელნიც

პასუხს გასცემდენ მეორე ნაირ გაგების ნიაღაგზე წამოჭრილ ქრისტიანული უკანასკნელი შემოაქვება.

ახლა თვით მოჩივარის ვინაობის შესახებ. ის თვით ამილახორი არაა. ამილახორი იყო მისი „ძმა“ და „ბიძა“. მოჩივარს არც მამა ჰყოლია ამილახორი. მას ერთი სხვა „ბიძაც“ ჰყავს — მამისა ზეპ-დგინიდე. უკანასკნელი მოჩივრის შორეული „ბიძა“ უნდა იყოს: მოჩივარი ართმევს მას სოფელ ახალციხეს და საგვარეულო ქონება-ში შემოაქვს.

ჩევნამდის მოღწეულ ამ ღროის საბუთების მიხედვით ეს პირი უნდა იყოს ან ავთანდილ ზევდგინისძე, ან კიდევ „პატრინი გუარამ“ ზევდგინისძე. უჩივის ის თავის „ძმის“ წულს, ამირინდო ამილახორის შვილს ზაალს. ზაალ ემყარება თაყა ამილახორის მიერ დადებულ ნაშეილეობის წიგნს, რომლითაც მას უშვილებდა მოჩივრის „ძმა“ და ზაალის მამა ამირინდო ამილახორი. ჩვენი მოჩივარის მამა უნდა ზევდებინ ზევდგინისძე იყოს, ხოლო თაყა ამილახორი „ბიძაა“ მისი. (რა თქმა უნდა, „ძმა“ და „ბიძა“, შესაძლებელია ყოველთვის ღვიძლ ძმასა და ბიძას არ გულისხმობდენ). გადაწყვეტით თქმა იმისა, თუ რომელი ამ ორთავანი არის მოჩივარი, გუარამ თუ ავთანდილ, ძნელია. თუმცა წიწამურის შესახებ საბუთში გუარამის დასახელება ამირინდოს გვერდით (ქრ. II, 205), ხოლო ჩვენს საბუთში (იბ. ფ. 4) მოჩივარის მტკიცება, რომ მან ამოიგო წიწამური, საკითხს თითქო გუარამის სასარგებლოდ სწყვეტს.

ჯავახიშვილთა ორ საბუთიდან ერთი თითქმის უნაკლულოა. ის დარბაზისადმი მირთმეული მოხსენებაა. მისი ავტორი გამრეკელ-ჯავახი-შვილის ერთ-ერთი შვილია, ან კახა ან ზაზა. საბუთი იწერება გამრეკელის სიკედილის შემდეგ, XV საუკუნის შესამე მეოთხედში.

მეორე საბუთი ორ სხვადასხვა ფურცელზე დაწერილი. მათი ქალალი სხვადასხვაა, ხელი—ერთი. შინაარსილან უდავოა, რომ ორივე ფურცელი ერთი საბუთია. ესაა გამრეკელ ჯავახიშვილის მიერ დარბაზისადმი მირთმეულ მოხსენების შავი. მაშასადამე, შესრულებულია ის 1463 წლამდის. საბუთის ერთი ფურცელი მეტად დაზიანებულია, მეორე შედარებით კარგადაა შენახული. ამ საბუთის ორივე ფურცლის ზურგზედ სპარსული ტექსტია მოთავსებული, რაც თავის თავად საინტერესო ფაქტია. XVI—XVII საუკუნეებში ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ დიპლომატიკაში. ამ მოვლენას უნდა ფეხი მოექიდა ჯერ კიდევ XIV საუკუნიდან. ყოველ შემთხვევაში XIV საუკუნის ერთ ქართულ საბუთზე სპარსული წარწერა უკვე გვხვდება.



პალეოგრაფიულად ყველა ეს საბუთები საინტერესონი არის მარტინ და მარტინ განვითარების გარკვეულ საფეხურს შეა-ფიოდ წარმოგვიჩენენ.

საინტერესოა ჩვენი საბუთები, როგორც ქართულ დიპლომატი-კის განსაკუთრებულ დარგის—დარბაზისადმი სასარჩელო მოხსენებე-ბის უძველესი ნიმუშები.

მაგრამ განსაკუთრებით თავისებური და საინტერესოა ყველა ამ საჩივრის წიგნების ენა: ლაკონური, მოქნილი, მკაფიო.

ସାହିତ୍ୟ ପରିଷଦ

საბ. № 1798 ძ. ჩ. საქ. მუხ. ხელნ. განკ., ზომით: 42×11. სანტ, დაწერილია შავი მელინით უჭვირნიშნით ქაღალდზე. ხელი: მე-15-ე საუკუნის მხედრული; საბუთი მეტად დახიანებულია განსაკუთრებით მარცხნიანი მხრიდან. განკვეთის ნიშნები: ყოველ სიტყვის შემდეგ ორწერტილი. წერტილებით აღნიშნავთ დაკლებულ ასოთა დაახლოებით რაოდენობას, ხოლო კუთხოვან ფრჩხილებში ვათავსებთ აღნაღვენ სიტყვებს.

[ბატონი დარბაისერნო] გაიგონეთ ჩუენი საქ[მე]:

[ოდეს გიორგი მეფე] ოვეთით მოვიდა სხ -*

[უილოსი ამო]წუუღილნი დახუდეს. ორნი ქა-

[ლნი დახუ]დეს სხუილოსელთა¹, ერთი კოჭლი

.....[გიორგი მეფე]მან² ასრე უბრ[ძანა]: 5

[კოჭლსა ქალსა ვინ]ც შეირთავთ, ამა სხუილოსუ-

[რსა მამულსა მო]გცემ³. ის კოჭლი შეირთო

[ზევდგინიძემან] დაუბოძა სხუილოსური მამული.

[გამოკედა დიდ]ი ხანი და გაილაშქრა გიორგი² მე-

[ფერნა თათარ]თა. აქ ჩემი გუარის კაცი ოცდა ცხრა-

[ნი დაკოცნეს] და ერთი კელთა დაირჩუნეს. დ-

[ა ათაბაგსა ა]ღბულას³ თათარნი მოუკდეს. ერთი

.....თავადი თათარი დარჩა კელთა და ის

[ჩემი გუარის] კაცი იმითა დაიხსნა დიდმა აღბ-

[ულა. გაუშ]უა და იმავე მკუიდრსა მამულზედა

[მოვიდა. და ქართველნი ერთობ დაღონებულნი

[იყუნეს. წავიდა გიორგი] მეფე და აღბულას შეეხუეშა.

.....გამოარჩივეს ერთი უშვილო კა-

[ცი. უთხრეს: „მე]ჟვე კელთა შევიპყრათ და ქართლი

[ჩუენ დაგურ]ჩებისონ“. კუკას გუარის კაცმან ჩემსა

[გუარის კაცსა გა]ანდო. იმან მეფესა არ დაუმალა.

[უთხრა მეფეს]: დასტურად გუილალატებენო.

[ღამეს, რ]ომელსა ულალატებდეს, მეფის საგებ-

[ელში ის ჩუე]ნი გუარის კაცი დაწვა და მეფე წ-

[ავიდა. მივიდეს და ჩემი გუ]არის კაცი^{**} დაირჩუნეს და მწოვედ დაქო-

[დეს და სიკუდილ]სა ულამოდეს და, როგორაც ეს 25

[იცნეს, რომე ზ]ევდგინიძე არისო, აღარ მოკლეს.

* საბუთებში მართლწერას ტექსტისას ვიცავთ, განკვეთის ნიშნებს კი არა. არც გადატანის აწინდელ დამარცვლის წესს აღვადგენთ და ტექსტს უცხლელად ვტოვებთ; მხოლოდ გადატანის ნიშნებს ვსხამთ.

** „არის კაცი“ სტრიქონს ზემოდან სწრებია ტექსტის ხელით და მელნით,

.....მოვიდა ამავე ჩუქუნსა დიდსა მამ-
 [ულზედა და უბოძა] მეფემა ნასისხლად მღუმე ⁴ მი-
 [სითა შესავლი]თა სასაფლაოდ. — ახალციხე ⁵, სამოცი ტ-
 [უამლი კაცი] ესახლა. და ხუთი დახატული ჩარდა-
 [ხი].ი მოწყობილი უბოძა სისხლად.
ნის * მამისა და თაყა მამისას შეილი, თა-
ყას შეილნი ავთანდილ და ჯანიბეგ ^{**}.

30

საბ. № 1799 d. h. საქ. მუხ. ხელ. გან., ზომით: ქაღალდი $40 \times 15\frac{1}{2}$, სანტ,
 ტექსტი $36 \times 15\frac{1}{2}$ ს, დაწერილია შავი მელნით ჭვირნიშნიან ქაღალდ-
 ზე: ხარის თავი მოხრილი რქებით. ხელი: მე-15-ე საუკუნის მხედრუ-
 ლი. საბუთი დაზიანებულია. განკვეთის ნიშნები: ყოველ სიტყვის შემ-
 დეგ არწერტილი.

წერტილებით აღნიშნავთ დაკლებულ ასოთა დაახლოებით რა-
 ოდენობას, ხოლო კუთხოვან ფრჩხილებში ვათავსებთ აღნადგენ სი-
 ტყვებს.

.....სა მამულზედა წავიდა და ავთან-
 [დილ სხუილოსურსა] მამულზედა დადგა. ავთანდილს ¹...
[ცხ***]ენი წაექცა და დედაკაცსა ველარა და-
მოიყვანა მისი ტანი ძმისწული-

[მამა] ჩემი და ამა მკუიდრსა მამულზედა დასუა და ბ-
 [იძა] ჩემსა თაყას ² ბარათა ³ ზრდიდა. გაუწყრა მე-
 [ფე კოსტა]ნტინი ⁴ შეილსა, მეფესა ალექსანდრეს ⁵ [და]
 [ალე]ქსანდრე მეფე ათაბაგსა ივანესთანა ⁶ წავიდა
 [და მამა] ჩემი თან წაჰყვა ღარიბობასა. ხუთსა წე-
 [ლი]წადსა ღარიბობას იახლა. კოსტანტინე მეფე-
 [ემან] ჩალალანს ⁷ გაილაშქრა და იქი მოკლეს. მო-
 ვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა.

5

10

* ამ „ნის“ წინ რაღაც ასოს ნაშთი მოჩანს. ის შეიძლება იყოს „ა“-ნი რა-
 ღაც ფეხიან ასოზე გადაბმული. ყოველ შემთხვევაში, ა'ნი თუ არა, ის ე'ნი ან
 ი'ნი არ შეიძლება იყოს.

** უკანასკნელი სტრიქონი ტექსტისავე ხელით (၇) მის მეორე მხარეზე სწე-
 რია. ტექსტი შეწყვეტილია სიტყვაზე „ჯანიბ“ და მეტი აღარა არის რა.

*** ამ „ენი“-ს წინ რაღაც ასოს ნაწილია გადარჩენილი. ის ასო ხ'ანი შეიძ-
 ლება იყოს. ამიტომ აღდგენა [ცხ]ენი შესაძლებელია.

[მო]ვიდა მამა ჩემი იმავე მკუიღრსა მამულზედა, სხუ-
 ილოზედა დაჯდა. მაშინდელი აღარავინ ცოცხალა
 [ზაქარიას მეტი და ზაქარიას ჰ ჰეთხეთ, ოოვორა ჰ-
 ყველა მეფესა ალექსანდრეს მამაჩემი. მერმე თაყ-
 [ა]ც მოიწიფა და ორნივე კამყოლად ჰ ჰყვეს
 და მსახურებდეს ამავე ჩუენითა მკუიღრითა მამ-
 ულითა. მერმე დაჯდა ვახტანგ ¹⁰ ბატონად და ბი-
 ძა ჩემი ამილახორი მისი ქუისლი იყო და კელ-
 თა შეიპყრა ვახტანგ მეფემან და არც ერთი გ-
 ლეხი შეუცვალა მამა ჩემსა. ასრე უბძანა: „შენ
 არა შეგიცოდებია რა, არას წაგართომ“ და ისრე-
 ვე აქონა მისი მკუიღრი მამული. ბიძაჩემი ლეხ-
 თიმერით ტკუედ ჰყვანდა და მამაჩემი გორს ციხ-
 ეს უდგა და არა დააკლო რა მისის მკუიღრის
 მამულისაგან. ასრე მკუიღრი არის. არც ერთი კუა-
 მლი კაცი არა შეუცვალა მეფემ ვახტანგ მამა ჩ-
 ემსა, ბატონო დარბაისერნო. ასრე ძუელ-
 ითგან ნამსახურნი ვართ მეფეთანი. რის თავზე-
 და წავედით, თქუენვე გაიგონეთ *.

15

20

25

30

საბუთი № 1800 ძ. ჩ. საქ. მუხ., ხელნ. განყ., დაწერილია შავი მელნით
 ჭვირნიშნიან ქალალდზე: რვა ყურა ყვავილი გრძელ და სწორ ღვ-
 როზე. ხელი: მე-15-ე საუკუნის მხედრული. საბუთი მეტად დაზი-
 ანებულია ზემო და მარცხენა აშიების მხრით. ზომა: 37×14,5 სანტ.
 წერტილებით დაკლებულ ასოთა დაახლ. რაოდენობას აღნიშ-
 ნავ, კუთხოვან ფრჩხილებში აღდგენილ სიტყვებს ვათავსებ.

(აკლია ორი სტრიქონი).

-[გიორგი]გი მე- ¹
- [ფე].....[ქუთა]თისი წაართო. ჩემი
-[გა]მოიყვანეს ციხიდალ[მა]
-[და არც] ერთი კუამ[ლი]
- [კაცი].....მა ჩემთუის მოცემულზედა იყო.
-ბაგრატ ² ** ქუ[თათი]სს *** გაილ[აშ]-

5

* ტექსტი სრულდება და აშია ცარიელია.

** ჩანს ბ'ანის ბუნი თავით, გ'ანის თავი და ტ'არის მუცელი.

*** ჩანს: „ქუ“ და ბოლო „სს“. მათ შორის „თათი“-სათვის საკმაო ადგილი სრულიად ამოვლევილია.

[ქრა..... გიორგი] მეფე. შევიბენით, მოგ-
 ჩემი ძმა კელთა დარჩ[ა]
ის ვიყავ ღრთმან იპრიანა, გიო-
 [რგი მეფე მე] წამოვიყვანე და ოცდა ოთხი
 [შუბი] და ისარი და კრმალი მესო ისეთმან წამო-
 ვიყვანე. ერთობილნი მოწამენი არიან დარბაი-
 სერნი. ასრე ნამსახურსა და მას ქუეშე მკუდარსა
 მას წამსავე ციხე დამიქცივეს. რის თავზედა
 მიყო, ყუელა იცით, ბატონო დარბაზისერნო. 15
 მოვიდა ჩემი ძმაც³ და დაგუიბყრნა გიორგი
 [მე]ფემან კიდევე კელთა და ასრე გუიბძანა: „რაც
 [აზნაურიშვილ]ები დარჩა კელთა, გამოაშუები-
 [ნებთ], კარგია, თუარემ არც ერთსა არ გავი-
 შუებ“. დაპირდა ჩემი ძმა გამოშუებასა და ზა-
 ალ⁴ ტყუედ დაიჭირეს აქა და ასრე უბძანა მეფე-
 მან: „თუ აზნაურიშვილებსა არ მამისხამ, ზაალს
 ყურუმშის⁵ მივსცემო“. ამისნი მოწამენი მ-
 რავალნი არიან. ის კიდევ დაალარიბნა და მე
 დამიჭირა და ისივ მამული კიდევე მაქონა. ჭო-
 პარტს⁶ ზაქარია ებოძა მეფესა ჩემთუის: ალონს⁷
 წამამყევ და, რაც შენი მკუიდრი მამული არი-
 ს, არას დაგაქლებ, ისრევ მოგცემო“. ამისი მო-
 წამე ზაქარია⁸ არის. აწ ამაშიგა ზაალ თათარჩიგა
 მიჰყანდა. ასრე ვთქუი: ჩემი გუარის კაცი მისდ-
 ღეჩიგა თათარჩიგა არ დატყუებულა, ამას
 რასათუის ვიქ, რომე ისი ტყუედ წაიყვანონ?
 თუმც იმ დღესა, ზაალის გულისათუის არ მე-
 ქნა, არც ერთსა კუამლსა კაცსა არ დამაკ-
 ლებდა გიორგი მეფე. ესეც თქუენვე
 გაიგონეთ, ბატონო დარბაზისერნო. 30
 35

საბ. № 14631 d.h. საქ. მუხ. ხელნ. განყ., ზომით $36 \times 15,5$ სანტ, დაწერილია შავი მელნით ჭვირნიშნიან ქაღალდზე: ხარის თავი მოხრილი რქებით. ხელი: მე-15 საუკუნის მხედრული. საბუთი დაზიანებულია გან- საკუთრებით ზემო აშიის მხრით. თავში სამი სტრიქონი სრულიად აკლია: № 1799 საბუთი თავსა-და ბოლოში სტრიქონი არ აკლია; ამ საბუთის ქაღალდი სრულიად ისეთივეა — ჭვირნიშანი, განი, — ხო- ლო მისი სიგრძე 40 სანტიმეტრია; 4 სანტიმეტრზე კი ჩვენი მწიგ- ნობარი 4 სტრიქონსა სწერს. განკვეთის ნიშნები: ყოველ სიტყვის შემდეგ თრწერტილი.

წერტილებით აღნიშნავ დაკლებულ ასოთა დაახლოებით რაო- დენობას, ხოლო კუთხოვან ფრჩხილებში ვათავსებ აღნადგენ სიტ- ყვებს.

(აკლია სამი სტრიქონი).

[გ]ულისათუის და მათისა გაუყ[რელობისათუის თათა]-

რჩიგა წავე სამსა წელი[წაღსა].....

..მათის გულისათუის ცხენის.....[შეიძ-

* ყ[რა ათაბაგმან¹ გიორგი მეფე] და გარდმოვიდა მე- ფე ბაგრატ]². მე ბატონსა დავითს * ასრე [მოვა]-

[ხ]სენე: „თუ შენ ბაგრატ მეფისა ყმა არ შეიქ- ები, მე ჩემსა მამულსა არავინ მამცემს“. წაუვიდა მ[ი]-

[ს] ძმასა ჩემის მამულის გულისათუის და ბაგრატ მეფი- სა ყმა შეიქნა. თუმცა ყმა არ შექნილიყო, ჩე-

მსა მამულსა არავინ მოგუცემდა. ამისი მოწამე ბა- ტონი დავით არის. ახალციხე³ მამისა⁴ ბიძაჩემსა ჰქონ- და, წიწამური⁵ მცხეთისათუის შეწირული იყო,¹⁸

ღურო⁶ ჯანდიერიშვილსა⁷ ჰქონდა. ასრე წამირ-

თმევია, არას ბატონისათუის ჩოქი¹⁰ არ მიქნია.

თუ ამას იტყუიან, თუ: ბაგრატ მეფემან მოგუცა

მამულიო, საღამდის იმავე ჩემგან ნაშოების

მამულიდაღმა — წიწამურიდაღმა ასი კოკა ღუი-

ნო არ მივეცით, მანამდის გორის მოურაო-

ბა არ გუიბობა. ასრე არა გუაქუს რა ბაგრატ მეფის-

გან. აწ ამაშიგა მოვიდეს თათარნი¹¹ და მეფესა

ბაგრატს ასრე ებძანა ჩემის ძმისა ამილახორისათუის: ¹²

* აქ „რა“ კარგად ჩანს. ისიც ჩანს, რომ რ'აე ასოს წინ რაღაც ასო ყოფილა, რომელზედაც ეს რ'აე ყოფილა გადაბმული. ის შეიძლება ყოფილიყო ან ა'ნი ან რომელიმე ხაზს ქვედა ასოს: პ, უ, ე, კ, ჟ. კონტექსტით თიოქო ყ'არი უფრო მოსალოდნელია.

„გორს შემიღევო“ გორს ისი აღარ შევაყენეთ
 და ჩემი ძმა სულმამა¹³ შევაყენეთ. თუ ჩუენი [არ]
 იყო მამული, მაშინ რასათუის არ გუიბძანა ამილ-
 ახორმან, თუ: „თქუენი არ არის მამული, რასათუის
 მოჰკუდებიო“. მე ჩემის მამულის გულისათუის მო-
 ვეფუ * თუ ამას იტყუიან, თუ: „სულმამა ჩუენ
 დავიკსენითო“, მათ დია ცოტა გამოიღეს. ჩემის
 კრმლით ნაშოებითა დამიკანია. თუით სულმამა
 არის მოწამე], მერმე თუით ეს ბატონი კელმწიფე¹⁴
 მეფე არის მოწამე. დიდი მალი¹⁵ შემოგუაგდო ბა-
 გრატ მეფებან. ბაგრატ მეფე მოყუდა და უზუნ ასან¹⁶
 ამა ბატონისა მეფესა დაუწყო თხოვნა. მიმი-
 ცემია ჩემის მამულის გულისათუის. ჩემი მამული
 ამძუღვედილი იყო, ის ვერას გამოიღებდეს და ჩე-
 მითა კრმლითა ნაშოვნი მე გამოვიღე ხუთას-
 ი თანგა¹⁷ ერთხელ, რვაასი ერთხელ და ცხრაასი ე-
 რთხელ. ამისი მოწამე თუით ბატონი მეფე ა-
 რის. თუ ჩემი მკუიდრი მამული არ იყო, ჩემა ძმამ
 ეს რასათუის არ მითხრა: შენი მამული არ არის, შენ
 რისათუის გამოიღებ საქონელსა? ესე ყუელა ჩემ-
 ის რძლის შერთვაზედა წაგუექიდა.

საბუთი № 14632 d. h. დაწერილია ქალალდხე მე-15-ე საუკუნის
 მხედრულით. თავნაკლულია. მარცხენა აშის მხრითაც შეტად დაზია-
 ნებულია. დღეს ის საფენ ქალალდხეა გადაწებებული იმ საბუთის
 გვერდით, რომელიც ხელისა და ქალალდის მხრით ამ საბუთისაგან
 არ განსხვავდება — № 2. საბუთი უთარილა. ზომა ქალალდის
 27×15 სანტ, ტექსტის — 23×15 სანტ. საბუთი უნდა ეკუთხნოდეს
 ზევდგინიძიანთ გვარს. მე-19-ე საუკუნეში ამ საბუთზე ვიღაცა
 „უმუშენია“. ამოკითხული სიტყვები სტრიქონებს შუა ჩაუწერია.

.....ანუ თუმანისი უნდოდა ანუ მუ-
 [რადისი, ანუ] ზაქარიასი, ანუ ჯანისი და რატისი, მ-
 [ურადის შევილისა¹. თუ თაყამან² ჩემი ძმა იშვილა,
 [თავადთა] მოწმობითა უნდოდა, თუ არა გაბე-
 ლისძის³ დივნის დაწერილია და გაბელის-
 [ძის კელ] ჩართულითა ჯაკლობითა შვილობა იქნა

* აქ წაშლილია სიტყვა: მერმე.

და გაბელისძის ნიშნითა მეუბნების. მამუ-
[ლი] ჩუენი მკუიღრი იყო და ჩუენ ძმანი ერთ-
[სახლნი] ვართ. ჩუენსა მამულსა ვინ წაგუიღებდა მაგ-
[რა]....ყუელა გაბელისძმან თავის გამომა
.....თუ არა მეფეთა კელჩართული და მ-
ისთა მდივანთა კელწერილი და თავადთა მო-
[წმო]ბითა უნდოდა, თუ არა, გაბელისძი-
[ს მოწ]მობითა რომე გიორგი მეფის ⁴ წახდენა უნ-
[დოდა და] ჩუენს მამულზედა შვილობა უნდო-
[და], ვინ იყო ჩუენი მცილე, ესე თქუენ გასინ-
[ჯეთ], პატრონ(ნ)ო. თუ თაყამან ჩემი ძრა იშუი-
[ლა]....დია ადვილი იყო, რომე მეფეთა
ერთი ნიშანიც აეღო და მოეცა ანუ მე-
[ფე ალე]ქსნადრეს ⁵ კელი ყოფილიყო და ანუ გიორგის
[მეფის] ⁶ კელი, მაგრა აგრე ტყუილი არის, რომე
[მეფეთა] კელჩართულის მაგიერი გაბელისძის
[საკლჩართული და ნიშანი აქვს. ესეც თქუენ
[გას]ინჯეთ, პატრონ(ნ)ო, გაბელისძის მდივნის დაწ-
[ერილია]

10

15

20

25

საბუთი № 14632 დ. ჩ. დაწერილია ქალალდზე. ის მეტად დაზიანე-
ბულია: თავი აკლია, გვერდებიც ქალალდი გაცრეცილია და ტექსტი
გადასული. დღეს ის საფენ ქალალდზე დაწებებული. ზომა ქალალ-
დის 31×15 სანტ, ტექსტის— 27×15 სანტ. ქალალდი უჭვირნიშნოა.
საბუთი უთარილო. პალეოგრაფიულად: მე-15-ე საუკუნის მხედრუ-
ლი. რამდენი სტრიქონი აკლია თავში, გადაჭრით არ ითქმის. შინა-
არსის მიხედვით თითქო ბევრი არ უნდა აკლდეს.
საბუთი ზევდგინიძიანთ გვარისა უნდა იყოს

...(თავი აკლია).

ლ'თი არის თქუენი მოწამე თუ.....
..მოწამე ჩაჩაშვილი არის და ისი გაიკი[თხეთ და]
[პას]უხსა იგი მოგაქსენებს. ასრე ამა....[ვალ]-
დადებულის სანაცულოდ იპირიანა.....
მოკუდა ჩემი ძმა. ესე ყუელა ვალი დამედვა..
...ვთქუ, ვითა: „შვილად გამიზრდია ზალ“ და
ბატონობაც მას დაუბარე. ასეთს კაცს უბ[რა]-
ლოდ მიღალატა ჩემის ნასისხლის მამულისათუ[ის]

5

45

[და] ჩემს ნასისხლს მამულშიგა მოვიდა [და აღჭურვი-
 ლი]ყო ზალ და ჩემად სასიკუდილოდ წამოს-

[უ]ლიკო. შეეტყო ჩემსა რძალსა და * ჩ[ემი]
 ს(ი)ძე დეკანოს(ი)ძი (sic) გამოეგზავნა და ასრე ებრ-
 ძანა, ვითა: „[გაე]ცალე შენდა ღრთსა, თუ [არა]...

...ონი [არ] მორჩებით“. ასრე უბრალო(დ) მკუ-

[დარი] ვართ მისგან. [თუმცა] მისულვიყავ, თავით

[და] ცოლშვილითა დახოცილი ვიქნებოდი მისგან.

ჩემსა მკუიდრსა და ნასისხლს მამულზედან რაის-

[თუის] მამქლევდა, ესე თქუენ გაიკითხეთ, პატრონ(ნ)ო.

სოლალას პირითა ასრე შემოეთუალა, ვითა: ჩუენი

აზნაურისშვილები ამას გუეუბნებიან: ჩუენ მამუ-

ლი მოგუეცო და მოგუიმატეო და მას უქ[ან]

ის ჩუენი და ავთანდილისი ადვილი არისო. აწ

ამას მემართლების? თუ მისგან არ არის, ვინც-

ლა მოაკენა, ისი მომაგოს და მომცეს კე-

ლთა, თუ მართალია. თუ არა, ჩემი სიკუდილი მა[ს]

სდებია გულშიგა. თუ არა თქუენვე გასინჯეთ,

პატრონ(ნ)ო. ამა ყუელა ვალდადებულობისათუ-

[ს] რად მამქლევდა თქუენვე გაიკითხეთ ჩემის

მკუიდრის და ნაშოვნის მამულისთუისა.

15

20

25

* აქ რაღაც სიტყვა წაშლილია ტექსტისაფც ხელით.

საბუთი № 1801 d. h. (31,5 × 14,5 სანტ) დაწერილია იმავ საუკუნის ხე-
ლით, რაც საბუთი № 1570 d. h. (ჩვენი აზრით ორივე ესენი ერთი პირის
ნაწერია). როგორც ტექსტიდან ჩანს, ის მთლიანი არაა. წინა ნაწი-
ლი (გამოუკვეთელია რამდენი) აკლია. ქაღალდი სრულად ისეთი-
ვეა, როგორც № 1242 d. s., განიც ისეთივე აქვს. ჭვირნიშანი არ აქვს.
დაწერილია ეს საბუთი 1454 — 1463 წლებს შორის: გამრეკელ
ჯავახიშვილმა გორის მოურაობა მიიღო 1454 წელს, ხოლო, როგორც
გიორგი მეფის 1463 წლის წყალობის წიგნიდან ჩანს, გამრეკელ ამ
დროს გარდაცვლილადა საგულვებელი (იხ. საქ. სიც. II, 38 და 39).

.....გუიჩინეთ დ-
.....[გან]იღამც დავიჯ-

[ერე].....ასრე იყო ჩე-

მი და გულსურაბის საქმე: პირველსა ცოლთანა შუილ-
ნი შვილნი მედგეს, ოთხნი ვაჟნი და სამნი ქალნი.

5

[დ]ა მათ სიკუდილობა გამოველო და გულსურაბ უშ-
ვილო იყო და მისთვის შევირთე. ასრე ვთქუი, ვითა: ჩემნი
შვილნი ასრე უყუარდებიან, ვითამც მისნი შვილნი ა-
რიან და, თუ შვილთა მშობელსა დედაკაცსა შევირ-
თავ, ჩემნი პირველნი შვილნი და უკანანი ველარა შე-
წყობიან და მისთვის შევირთე გულსურაბ. ოთხს წელიწა

10

და დია ქარგა მამებყრა, როგორაც ცოლ-ქმრო-
ბისა წესი არის. მას უკანით მომიძულვა მე და დედა

15

[მა]მ(ა)ნი და ჩემნი შვილნი და აღარა მაამა რა. ციხეს

[ვ]მუშაობდი და ნამუშავები სადგომს ჩამოვე. მარ-
[ხვ]ა დღე იყო და ცოტაოდენი შემწუარი კალმახა მო-
ქმივიდა. დავსხედით ჭამად და ორი კალმახა გულ-
სურაბს მივართვი და ორი კალმახა ჩემთა შვილთა.

20

გულსურაბ ამაზედა ესე თქუა, ვითა: ესე ორი კალ-
მახა ვის ეკადრებისო? აღგა ჭამიდალმა გამომწყრა[ლი]

და დამაგდო. ტყეშიგან ქოხნი აიგნა და ოცსა დღ-
ესა მუნ იყო. მივიდა დედა ჩემი და შეეხუეწა, ვითა :*

ნუც ჩემსა შვილსა უზამ და ნუც შენსა

თავსა. არც მას დაუჯერა. მივე მე და ჩემნი შ[ვი]-

25

ლნი და კიდევე შევეხუეწენით და არც რა ჩუენ

დაგუიჯერა მალე. მეოცესა

დღესა მივიყვანეთ. პირველი დაგდება ესე. თუმ-

ც ჩემი თავი ნდომოდა, ასრე ცოტას მიზეზისა[თვი]-

ს ამას არ მიზემდა, მაგრა არა უნდოდი. **

* ეს სიტყვა გამეორებულია.

** ამის შემდეგ მისდევს რგასტროქონიანი სპარსული წარწერა. ის ქართულ-
ზედ უშინდელია. შინაარსით მას ქართულ საბუთთან საერთო არაფერი აქვს.

საბ. № 1570 d. h. საქ. მუხ. ხელნ. განყ., დაწერილია ქაღალდზე უკუკურნისა განვითარებულის ნიშნებად ნახმარია ყოველ სიტყვის შემდეგ სამწერტილი. საბუთი დასაწყისში დაზიანებულია ქაღალდის გაცრეცის გამო. ქაღალდი უკვირნიშნია. ტექსტის პირველი სტრიქონი აღარ იკითხება. საბუთის მეორე გვერდზე მოთავსებულია 14 სტრიქონიანი სპარსული წარწერა. სპარსული ტექსტი უფრო დელია ქართულზე: ქართული ტექსტის დამწერი სპარსულის არსებობას ითვალისწინებს. შინაარსის მიხედვით საბუთი საჩივრის წიგნია, რომელსაც გამრეკელ ჯავახიშვილი მიართმევს დარბაზს. საკითხი, როგორც ჩანს, ეხება გამრეკელის მიერ ცოლის დაგდებას. ამავე საკითხს ეხება საბუთი 1801 d. h. (იხ. აქვე). საბუთი თარიღდება 1453—1463 წ.: ამ ხანებში იყო გორის მოურავად გამრეკელ ჯავახიშვილი.

..ც კიდევე ვ[იორ]გი

დაჯერა ამა ყუელასა სიკუდილსა ამირეჯიბი ¹.

[რ]უამ გულსურაბის მეყვისი არის და გულსურაბ ესე წიგნი მიუწერა რუამს ², ვითა: „ამირეჯიბის მაგი- 5 ერად ესე წიგნი დაწერე შენა, ვითა: „გამრეკელ,²

... ძულან შენ განა ასრე დამპირდი, ვითა: გო- რის ციხესა მოგცემო ⁴. აწ უამი და ღრო ესეა. რა- უამც კაცნ გამოვგზავნნე, ცახე ფიცხლა უმი- ზეზოდ მათ დააბარე და რასაც მე შენ დაგპირ- ებივარ, ბაგრატს ⁵ მეფესა შენოვის გავათაებინე- ბა“, შენ ამის * შენ ამირეჯიბის შინაუმა 10

ხარ და შენსა კელსა მეფე და ყუელავინმე იცნ- ობს. დაწერე და ესე წიგნი მე გამომიგზავნნე, რომე გამრეკელი და მისი შვილი ამა წიგნი- თა მეფესა შევაბეზლნე და დავკოცნეო“. ამისი მო- წამე პატრონი ამირეჯიბი და მისი ყმა ** შ- ალიკა და თურმანისე საგია არიან. თუმც რ- უამს გულსურაბისთვის დაეჯერა, არ უთუოდ მისისა კელისაგან დაკოცილნი და მოწყუედილნი ვიყენით? მაგრა ღოთმინ შეზღოს რუამს, რომე 20 *** ჩუენსა სიკუდილსა არად დამოწმდა. მერმე რუამს საგიასა პირითა ასრე შემოეთუალა

* ორ უკ'ლი სიტყვა წაშლილია, ტექსტისავე მელნით.

** აქ დაუწყია „საგ“ და წაუშლია.

*** აქაც რალაც სიტყვა წაუშლია.

ჩემთვის, ვითა: „გულსურაბ ასრე თქუენსა სამესისხ-
 ლეოსა საქმესა მპატიუებდა და მე ვერა შევმართ-
 ეო. როგორაც იგი ჩემი მოსამართლე არის, აგრე
 თქუენ ხართ ჩემნი მოსამართლენიო; უბრალოდ
 ოთხი ჯავახიშვილი როგორა დავკოცნეო“.

ასრე უბრალოდ დაგუეოცნა და მოინდომა ჩუ-
 ენი სიკუდილი და გაღარიბება. რომელსა ცოლსა ქ-
 მრისათვის ესე უყოფია, რაც გულსურაბ მე მიყო და
 დაგუეოცნა მეც და ჩემნი შვილნიცა?

აწ პატრონნო, ლ-თისაგან პატივცემულნო *

[ქ]ეშიანნო და ბრძენნო, როგორც ამა ყუელასა
 მოუწყენლად ჩემსა და ჩემთა შვილთა სიკუ-
 დილსა გაიგონებთ და გააჩენთ, თქუენ იცით და
 თქუენმან ლ-თის მოყუარეობამან. რაც გულსურაბი-
 სგან მე საქმე მჭირს, სხუასა ქმარსა ცოლისა-

**თვის ესე არა დაუთმია; ჩემგან მოსაკლავი იყო, მაგრა პატრონისა
 თაყას⁸ ფავნელისა და ზაზას გუ[ლისათუი]ს *** და[უთმე] და ცო[ლადა]-
 ც მინდოდა და მან არა ოდეს მინდომა არც მე და არც

ჩემნი შვილნი და ამასც რო[გო]რაც [გან]ბრჭ[ობთ],
 პატრონნი ხართ.

* აქ იმავე დროის ხელით მაგრამ განსხვავებული მელნით სწერია: იუსუფ მირ-
 ზასი, ჯანმას შვილისა. ეს სპარსულ ტექსტს შეეხება.

** აქედან დაწყებული ბოლომდის ტექსტი მარჯვენა აშიაზეა ორ სტრიქონად
 დედნისავე ხელით და მელნით დაწერილი. აქვე მოთავსებულია თოთხმეტ სტრი-
 ქონიანი სპარსული წარწერა, რომელიც, *როგორც ჩანს, ქართულ ტექსტზედ უწინ
 ყოფილა აქ მოთავსებული. შინაარსით მას არაფერი აქვს საქრთო ქართულ საბუთთან

*** აქ შეიძლება: [გუ[არ]ს, გულისოთუი]ს, გუ[არამ]ს ან კიდევ სხვა სახელი „გუ“
 წინა მარცვალით. ადგილის მიხედვით „გუ[არ]ს“ მეტად მოკლეა, გუ[ლისოთუი]ს ოდ-
 ნაც გრძელია, გუ[არამ]ს“ ზომით კარგად უდგება, [ასეთი სახელი ამ დროს თუმ-
 ცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება იხ. ქრონ. II, 205], მაგრამ, თუ აქ ადამიანის
 სახელს ვიგულისხმებდით, მაშინ „პატრონისა“ და „ფავნელისა“ წაკითხვა შეუძლე-
 ბელია. უნდა წაგვეკითხა „პატრონსა“, „ფავნელს“; მოსალოდნელი იყო აგრეთვე
 „გუ[არამ]ს“ წინ კავშირი „და“. ამიტომ, ვფიქრობთ, ყველაზედ მისაღებია
 „გუ(ლისათუი)ს“.



საბუთი № 1242 დ. ს. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფებულები „თუმანიშვილების საბუთების კოლექციიდან“ არის. ის ქალალდს გრამის საბუთის გნილია (აშ გაშლილად დაცული) $42,5 \times 14,5$ სანტ. ზომისა. ქალალდს მე-11-ე — მე-13-ე სტრიქონებს შუა ჭვირინიშანის ნაშთი შერჩენია, რომელიც გადარჩენილი ნაწილის მიხედვით ისეთივეა, როგორც ზევდგრძინის არზის ქალალდისა (საბ. № 1799). ხელი ჩვენი საბუთისა მხედრულია XV საუკუნისა (დამახასიათებელია ჩ'ინი, უ'ნი, ღ'ნი, პ'არი, ჭ'ავე, ჭ'ანი, ბ'ანი და ძველი სახის სხვა და სხვა ლიგა-ტურები). დაწერილია შევი მელნით. ხელი ერთია, გასწორებანიც (სტრიქონს ზემოდან ჩანაწერები) იმავ ხელით და მელნითა შესრულებული. პირველ გვერდზე 36 სტრიქონია, მეორეზე — 29. აქ დანარჩენი 7 სტრიქონის ადგილი ცარიელია. რაღაც წარწერათა ნაკვალევი ჩანს აქ, მაგრამ, სამწუხაროდ, ის აღარ იკითხება. ეს ადგილი გრანილის გარე მხარე ყოფილა და ნაწერიც, ამიტომ, განსაკუთრებით დაზიანებულა. საერთოდ საბუთი მოელია. ოდნავ არის თავში დაზიანებული. თუმანიშვილების საბუთთა კოლექციაში ის შემთხვევითი სტუმარია. შეიძლება ვინმე თუმანიშვილი, მდივანმწიგნობარი XV ს-ში, იყოს მისი დამწერი და საბუთის შავიც ამ მდივნის სახლში დაცულიყოს.

ვიკილებთ, პატრონსა თაყას და მისსა შვილსა ზაზ[ას] ¹
ჩუენგან ვალი სქეს. პირველ და თაობით[გან, ოდეს]
ვახტანგ ² მეფობა დაიჭირა, წყალს იქით ³ მისსა ძმასა პატ[რო]-
ნსა დემეტრეს ⁴ მიანება თაყას გარეთ და თაყა ამისთვის არ-
ა მიანება, რომე მისი მამული და ციხე ჩიუავასძისათვის ⁵ უ[ნ]-
დოდა და ამაზედა თაყა დიდად შეწყინდა და ესე მოაკენა
პატრონსა დემეტრეს, ვითა: „წასაკდენლად უნდივარ და ჩემი
თავი და მამული მისთვინ არა მოგანებაო. ამაზედან გამრე-
კელმან ⁶ აზღომიართი საქმე მოაკდენვა, რომე მისი თავი და მ[ა]-
მული ვახტანგისად შექნა და თაყა პატრონსა დემეტრეს-
ად დაარჩნენა და მოარჩინა წაკდენასა. თუმცა გამრე-
კელი არა, ციხესა და მამულსა ყუელასა გაუცემდეს და თა-
ყას წააკდენდეს და მისისა გულისათვის ^{*} მისი თავი და მა-
მული დადგა და გაამაგრა მისითა საქმითა. ამისნი მოწამენი
მიწობელი ⁸ და თურმანისძე საგია ⁹ და წყლის იქითელნი და-
რბაზისერნი არიან. **
ამაზედა ჩიუავასძე ¹⁰ სამწევრის ¹¹ დაესხა.

* ამ კომპლექსში — „თვის“ „ვი“ სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებულად სწერია.

** ამ ადგილებზე ასწერივი ხაზია ჩამოშვებული.

პატრონი დემეტრე ატენის წყალშეღა იდგა. თაყაცა
გუერცა იახლა. გამრეკელი და ჩუენცა გუერცა ვიახ-
ლენით. მორეალთა ესე ამბავი მოგუივიდა, ვითა: ჩიუავასძემა-

20

ნ სამწევრისი დაარბია. თაყას ეთრო და ვერა შეი-
ტყო. ადგა გამრეკელი, სამნივე შეილნი თანა წაგვიტანნა
და რომე მივეღით, გაფუსწრებოდა და ველარა მივესწრენი-
თ და, თუმცა მივსწრებოდით, ანუ შევეკოცებოდით
და ანუ დავკოცდით. თაყასა და მისისა შეილისა გულის-
ათვის * დავკოცებოდით და თუ არა, ჩუენ და ჩიუავასძესა
ერთმანერთისათვის * მოყურობის მეტი არა გუეწყინა რა.**

25

მესამე ვალი ესე: პატრონი ბაგრატ¹² მეფე ქართლს ჩა-
მოვიდა და ციციშვილსა ლაშქარი გაუძახა. გიორგი ***¹³ მეფესა
დავეთხოვენით და არა გაგუიშუნა და მისად უნდომად
მამა ჩუენი**** და სამნივე ძმანი წავეღით და ჩუენითა ლაშქრითა უშუელ-
ეთ. ერთსა დღესა შუიღჯერ შევიბენით და დავაყრევი-
ნეთ მისისა მამულისა ალაფი და კენელარა ჩუენითა
ლაშქრითა გამრეკელი¹ და სამნივე ძმანი შევეკოცენით თაყას გული-
სათვის * და თუ არა, ჩემსა მამულსა შორს იახლ-
ნეს **.

30

მეოთხე ვალი ესე: მესხთა დაარბიეს ციციშვი-
ლისა მამული და წაიღეს. ამაზედა ზაზა შეიყარა და ს-
ამძივის კევს¹⁴ მიუკდა. ჩუენი ძმა ზაქარია ჩუენითა ლაშ-
ქრითა თანა წაპყვა და როგორი ვალი დასდევ და მო-
ეკმარა, მანვე იცის და მისთა ყმათა. მათისა გულისათვის *

35

დავკოცებოდით და თუ არა, მესხთა ჩუენთვის * არა
ეწყინა რა **.

მეხუთე ვალი ესე: გიორგი მეფემან ატენისა
მოურაობა მისცა გამრეკელსა და თაყამან ატენი
სოხოვა მეფესა და მეფემან გამრეკელისა საკითხავ[ა]დ
დაუდვა. ჰქიოთა გამრეკელსა, ვითა: „თაყა ატენსა მოხო-
ვს, მოურავი შენ ხარ და რას მივაზირებ, მივსცე

40

45

* ამ კომპლექსში „თვის“, „ვი“ სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებულად სწერია.

** ყველა ამ ადგილებზე ასწრებივი ხაზია ჩამოშვებული.

*** დედაში: გრგო.

**** სიტყვები: „მამა ჩუენი“ და „გამრეკელი“ ტექსტისავე ხელით და მელნით
სტრიქონს ზემოდან სწერია.

და თუ არაო, სიმაგრე სხუაცა აქუს და ამასცა ქიდევვე ითხოვსნ“. გამრეკელმან ფიცხლა მიცემა გაუპირა და ეს მოაკენა, ვითა: „ატენსა მის უკეთესსა რას აქნევ, რომე მისთანა კაცი მოიმაღლო“ თაყას გულისათვის * მოურაობაცა დასთმო და მიცემასაცა გაუპირდა, თუმცა გამრეკელი არა, მეფე ატენსა თაყას არა მისცემდა, მაგრა მან აქნევინა და მეფე დია დალონდა ატენისა მიცემასა **.

მექქუსე ვალი ესე: ვახტანგ მეფე თ-
 აყას *** კელთა შეპყრობასა აპირობდა. ბადაბეთს ¹⁶ იდგეს. თა-
 ყა და ჩუენ მუდამად ერთ მესადგომენი ¹⁷ ვიყვენით. თუით მეფ-
 ესა ვახტანგს აბჯარი შეეცო და ზედ დასხმასა და კელთ შეპყ-
 რობასა აპირობდა. ზედა წითელაშვილი ივანე შემოესწ-
 რა და ასრე მოაკენა, ვითა: „რა საქნელია, რასაც*** აპირო-
 ბთ: ჯავახიშვილი და იგი ერთად დგანან და, თუ არ მათცა
 კიდე დაპკოც, თაყას კელთ შესაპყრობლად არ დაგა-
 ნებებსო. გამრეკელისა ბედითა დაშალეს და ვერა გაბე-
 დეს კელთა შეპყრობა და თუ არა, შეიპყრობდეს კელთა
 და, რაცა უარესი იყო, მას უზემდეს. წითელაშვილმა ივანემ
 გუიამბო და დიდად ვალადცა გუდებდა: „მე დავშალე და თ-
 უ არა, თქუენცა დაკოცილი იყვენით“ ****.

* ამ კომპლექსში „თვის“, „ვი“ სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებულად სწერია.

** ქველა ამ ადგილებზე ასწვრივი საზარ ჩამოშვებული.

*** ეს სიტყვა ჯერ შეცოომით დაუწერია: „თ“ (წინასტრიქონში) და „ას“ შემდგომ სტრიქონში. შემდეგ სტრიქონს ზემოდან „აყ“-ის მაგივრად „ყა“ დაუწერია.

**** აქ დაუწერია — „რასათვისც“ შემდეგ „თვის“ წაუშლია.

***** ამას ჭვევევით ქალალდი — 7 სტრიქონის ადგილი — ცარიელია. რალაც სითხით ის ოდესლაც ძლიერ გაუღლენთილა და წარწერანი, რომელთა ნაკვალევი ოდნავ ემჩნევა, დღეს აღარ იყითხებიან.

ИЗ ИСТОРИИ ФЕОДАЛЬНЫХ ОТНОШЕНИЙ В ГРУЗИИ XV в.

(документы с критическим письмом)

РЕЗЮМЕ

В отношении первоисточников по истории Грузии XV века грузинская историография находится в весьма тяжелом положении. Современные нарративные грузинские источники совершенно отсутствуют, а источники документального характера в большей своей части однотипны (жалования церквам). Пробела не восполняют и сведения, к тому же скучные, иностранных источников.

В этих условиях предлежащие документы, издаваемые впервые, приобретают большое значение. Как по характеру, так и по содержанию, наши документы выгодно отличаются от вышеуказанных жалованных грамот. Это—доклады—жалобы феодалов «Дарбази», высшему феодальному судилищу (в данном случае).

По истории XV века они дают обильный материал. Из этих документов впервые предстают перед исследователем совершенно неизвестные до сих пор политические факты, яркие картины отношений феодалов между собою или царей с феодалами, группировки феодалов в борьбе между собою, политическое мышление феодала XV века, любопытные явления бытового характера и т. д...

Добытые из этих документов факты с успехом могут служить опорным материалом для освещения важнейших внутриполитических явлений в истории Грузии XV века.

*
* *

XV век в истории феодальной Грузии знаменует совершенно определенный перелом.

На протяжении этого века окончательно оформляются те политические образования, которые в последующие века известны под названием «царств» и владетельных княжеств («სამთავრო»).

Вполне понятно, что это явление обращало на себя внимание историков Грузии. Ни в установлении факта, ни в его оценке историки не согласны друг с другом. Причину назван-

нного явления одни из них видели в прихоти одного царя, ~~который~~
рый раздал отдельные части Грузии в уделы своим трем сыновьям,
другие (Вахушит) отрицают это. Одни видели в этом факте при-
чину всех дальнейших бедствий, как социальных так и внешне-
политических...

Находятся и такие историки, которые расценивают это яв-
ление, как последствие имевшего будто бы в это время место
социально-экономического прогресса...

И в самом деле, явление весьма важное и интересное. Чтобы страна после четырехсотлетнего единства (конечно феодального), экономического, политического и культурного, раздробилась бы на составные части, и это на целые века,—необходимы такие же глубокие причины, как те, благодаря которым страна, состоявшая из совершенно отдельных политических образований об'единилась под одну центральную феодальную власть.

Мы, конечно, не поддерживаем мнения, что распал, это след-
ствие лишь воздействия иноземных, «внешних» сил. Они
действовали и влияли, но никак не определяли этого явле-
ния. Ведь в таких силах недостатка не было и тогда, когда
Грузия об'единилась в одно феодальное государство. Во-вторых,
в XV веке именно таких сил менее всего видно. Правда,
с 1554 года Турция и Иран определенно мешали об'единению
феодальной Грузии, но факт распада никак нельзя отнести к
этому сравнительно позднему явлению.

Не поддерживаем и того мнения, что распад феодальной Грузии—прихоть одного злосчастного царя, раздавшего отдель-
ные части Грузии в уделы своим сыновьям. Если бы даже такой
видимости факт и с таким последствием и имел место,—(бес-
спорного подтверждения чему мы до сих пор не находим), все
равно, нам бы пришлось это явление счесть скорее за след-
ствие, но никак не за причину сил, вызвавших распад страны.

Не приходится доказывать, что факт политического распада феодальной Грузии не есть причина установления крепостнических отношений. Такие отношения установились в Грузии задолго до этого.

Конечно, нам не приходится также серьезно оспаривать по-
ложение, будто политическое раздробление феодальной Грузии
есть выражение социального прогресса на базе экономического

преуспеяния страны. Такое положение не находит ни малейшей поддержки в фактах.

Не имея возможности подробно развить здесь свою мысль, мы все же решаемся выставить по данному вопросу поддерживаемое нами положение.

Политический распад феодальной Грузии произошел в условиях окончательно победившего крепостничества и развивающегося феодального иммунитета вследствие экономического рефесса и хозяйственной дефрадации (а не при наличии экономического преуспеяния феодального хозяйства Грузии), что в свою очередь явилось результатом весьма сложного переплета сословно-классовых и внешнеполитических отношений.

* * *

В политическом представлении грузинского феодала XV века Грузия—это сумма отдельных феодальных «домов» (сеньорий). Для Карталинии, например, слагаемыми этой суммы были бы вотчины (ბაზღუ, «мамули») Качибасдзе-Бараташвили, Панаскертели-Цицишвили, Джавахишвили, Габелисдзе, Чижавасдзе, Зевдинисдзе, Газнели, Бибилури-Эристави, Шабурисдзе-Эристави, Абулетисдзе-Абазасдзе и др.

По отношению друг к другу эти сеньории (სახელმი) совершенно независимы. Они мирно сожительствуют или же враждуют друг с другом, и это часто вопреки желаниям «патрона» (сюзерена, царя). Характерен, и лишь в этих условиях понятен, разжившийся к этому времени институт добрососедства (კეთილგებობა) или об'единения (შეუტილობა) двух феодальных «домов» (сеньорий). Такой институт был бы непонятен и ненужен при наличии сильной центральной власти, например, при Давиде (XII в.). С некоторых же пор подобный институт становится необходимым. Юридические акты этого института сохранились еще с XIII в.

К этому времени приблизительно (конец XIII и начало XIV в.), можно предполагать, и оформился окончально этот институт.

Царь есть «патрони» (сюзерен) по отношению ко всем феодалам, но он теперь, в XV веке, уже на «богуравный» (ღმომისამართი). Возвысившись социально и политически, феодалы тем самым давно уже низвели «царя царей» с высоты, держаться на



которой оказывалось дальше не под силу власти, опирающейся лишь на тех же феодалов. «Богуравный» становится *principis inter pares* и «Дарбаз-Батони» (баярин-царедворец, боярин думный) становится «братьем» и «сыном» «патрона».

В сравнении со всеми феодалами, вместе взятыми, «патрон» неизмеримо слаб, но невозможность полной согласованности вассалов между собой есть условие реализации сюзеренных прав царя. В таких условиях понятно, на чем основан тот порядок, что юридические акты добрососедства или об'единения двух феодальных «домов» в каждом отдельном случае нуждаются в согласии и утверждении патрона. В каждом таком акте специально оговаривается, что участники его (*მოდექტურის ები*); вассалы, этим не помышляют чего-нибудь, могущего принести вред патрону (*ვატრობის უზიანო საქმია*).

Документы XV века ставят одну интересную проблему феодального политического строя. Это—проблема «батонишвили» (царевич).

Воскресшая в новом виде на почве торжества крепостничества, система *მთავაროვ*, (букв. князь, владетель) поддержанная всеми дальнейшими политическими явлениями, внешними или внутренними, в XIV—XV веках, с приобретением мтаварами иммунитетных прав, достигает вершины своего развития: каждое такое «Самтавро» (букв. княжество, владение) начинает переростать в полуунезависимое политическое образование.

Принципиально нового тут еще ничего нет:

Феодальная «Сакартвело» (Грузия) никогда не поглощала окончательно понятий «Абхазии», «Картлии», «Кахетии», «Сомхитии» и т. д. и титулатура царя об'единенной феодальной Грузии никогда не превращалась в формулу лишь с историческим содержанием. Такое глубокое об'единение (=въединение) в условиях феодальных отношений было бы невозможно.

Входящие в Грузию «царства»—провинции и за время об'единения достаточно сохраняли свое политическое лицо, не претворяясь в органическую часть целого ценой полной потери собственных политических органов. Но тем не менее, на почве и вследствие об'единения этих «царств» создались понятия, выражющие это сложное содержание: «უმველე ქართლი» (букв. вся Картлия), «საქართველო» (букв. Грузия) и «უმველე საქართველო» (букв.



вся Грузия). Такое единство обосновывалось и утверждалось соответствующей экономикой, идеологией, культурой...

А то, что имело место к концу XV века, была вторая крайняя сторона того же явления.

И вот, в условиях, когда рядовой феодал с успехом силился достичь полноты политической власти и превращается в мтавари, проблема «батонишвили» (царевич), естественно, приобретает особенное значение.

Трактуемое явление сопутствует всей эпохе феодальных отношений, но то или иное его выражение зависит от конкретного вида названных отношений.

«Сепенули» VII—VIII веков, Тао-Кларджские «государи» (ხელიშვილები) IX—X веков, «уплис-цули» (букв. господские дети царевичи) Абхазских царей X века, претенденты престола в XI—XII веках, провинциальные «цари» в XIV—XV веках, «независимые» парства в XVI—XVIII веках и «батонишвили» XVIII—XIX веков (в Карталино-Кахетии, в Имеретии, в Мегрелии и Гурии),—все это явления принципиально одной категории, но в различных конкретных условиях феодальной действительности.

Тут неуместно заняться изучением этой проблемы во всем ее об'еме и на всем историческом протяжении. Мы ограничимся лишь некоторыми моментами.

В эпоху об'единения феодальной Грузии, в XI—XII веках претенденту на престол (уплис-цули) и в голову не приходит стать «царем» какой-либо части страны. Между царевичами тут борьба может идти лишь за центральную власть и постольку же «уплисцули» или безвредный Аластанец (Аластани — пункт в Джавахетии, предоставляемой в удел царевичам) или восставший претендент престола... Такого порядка все этого рода явления XI—XII веков, как-то: борьба Димитрия царевича против Баграти IV, завещание (подложное?) Давида сыну, царю Димитрию, относительно воцарения после себя второго сына Давида—Вахтанга, борьба царевича Давида, сына царя Димитрия против отца и брата, завещание (подложное?) царя Давида брату Георгию относительно воцарения племянника Димитрия, восстание Димитрия против Георгия...

В XIV-XV веках, когда, выражаясь языком автора того времени «გახლმუფები დიდებული»—это значит: суверенами стали феодалы из высшей служилой знати,—в такое время, совершенно естественно, царевичи не довольствуются скромной участью «батонишвили» и становятся на местах «царями».

Центр теперь обнаруживает тенденцию дробления на ряд полусуверенных политических единиц...

Цари Аластанцы—Андроник, Мелхиседек (XIV в.), царь Георгий, современник Агбуги (XIV в.), царь Александр при жизни царя царей Константина, (XV в.), царь Вахтанг при жизни царя царей Александра (XV в.), царь Димитрий при жизни царя царей Вахтанга (XV в.), царь Баграт при жизни царя царей Давида (XVI в.),—все это факты документированные и об'яснить это явление при условии политического единства Грузии возможно, думаю, лишь на основании представленных тут соображений.

«Когда Вахтанг царем стал, (область) на той (правой) стороне Куры отдал в полное распоряжение (მინება) брату, патрону Димитрию за исключением (феодала) Така, а его потому не отдал, что хотел вотчину и крепость его пожаловать Чижавасдзе».

Вахтанг—царь, Димитрий, его брат-царевич. Царь передал во владение («მინება») царевичу правобережную Картлию.

С этих пор феодалы этой области — вассалы Димитрия. О характере передачи указывает мотив, по которому царь Вахтанг не передал Димитрию одного из феодалов названной области—Така. Последнего Вахтанг хотел наказать. Переданный же Димитрию Така тем самым стал бы недоступен царю Вахтангу. Последний был бы не в силах наказать Така, ставшего вассалом Димитрия. Так и случилось: усилиями феодала Гамрекела Така был уступлен царем патрону Димитрию и тем самым избег ожидающего его наказания от царя Вахтанга: лишения вотчины и крепости.

Итак, Димитрий есть царевич и суверенный владетель высших феодалов. Совершенно естественно, что его станут называть «царем», хотя формально он может быть и не принимал этого титула. Не мешает этому, конечно, и то обстоятельство, что такой «царь» может в большей или меньшей степени быть зависим от «царя царей»...



Еще один пример. В начале XVI века область Мухрани ^{и Царство Грузии} Давид передал брату своему Баграту. Этим Мухрани политически не отделялся от Картлии. Тем не менее Баграт в ряде документов именуется «царем». Документы сохранили тут одну характерную особенность: они твердо отличают титулы: «царь царей» и «царь», чем ясно указывают на политическую структуру феодальной Грузии этого времени.

Принципиально этой же категории вопрос об Имеритинском царстве.

Дальнейшее существование возникшего при монголах имеретинского престола поддерживает те же явления, на основании которых народились современем и другие «царства»—владения.

В начале (середина XIII в.) два престола вовсе не обозначали существования двух отдельных друг от друга «царств»; то было два царя в одном царстве, причем один из них считался старшим. Так понимало это феодальное общество Грузии XIII века. И только на основании такого понимания возможно было назвать «объединителем двух престолов» царя Георгия (XIV в.), усилиям которого, главным образом, приписывали политическое объединение („თხისა გი ტაბუს გამეურთობებელი“).

Это, конечно, еще не означает, что в XIII—XIV веках, после монгольского завоевания, не существовало тенденций дробления страны на самостоятельные политические образования. Эти тенденции без сомнения налицо и в связи с экономическим регрессом они все усиливаются, но пока что они слабее сил, действующих в противоположном направлении.

Центр ведет борьбу со ставшими на путь обособления «царями»—владетелями и имеет успех в этой борьбе, пока находит поддержку в ариервассалах.

На всем протяжении XIV—XV веков, один за другим оформляются эти «царства» и «владения» и в тот момент (60-ые годы XV века), когда политика центра, направленная против имеретинского «престола», терпит окончательную неудачу, по словам хроники, «от вассальной зависимости от царей освободились владетели Дадиани, Аatabagi, Гуриели и Шарвашидзе». Историк Вахушт совершенно прав, когда замечает, что лишь на основании таких уступок своим вассалам, имеретинский «царь» обеспечил себе их поддержку в борьбе против «царя царей».



На протяжении целых двух с половиной веков идет постепенная борьба между этими двумя противоположными тенденциями. На всем означенном протяжении борьба эта не однородна.

Вначале эта обыкновенная борьба феодала, имеющая целью достичь максимума социально-политических прав и преимущества внутри страны. Тут политика монголов идет в пользу феодала и последний во многом успевает означенным путем, но об'единительные мотивы материального, а также идейного порядка пока еще настолько сильны, что совершенное обособление от центра не входит в политическую программу феодала. Только позднее и постепенно, по мере экономического регресса страны и связанных с этим социальных сдвигов, эта борьба между центром и отдельными феодальными владениями принимает другую окраску. Отдельные владения начинают проявлять тенденцию политического обособления и, по мере прогрессирующего ослабления об'единительных начал, имеют в своем стремлении все больший и больший успех.

Такого порядка и вопрос «имеретинского престола». Вначале это обыкновенный вопрос «царевича», правда, несколько осложненный в условиях монгольской политики. Пока об'единительные силы доминировали «имеретинский царь» не стремился к тому, чтобы окончательно ограничиться территорией за Лихским горами: он тоже вел политику «от Никопси до Дербента».

«Об'единение двух престолов» одинаково должно было входить в программу царей западно-грузинского и восточно-грузинского.

И это не только в XIII веке, даже во второй половине XV в. «имеретинский царь» Баграт представляется более или менее «об'единителем» и постольку же его политические претензии соответствуют той титулатуре, которую, как оказывается, не лишь как исторического характера украшение носят «лихт-имерские» или «лихт-амерские» «цари».

Весьма любопытно, что не только в XIII веке, но и во второй половине XV века феодал или группа феодалов в борьбе между «царями» ориентируются на того или иного «царя» не по территориально-политическому признаку «Имеретии» или «Амеретии», а лишь по принципу наибольших собственных феодальных выгод. Политика же каждого из царей не могла быть чем-



либо иной как не равнодействующей интересов этих феодалов...
иерархия
империи

Не политика царей определяла политику феодалов, а наоборот, интересы последних в конечном счете определяли политику царей. Теперь понятен секрет того, как «лихт-амерским» царям удавалось «уговорить» (ეზრახ) феодалов Имеретии против «собственного» царя и наоборот, как эти «об'единители престолов» из Имеретии находили себе сторонников среди карталинских феодалов.

И только постепенно, по мере хозяйственного упадка, когда политические интересы феодальной сеньории все меньше выходят за пределы, очерченные постоянно падающей экономикой и все возраставшим провинциализмом,—только в таких условиях, *ceteris paribus*, местные феодалы могли проявить предпочтительную «верность к собственным царям» и с этих пор государственная политика имеритинских царей так же ограничилась территорией Имеретии, как политика и других политических образований феодальной Грузии соответствующими провинциями.

Как мы уже отметили, это был постепенный, медленный и долгий процесс. Конец XV века—это дата определенного перелома, когда торжество раз'единяющих сил стало бесспорно. В сущности тут и закончился описанный процесс. Дальнейшие же явления этого порядка указывают лишь на то, с каким трудом победили раз'единяющие силы и, что об'единительные тенденции, хотя все слабее, но еще продолжали действовать, усилию которых, к сожалению, теперь мешали не только условия социально-экономического состояния страны, но и условия внешне-политические.

შ ე 6 0 შ 3 6 0 ბ 0

საბ. № 1798 d. h.

- 1) სხვილოსი — საამილახვროში. „სამთავისის ჩრდილოთ ჭალას შენობა დიდი სახლეთა. ჭალის აღმოსავლით არს ციხე ცხვილოსისა მთის ძირსა ზედა“ (ვაზუშტი, გეოგრაფია, 105).
- 2) მოხსენებულ ორ გიორგი მეფეთაგან ჩვენ ერთი გიორგი ბრწყინვალე გვეონია, ხოლო მეორე XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, თანამედროვე აღმუღა ათაბაგისა.
- 3) აღმუღა ათაბაგი — XIV ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწე, სჯულმდებელი, ბექა მანდატურთ უხუცესის შვილისშვილი და მამა ივანე ათაბაგისა. (იხ. ს. კაკაბაძე „სჯულმდებელთა ბექას და აღმუღას ვინაობა“. პროფ. ი. ჯ-ლი „ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 107—108).
- 4) მღურე — შიომღვიმის მონასტერი.
- 5) ახალციხე — სოფელი არავის ხეობაში.

საბ. № 1799 d. h.

- 1) ავთანდილ ზევდგინიძე, ეზოს ჩუსჩარები და გორის მოურავი (საქ. სიდ. III, 8, 10, 12).
- 2) თაყა ზევდგინიძე, მოლარეთ ხუცესი (ქრ. II, 236, 240; ისტ. საბ. II, 4), შემდეგ ამილახორი.
- 3) ბარათა ქარიბასძე, სალაროს მოლარე (ქრ. II, 232), გობირახისძე ბარათა — მცხე-თიშვილი (ისტ. საბ. III, 24).
- 4) კოსტანტინე ბაგრატიონძე, მეფე 1407—1411.
- 5) ალექსანდრე კოსტანტინესძე, მეფე 1412—1442.
- 6) ათაბაგი ივანე 1391—1444.
- 7) ჩალალანი (ადგილი აღმ. ა.—კ-ში, საქართველოს გარეთ).
- 8) ზაქარია — თუმანიშვილი (?).
- 9) კამყოლი — მეფის მხლებელი დარბაისელი (იხ. დიდმოურავიანი გვ. 13, 15 და დას. საქ. საეკლესიო საბუთები, I, 33—25).
- 10) ვახტანგ მეფე — 1442—1446.

საბ. № 1800 d. h.

- 1) მეფე გიორგი IX 1446—1476.
- 2) ბაგრატ დიმიტრისძე, ერისთავი, შემდეგ მეფე † 1478
- 3) ამირინდო ზევდგინიძე (?).
- 4) ზაალ ამირინდოსძე ზევდგინიძე.

- 5) ყურუმში, თათართა ლაშქრის სარდალი (?).
- 6) ჭოპარტი სოფელი არაგვის ხეობაში — ძაგნაკორას. მცხეთის სოფელი (ქრონიკა II, 197, საქ. სიდ. I, 10.).
- 7) ალონი, ძველ ბარდავის მხარეს, განძის აღმოსავლეთით მტკვრის პირას (მზრდელი ქ'ცა, 305).
- 8) ზაქარია თუმანიშვილი (იხ. საქ. სიდ. II, 21) თუ ზაქარია ზევდგინძე (საქ. სიდ. III, 16—17).

საბ. № 14631 d. h.

- 1) ათაბაგი ყვარყვარე ძე ივანე ათაბაგისა † 1498.
- 2) მეფე გიორგი ალექსანდრესძე 1446—1476.
- 3) ბაგრატ დამიტრისძე, ჯერ ერისთავი, შემდეგ მეფე † 1478.
- 4) ბატონიშვილი დავით დამიტრისძე, ძმა კოსტანტინესი.
- 5) ახალციხე, სოფელი არაგვის ხეობაში.
- 6) მამისა ზევდგინძე (იხ. საქ. სიდ. III, 16—17) — მცხეთიშვილი.
- 7) წიწამური, სოფელი არაგვის პირზე.
- 8) ღურო (?).
- 9) ჯანდიერიშვილი (?).
- 10) ჩიქი, ჰატრონისაგან წყალობის მიღებისას (ან კიდევ მისაღებად) არსებული ეთიკეტი. აქედამ ჩიქი თვით იმ საბუთსაც ერქვა, სადაც ასეთი წყალობა იყო აღნიშნული.
- 11) თათარი, იგულისხმება უზუნასან, რომელიც „თათარი“ კი არა თურქმენთა ერთ-ერთ ტომის მეთაური იყო, ამ დროს უკვე ერანის მფლობელი.
- 12) ამირინდო ამილახორი.
- 13) სულმამა — ძმა ამირინდოსი.
- 14) მეფე კოსტანტინე.
- 15) უზუნასან ერანის მფლობელი † 1478.
- 16) მალი — საქონელი, აქ: სათათო ხარკი.
- 17) თანგა — ვერცხლის ფული.
- 18) სწორედ წიწამურის ამოსაგებად ამ დროს წარმოებულ სარჩელს უნდა შეეხუ-ბოდეს ის საბუთი, რომელიც თ. უორდანისა 1401—1413 წ. დაუთარიღებია. როგორც ამილახორი ამირინდო, ისე მეფე ბაგრატიც სწორედ ამას გვაფიქრებინძეს (იხ. ქრ. II, 205). ამასვე მოწმობს ჩვენი ეს საბუთიც.

საბ. № 14632 d. h.

- 1) ჩამოთვლილი პირები უნდა იყენებ ისინი, ვისაც კანონიერ ნაშვილეობის წიგნის შედგენაში მონაწილეობა უნდა მოეღოთ.
- სახელებზე დაკვირვებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩამოთვლილი პირები მეფეთა კარის მდიგნებია XV საუკუნის შუა წლებში, მანც და მაინც მურად და ზაქარია თუმანიშვილები — მეფის კარის მდიგნები XV ს. მეორე ნახევარში ცნობილი არიან (იხ. საქ. სიდ. II, 38 და 13). თუმანიშვილებასვე გვაფიქრებინძეს სახელი თუ მან. ეს სახელი ყველაზედ მოსალოდნელი სწორედ ამ გვარშია, სადაც ერთი თუმან ამ გვარის სახელის მიმცემი ყოფილა, საფიქრებელია, XIII—XIV ს-ში: XIV ს-ის დამლევს ეს გვარი უკვე თუმანიშვილად იწოდება და ქართლში ბინადრობს, სადაც ახალდაბა „ძუელითგან მათი ყოფილიყო“ (ქრ., II, 211).

სახელი რატიც ადვილ მოსალოდნელია თუმანიშვილთა გვარშივაზე საუკუნის შემდეგაც კი.

ონომასტიკონის მიხედვით თითქო შესაძლებელია თუმანიშვილების გვარი ორბელთაგან ჩამომავლად ვაგულისმოთ. ასეთ ვარაუდისას ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს, როგორც ჩანს, ნაგვიანევად შეოხული თუმანინთ გენეოლოგია მათი მამიკონიანთაგან ჩამომავლობის შესახებ...

2) თაყა — ზევდინიძე მოლარეობულები (ქრ. II, 236, 240; ისტ. საბ. II, 4), შემდეგ ამილაშორი.

3) გაბელისძე. XV ს-ში ცნობილია გაბელისძე ამირაჯიბი და მცხეთისა ამილახორი რამინ და მისი ძმა საპამ (ისტ. საბ. II, 7—8, ქრ. II, 261).

საინტერესოა, რომ XIV ს-ის ამირაჯიბინი გაბელისძენი არ უნდა იყვნენ. კელმწიფის კარის გარიგება იცნობს ქვაბლიძე ამირეჯიბს. ეს ქვაბლიძე — ამირაჯიბი თითქო შემდეგ დღოინდელ საჩიუავაძეან უნდა ყოფილია. დაბა ვაში — საჩიუავაძს ცენტრში დღემდის ცოცხალია გადმოცემა იმის შესახებ, რომ „ამ ადგილებს უწინ თურმე ქვაბულიძე — ნეფე ხოლა“ (ონისმე შარაშენიძის ცნობა). ქვაბლიძე — ამირეჯიბზედ წინ, XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე მოიხსენიებიან აგრეთვე არა გაბელისძე — ამირეჯიბინი: აბაზასძენი ჭილა და ნავროზი (საისტორიო მოამბე I, 143 და ქ'ცა 760).

თუმცა XIV—XV საუკუნეებისათვის უკვე სახიფათოა ფიქრი, რომ ერთ სა და იმავე დროს ამ ხანებში მხოლოდ ერთი ამირაჯიბი შეიძლებოდა ყოფილიყო: თითოეულ მეფეს საკუთარი „პელმწიფის კარი“ გაჩნდა...

ამავე საუკუნისანი ჩანან ქსნის ერის შეილი ე'რვი და ამირაჯიბი იესე (ქრ. II, 19) და ჩიუავასძე კახაბერ (ქრ. II, 213).

ქუცნა ამირაჯიბის ცნობილ სიგილიან თითქო ჩანს კიდეც; რომ ამირაჯიბობა ამ გვარში სწორედ ქუცნას დღოდან იწყება XV საუკუნის პირველ ათეულიდან: არც ერთ წინაპართაგან ქუცნა ამირაჯიბობით არ იხსენიებს. საერთოდ დაწინაურებას და ქალაქ ალის წყალობად მიღებას თავისი გვარის მიერ ქუცნა XIV ს-ის უკანასკნელ მეოთხედით ათარილებს (ქრ. II, 209). საფიქრებელია, რომ გაბელისძეთა გაამირაჯიბება სწორედ კოსტანტინე მეფის დროს ყოფილიყოს. ყოველ შემთხვევაში XIV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ამირაჯიბი არის კახაბერ ჩივავაძე.

განსუ. თ. უორდანია სამართლიანად შეეცვებულა გაბელისძეთა და ჩიუავასძეთა ერთი გვარის შეილობაში და კითხვის ნიშანს სემს: ეს ჩიუავასძენი იმერეთის ამირაჯიბინი ხომ არ არიანო (ქრ. II, 215). უკანასკნელი ვარაუდი ჩვენ მცორად მიგვაჩნია. თვით განსვენებულ მკვლევარის მიერ დაბეჭდილი საბუთი ამტკიცებს, რომ ჩიუავაძე ამირაჯიბი ქართლში ზის (ქრ. II, 213); ამავე ადასტურებს ჩვენი საბუთიც (№ 1242 d. s.). მაგრამ თ. უორდანიას ეჭვი მის პირველ ნაწილში ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია, თუმცა თვით მკვლევარმა უარყო ეს თავისი ეჭვი და ჩიუავაძე გაბელისძეთა გვარისად აღიარა (იქვე 214—215). ამავე დროს თითქო ცხადი უნდა იყოს ამ ორ გვარის სხვადასხვაობა.

ბაგრატ მეფის ასულის ულუმპიას და მისი შეილის საზერებელის დაწერილიდან ჩანს, რომ ამირაჯიბი კახაბერ ჩიუავაძე სიძეა ბაგრატ მეფის, რომ გიორგი და კოსტანტინე მეფენი მისი ცოლის ძმები არიან (ქრ. II, 213).



ქუცნა ამირაჯიბის სიგლიდან კი ორკვევა, რომ მეფე კასტანიშვილი იქნებოდა, დედოფალი ნათია არის ქუცნას ქალი. ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩიუავასძენი ქუცნა ამირაჯიბის ახლო ნათესავნი ყაფილიყვნენ. ამასე უნდა მოწმობდეს ის გარემოებაც, რომ ქუცნა ამირაჯიბი მის მიერ დადებულ აღაპებში არ იხსენიებს კახაბერ ამირაჯიბს (იხ. ქრ. II, 200).

ქუცნა ამირაჯიბის სიგელში იხსენიება ვინმე ჩიუან. ეს საყურადღებოა „ჩიუავასძესფან“ დაკავშირებით. ჩიუან ალის მოურავია და ქუცნას გვარისა არა ჩანს ¹.

ქუცნა ამირაჯიბის სიგლიდან ორკვევა, რომ ზემო ქართლის მარჯვენა მხარე: ჭრეტხევის, ლოფინის ჟყლის და არგვეთში ძირულას შეა წელის ბასეინები ამ ფეოდალო უჭირავთ. სადღა არიან ამ დროს ჩიუავასძენი?

დღვაბერ ულუმბიას და მისი ძის საზურელის დაწერილიდან ჩანს, რომ ჩიუავასძეთ XV ს-ნის დასაწყისს ხვედურეთზე ხელი მიუწვდებათ. გამონათქვამი „საჩურო საქმე“, რომლისგანაც ისინი აქ მათ მიერვე შეწირულ ბუკისძისულ მამულს ათავისუფლებენ, გვაფიქრებინებს, რომ ისინი აქ, ხვედურეთს გალისმქონებელი ყოფილან. ხვედურეთი კი აწინდელ საციციშვილოშია.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჩვენი ერთ ერთი სიგლის ცნობა „ჩიუავასძისა“ და თაყა ფანასკერტელის მტრობის შესახებ XV საუკუნის პირველ ნახევრში და ისიც, რომ ვახტანგ მეფეს ამ საუკუნის ორმოცდა-ხუთიან წლებში თაყა ფანასკერტელის „მამული“ ჩიუავასძისათვის სურდა მიეცა.

თითქო საფიქრებელი ხდება, რომ XIV ს-ში მოსულ ციციშვილებს არა მარტო ჯავახიშვილები შეუვიწროებათ (XIV ს-ის დასაწყისს გამრეკელ კახასძე თორელი ჯერ კიდევ ფლობს ძამის ციხეს. ქ'ვა I, 441—442, მზ დფულსი, 776 შენ).

ამავე დროს ჩვენი საბუთიდან (იხ. № 1242 ქ. ს). საფიქრებელია თითქო, რომ ჩიუავასძე ამ დროს უკვე ე. ი. XV ს-ნის შუახედ გაღმა მხარში ალარა ზის. საინტერესოა ჩიუავასძეთა გვარში სახელი ს ა ზ უ ე რ ე ლ. თითქოს ეს სახელიც იქით მიუთითებს, რომ ჩიუავასძეთა გვარი დიდანს „საზურესთან“ იყო დაკავშირებული. სად იყო გეოგრაფიული ადგილი ასეთი სახელით ჩვენ არ ვიცით (საზოგადოდ კი საზურე იყო იქ, სადაც ზუერს იღებდნენ). მაგრამ ს ა ზ უ ე რ ი ს ღ ი ს მ შ თ ბ ე ლ ი ჩვენ საციციანოში გვითნია (იხ. ქრ. II, 386). ეს კი სავათ საბუთი იქნებოდა იმისათვის, რომ ერთ-ერთი „საზურე“, როგორც გეოგრაფიული ტერმინი, აქვე გვეგულისხმა. აქ გავიმეორებთ ერთხელ ჩვენ მიერ უკვე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ გეოგრაფიული ტერმინი ზოვრეთი საზურესთან უნდა იყოს დაკავშირებული (იხ. ქ'ემი: „სამღებროთა შესახებ მე-18 ს-ის საქ-ში“).

¹ სამწუხაროდ, ეს მეტად საინტერესო სიგელი ვერ არის სათანადოდ გამოცემული. არეული ჩანს ტექსტი. მოხსენებულ მოვლენათა კომენტარიები არა სრული და მცთარია. ჩიუავასძეთა და გაბერისძეთა ერთ სახლობა, ალექსანდრე მეფის მიერ გაბერისძეთა დასჯა, რაღაც ომი, სადაც 61 გაბერისძე დაიხოცა, რუსულან მეფის ვინაობა, — ყველა ამაების და სხვათა შესახებ გამომცემლის მსჯელობანი ან მცთარია, ან არასაქმაო.



ამრიგად, ჩვენი ეს მოსაზრებანი შემდეგ პირობით ხასიათის სურათად წარმოდგენილი მოვალეობა: ჩიუავასძენი „აზნაურნი საზუერელნი“ არიან („აზნაურნი ცეკვა-ერელნის“ შესახებ სწორი მოსაზრება წამოაყენა პროფ. ს. ჯანაშიამ, სადაც „საზუერელნი“ მან გეოგრაფიულ სახელიდან ნაწარმოებად გაიგო). ეს „საზუერე“ შემდეგ დროინდელ საციცავანოშია.

ჩიუავასძენი XV ს-დის გალმა მხარშიაც მფლობელობენ. ფანასკერტელ-თა გადმოსახლება ჩიუავასძეო ავიწროვებს და მათ შორის ბრძოლაა ამნიაღვზე.

ამავე დროს ჩვენი საბუთიდნ (იხ. № 1224 დ. ს.) საფიქრებელია თითქო, რომ ჩიუავასძე ამ დროს უკვე ე. ი. XV ს-ნის შუახედ გალმა მხარის მფლობელად აღარ ითვლება. დასასრულ, უკველა აქ მოყვანილ საბუთთა ნიადაგზე თითქო შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ჩიუავასძე ბაგრატისა და გიორგი მეფეთა ამირაჯიბი იყო, გაბელისძეს კი კოსტანტინე მეფემ მისცა ამირაჯიბობა, საყურადღებოა, რომ არც საზუერელ და არც ჩვენი საბუთის ჩიუავასძე ამირაჯიბად არ იხსნიება.

- 4) გიორგი მეფე, ძე ალექსანდრე მეფისა — 1446—1476. თავის ძმის, ამილაზორის და გიორგი მეფის უთანხმოვების შესახებ ჩვენი მომხსენებელი სხვაგანაც აღნიშნავს (იხ. საბ. № 1800 დ. ჩ.).
- 5) ალექსანდრე მეფე 1412—1442.

საბ. № 1570 დ. ჩ.

- 1) 1451 წელს ამირეჯიბია რამინ გაბელისძე, რომელიც ამავე დროს მცხეთის ამილახორიცაა. (იხ. ქრ. ისტ. საბ. 7—8; ქრ. II, 261).
- 2) გამრეკელ ჯავახიშვილი მისი შეილებით: ზაქარია, კახა და ზაზა (საქ. სიბ. II, 38 და სხვ.).
- 3) რუამ — ამირეჯიბის შინაყმა.
- 4) გამრეკელ ჯავახიშვილი გორის მოურავია 1454 წელს (იხ. საქ. სიბ. II, 38). გორის მოურავობა მას უნდა სწორედ ამ წელს მიეღო, რათაც 1453 წელს გორის მოურავად ზევდგინ ზევდგინიდეა (იხ. საქ. სიბ. III, 14—15).
- 5) ბაგრატ მეფე, დიმიტრისძე, იმერთა მეფე, გიორგი ალექსანდრესძის მოქიშევ.
- 6) მეფე გიორგი ალექსანდრესძე.
- 7) თურმანისძე საგა. დარბასისელი, ატენის მოურავი 1465 წელს (საბ. № 1301 დ. ჩ.).
- 8) თაყა, ფავნელი და ზაზა — ესენი თითქო ციციშვილები არიან. ფავნელი ამ შემთხვევაში უნდა სახელად მიეღოთ, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, შეტანილია ციციანთ ინომასტიკონში ფავნელთა გვარიდან დედის გზით. გულსურაბ უნდა ციციანთ ქალი იყოს. ეს ქალი ავთანდილ ზევდგინიდის ქვრივი ხომ არ არის? ავთანდილ უმკვიდრო იყო და მის მეუღლეს სახელად გრბი (გრბი?) ერქვა (იხ. ჯ-ის მონ. ალაპები XXVIII-ა); გულსურაბიც ხომ ქვრივი იყო და უშვილო..

საბ. № 1242 დ. ს.

- 1) თაყა და მისი ძე ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილები.

თაყა ფანასკერტელი ალექსანდრე მეფის თანამედროვეა და თითქო ატენის მოურავიც (იხ. ქრ. II, 222—223), ის ვახტანგ მეფის ცოლის ძმა (ჯ-ლი, ქართ. ერის ისტორია, IV, 36) ზაზა XV საუკ. მეორე ნახევრის მო-



დღვაწეა. ზაზას მემკვიდრეა მისი შეილი მერაბ (იხ. ისტ. საბ. II, 29). ჩანაწერი დავით მეფის დარბაისელია (ქრ. II, 349).

- 2) ვახტანგ ალექსანდრესძე გამეფდა 1442 წელს (ი. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ის-ტორია, IV, 36—38).
- 3) „წყალს იქით“ ეს შემდეგი ხანის „გაღმა მხარი“ = სათარხნო, საჯავახიანო, საციცანო.
- 4) დემეტრე ალექსანდრესძე. საინტერესოა, რომ აქ დემეტრე მხოლოდ „პატრიონად“ არის მოხსენებული. ამავე დროს არსებობს საბუთები, სადაც დემეტრე მეფედ იწოდება (ქრ. II, 257 და სხვ.).
- 5) ჩიუავასძე. XIV საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილია ამირჯიბი კახაბერ ჩიუავასძე, რომლის მეუღლე არის გიორგი მეფის და ულუმბია. კახაბერის შვილია სახევრელ (იხ. ქრ. II, 213). უკანასკნელი XV საუკუნის მოღვაწეა.
- 6) გამრეკელ ჯავახიშვილი, ამ საბუთის ავტორთა მამა. გამრეკელ ალექსანდრე მეფის კბილაა, მასთან. „შეზრდილ-გაზრდილია“ (საქ. სიდ. II, 15.).
1440 წელს გამრეკელს ჰყავს შვილები: ზაქარია, კახა, ზაზა და სოლა (იქვე). უკანასკნელი ამის შემდეგ აღარა გვევდება.
1454 წელს გამრეკელ (შეცოომით სწერია გაბრიელ) გორის მოურავია (საქ. სიდ. II, 38).
დაახლოებით ამავე ზანებში ის ატენის მოურავიც ყოფილა, როგორც ეს ჭინამდებარე საბუთიდან ჩანს.
1463 წელს გამრეკელ ცოცხალი აღარა და სახლის უფროსი ამის შემდეგ ზაქარია არის (საქ. სიდ. II, 19, 20, 40).
- 7) აზდომიართი — ამდენი ერთი.
- 8) მიწობი სოფელია საციცანოში. აქედან მიწობელი. მიწობელ და ბარათა გობი-რახის ძენი, მცხეთიშვილები (ისტ. საბ. III, 24).
- 9) თურმანიძე საგია (იხ. აქვე საბ. №1570 დ.ხ.) ატენის მოურავი 1465 წელს (იხ. №1301 დ. ჩ.); თურმანიძე როსტომ, დავით მეფის დარბაისელი (1523 წ. ქრ. II, 349).
მიწობელი და თურმანიძე საგია „წყლის იქითელ“ დარბაისელთა რიცხვში შედიან.
- 10) ჩანს ჩიუავასძე ციციშვილს საციცანოში ეცილება და ვახტანგსაც უნდა საციცანო ჩიუავასძეს მისცეს. ჩიუავასძეს თოთქი ამის საბუთიც აქვს: საფიქრებელია, რომ XIV საუკუნის მეორე ნახევარში ხევდურეთი კახაბერ ჩიუასძის ხელში ყოფილა (ქრ. II, 213).
- 11) სამწევრისი საციცანოში.
- 12) ბაგრატ დიმიტრისძე, იმერთა მეფე, 1466 წლიდან ქართლისა და იმერეთის მეფე.
- 13) გიორგი მეფე ალექსანდრესძე 1446—1466—1476 წ.
- 14) სამძივის კევი მესხეთში. აქედან ცნობილი გვარი სამძივარი.
- 15) ატენი — სახასო ქალაქი, ბაგრატ IV დროს აგებული. როგორც სავაჭრო პუნქტი, ატენი გაქრა მე-19 საუკუნეში.
- 16) ბადაბეთი ქართლში, მტკვრის მარცხენა მხარეს.
- 17) მესაფეომენი — თანამოკარვე.

საგუთამის მოსევებულის საკუთარი სახელები

1. პირთა სახელები

ავთანდილ, 40₁, 2; 46₂₂.
 თაყას შვილი, 40₃₄.
 ალექსანდრე მეფე, 40₈, 12; 41₁₆; 45₂₀.
 [ამირანდო] ამილაზორი, 43₂₁.
 ალბულა, 39₁₇.
 ალბულა [ათაბაგი], 39₁₂.
 ალბულა დიდი, 39₁₄.
 ბაგრატ მეფე, 41₆; 43₆, 8; 43₁₅, 19, 21;
 44₃₁; 48₁₀.
 ბარათა, 40₆.
 გაბელისძე, 44₅, 7, 10; 45₁₃, 22, 24.
 გამრეკელ, 48₅, 14; 50₉, 11; 51₁₈, 21 51₃₃,
 42₂; 43₁; 52₄₇, 50, 61.
 [გიორგი მეფე], 39₂; 39₅.
 გიორგი მეფე, 39₉; 39₁₇.
 [გიორგი] მეფე (ალექსანდრესძე), 41₁;
 42₇; 42₁₀; 42₁₆, 35; 43₄; 45₁₄; 45₂₁;
 48₁; 51₄₁, 28.
 გულშერაძე, 47₄, 6, 11, 18, 19; 48₃; 48₁₈,
 23; 48₃₀, 36.
 დავით, ბატონი, 43₅, 11.
 დეკანოს(ი)ძი, 46₁₂.
 დემეტრე, პატრიონი, 51₁₇.
 ვახტანგ მეფე, 41₁₉, 21, 28; 50₃, 10;
 52₅₃, 56.
 ზალ, 42₂₀, 22, 29, 33.
 ზალ, 45₆; 46₁₀.
 ზანა, 49₃₉; 50₁, 51₃₆.
 ზაქარია, 41₁₅; 42₂₆, 29; 44₂.
 ზაქარია (ჯავახიშვილი), 51₃₇.
 ზევდინიძე, 39₈; 39₂₀.
 თაყა, 40₆; 41₁₇; 44₅; 45₁₇; 49₃₉,
 50₁, 5, 10, 12;
 51₁₇, 20, 24, 33, 42, 43;
 52₄₉, 51, 54, 55, 60.
 [თაყა] ამილაზორი, 41₂₀.
 თაყა, მამისას შვილი, 40₃₃.
 თაყა [ციციშვილი], 51₁₇.
 თუმანი, 44₁.
 თურმანისძე საგია, 48₁₇; 50₁₅.
 ივანე, ათაბაგი, 40₈.
 კომსტანტინი, მეფე, 40₇.
 კომსტანტინე მეფე, 40₁₀.
 ბამისა, 40₃₃; 43₁₁.
 მიწოდელი, 50₁₅.
 მურად, 44₁.
 რატო, მურადის შვილი, 44₂.
 რუმ, 48₃, 4, 17, 20, 22.
 საგია, 48₂₂.

საგია თურმანისძე, 50₁₅.
 სოლამი, 46₁₉.
 სულმამა, 44₂₃, 27, 29.
 უზუნასან, 44₃₂.
 ფავნელ, 49₃₉.
 ყვარყვარე, ათაბაგი, 43₄.
 ყურუმში, 42₂₃.
 შალიკა (ამირეჯიბის ყმა), 48₁₅.
 ჩაჩაშვილი, 45₂.
 ჩიქავაძე, 50₅, 16, 17; 51₁₉.
 ციციშვილი, 51₂₈.
 წითელაშვილი ივანე, 52₅₇, 63.
 ჭუკა, 39₂₀.
 ჯავახიშვილი, 52₅₉; ოთხნი ჯავახი-
 შვილი, 49₂₇.
 ჯანდიერიშვილი, 43₁₃.
 ჯანი, 44₂.
 ჯანიძეგ, თაყას შვილი 40₃₄.

2. ადგილთა სახელები

ალონი, 42₂₆.
 ატენი, 51₄₁, 42, 44; 52₄₈, 51, 53.
 ატენი წყალი, 51₁₇.
 ბადაბეთა, 52₅₄.
 ახალციხე, 40₃₀; 43₁₁.
 გორი, 41₂₅; 44₂₂.
 გორი ციხე, 48₇.
 ლიხითიერი, 41₂₅.
 მღუმე, 40₂₈.
 მცხეთა, 43₁₂.
 მცხეთი, 39₂.
 სამძივის პევი 51₂₇.
 სამწევრისი, 50₁₅, 16; 51₁₉.
 სხულოსი, 39₃; 41₁₄.
 ქართლი, 39₁₉; 51₂₇.
 ქეუთა] თისი, 41₂.
 ქე[თათი]სი, 41₆.
 ლური, 43₁₃.
 ჩაოალანი, 40₁₁.
 წიწამური, 43₁₂, 17.
 ჭობარტი, 42₂₆.
 წყალი იქითი (=გაღმა მხარი, შიდა ქარ-
 თლის მტკვრის მარჯვენა მხარე) 50₃.

საბუთებში მოსევებული ტერმინები

აბჯარი, 52₅₆.
 აზდომიაროთი, 50₉—ამდენიერთი.
 [აზნაურიშვილ]ები, 42₁₈.



საქართველო

მთავრულებრივი

- ხნაუ რიშვილები, 42₂₂.
 აზნაურისშვილები, 46₂₀.
 ათაბაგი (ალბულა), 39₁₂.
 „ (ივანე), 40₈.
 „ (ყვარყყარე), 43₄.
 ალაფი, 51₃₂—ომის დროს ნაშოვარი,
 ნატყვენაგი, ნაძარცვი.
 ამილახორი, 44₂₄.
 „ [თაყა], 41₂₀.
 „ (ამირინდო), 43₂₁.
 ამირეჯიბი 48₂, 4, 11, 16.
 [ბატონი], 39₁.
 ბატონი, 41₃₆; 42₃₆; 42₁₅; 43₅, 14;
 44₃₀, 33; 38.
 ბატონი (დავით), 43₅, 11.
 ბატონიაბა, 45₇.
 გაბრჭობა, 49₄₁—გასამართლება.
 გაგონება, 39₄; 41₃₁; 42₃₆; 49₃₅.
 —გონებით განხილვა, გასტრება,
 გასჯა, შეფასება.
 განკითხვა, 45₂; 46₂₈—დაკითხვა გამორ-
 კვება, ყურადღება.
 გაპირება, 52₄₈—რჩება.
 გაარიბება, 49₂₉—მამულის წართმევა—
 მოშლა, მამულიდან განდევნა,
 დალარიბება.
 გაჩენა, 49₃₅—სამართლით გარდაწყვეტა.
 გლეხი, 41₂₁.
 დაბარება, 45₇; 49₉—გადაცემა, ჩაბარება,
 მიცემა.
 დაგდება 47₂₁—დატოვება, გაშვება,
 დათხოვება (დავითხოვენით), 51₂₉—
 გაშვების თხოვნა.
 დამოწმება (დამოწმდა), 48₂₁—დათან-
 ხებება.
 დაპყრობა, 42₁₆—შეპყრობა.
 დაბრაზისერი, 42₃₆; 50₁₆.
 დარბაზისერი, 41₂₉; 42₁₃, 15.
 [დარბაზისერი], 39₁.
 დაღარიბება, 42₂₄; მამულის წართმევა,
 მამულისგან განდევნა.
 დაჭრა, 42₂₅—თავისთან ყოლა.
 დახატული ჩარტაზი, 40₃₁.
 „ვიკადრებთ“, 50₁—დარბაზისადმი
 მოხსენების დასაწყისის ფორმულა
 — ვტდავთ, კვადნიერდებით
 [და მოგახსენებთ].
 თავადი, თავადი თათარი, 39₁₃.
 თავადი, თავადთა მოწმობით, 44₁; 45₁₃.
 თანხა, 44₃₇, ვერცხლის ფული XV ს.
 თათარი, 43₂₀.
 ისარი, 42₁₁.
 კაყოლი 41₁₇—პატრონის ახლო მხლე—
 ბერი.
 კაცი (კუამლი სამოცვი), 40₃₁; 42₃₄.
 კენელარა 51₃₂—კინაღამ.
 კოკა 43₁₇—ლვინის საწყაო.
- კუამლი კაცი, 41₂₈, 42₃₄—მთავრულებრივი
 ერთეული.
 მალი, 44₃₁—საქონელი, აქ სათათო
 ხარკი.
 მამული, 39₈; 43₇, 10, 16; 44₂₄, 34, 25;
 46₂₁; 50₅, 8, 10, 12, 14; 51₃₂.
 მამული დიდა, 40₂₈.
 მამული მეუიდრი, 40₅; 41₁₈; 42₂₁; 45₈.
 მამული მეუიდრი და ნაშოვნი, 46₂₉.
 მამული ნასისხლი, 45₈.
 მამული ნასისხლი და მეუიდრი, 46₁₇.
 მამული სხულოსური, 39₆, 7, 8; 40₂.
 მამული, ციციშვილის მამული, 51₃₅.
 მემართლების, 46₂₈—სამართლად მო-
 მაგას.
 მესადგომე, 52₅₅, თანამცხოვრები.
 მესადგომეობა—თანამცარევეობა—
 უეოდალთა ლაშქრობის წესი.
 მესხი, 51₃₅, 40.
 მეუბნების, 45₁—მეცილება, მესარჩლება.
 მეფე (ალექსანდრე), 40₇.
 „ (ბაგრატ), 43₅.
 „ (გიორგი), 42₂₂.
 „ (კონსტანტინე), 44₃₈; 44₃₃; 44₃₁.
 „ (კონსტანტინი), 40₇.
 მეფეთა კელჩართული, 45₁₁—საბუთის
 გვარი.
 მივაზირებ, 51₄₅, მიზრებ, მითათბირებ.
 მინებება, 50₄, 5, 8—სრულს განკარგუ-
 ლებაში გადაცემა.
 მკუიდრი მმული, 39₁₅; 40₅, 13; 41₁₈, 24;
 25; 42₂₁; 44₃₉; 45₈.
 მკუიდრი და ნასისხლი მამული, 46₁₇.
 მკუიდრი და ნაშოვნი მამული, 46₂₉.
 მოარჩინა, 50₁₁—გადაარჩინა.
 მოსამართლე, 49₂₅—სამართლის მო-
 კითხვის უფლებამოსილი, ჭირისუ-
 ფალი.
 მოურავი 51₄₅; 52₅₀.
 მოურავი (ატენის), 51₄₁.
 მოურაბა (გორის, ათენის) 43₁₂; 52₅₀.
 ნასისხლად ბოძება, 40₂₉.
 ნასისხლი მამული, 45₈.
 ნიშანი, 44₇; 45₁, 19, 23—საბუთის გვარი.
 პატრონი, 45₁₇, 24; 48₁₆; 49₁₈, 32, 42; 50₁.
 პატრონი (ბაგრატ), 51₂₇.
 „ (დემეტრე), 50₄, 6, 10; 51₁₇.
 რძალი, 44₄₁; 46₁₁.
 სამესისხლეო საქმე, 49₂₄.
 სიძე, 46₁₂.
 ქუისლი, 41₂₀.
 ღარიბობა, 40₉, 10—მამულიდან გასვლა,
 უცხოდ ყოფნა.
 ყმა, 43₆, 9; 48₁₆; 51₃₉.
 შებეჭდება, 48₁₅.
 შეგდება, 44₃₁—შეწერა, შესახელება,
 დავალება.

შედგომა, 44₂₂.
შეზღუს, 48₂₀—უზღოს.
შემართვა, 49₂₅, გამედვა, თავსდება.
შეყენება, 44₂₂.
შეცვლა, 41₂₈, 22—წართმევა; გამორთმევა.
შეცოდება, 41₂₃—დანაშაულის ჩადენა.
შინაყმა, 48₁₁.
შუბი, 42₁₁.
ჩარდახი (დახატული) 40₃₁—მცირე ოთახი
სართულს ქვეშ, ტახტრევანდ.
ჩოქი, 43₁₄—პატრონისაგან წყალობის მი-
ღების დროს არსებული ეთიკეტი.
აქედან „ჩოქი“ თვით იშ საბუთსაც
ერქვა, რომელშიაც აღნიშნული იყო
ასეთი წყალობა.

წართმევა, 41₂, 28; 43₁₄—ნაწყალობევის
უცნ წალება პატრონის მიერ. ერთოვეული
წაგდენა, 50₇, 11, 18. გრძელებული
წიგნი, 48₅, 13—საბუთი.
პელი, 45₂₁, 22.
პელი, 48₁₂, დამწერლობის ხასიათი.
პელმწიფე, 44₃₀—სუვერენი, სრულუფ-
ლებიანი.
პელისრთვა, 44₆.
პელჩართული, 45₂₃.
პელწერილი, 45₁₂.
პრმალი, 42₁₁.
კრმლით ნაშოები, 44₂₀.
კრმლითა ნაშოები, 44₃₈.
ჯაკლობითა შვილობა, 44₆.



დოც. გ. ჩერია

გლეხების აკადემია 1863 წელს სამეცნიერო გა

გლეხურ მოძრაობათა ისტორია სამეგრელოში, შეიძლება გარკვევით ითქვას, ჯერ კიდევ მეცნიერული სიზუსტითა და სისრულით დამუშავებული არ არის; კიდევ უფრო მეტიც: ზოგჯერ ამ მოძრაობებიდან მრავალი ლირსშესანიშნავი ფაქტი ცალკეულადაც კი დადგენილი და გაშუქებული არა გვაქვს. არსებული ლიტერატურა მე-19 საუკუნეში გლეხთა მოძრაობების შესახებ (მთლიანად საქართველოს მასშტაბითაც) შეეხება მხოლოდ ისეთ მსხვილ გლეხთა მოძრაობებს, რომელნიც ისტორიულად დიდი ხანია ცნობილია, და რომელთათვისაც გვერდის ახვევა, მე-19 საუკუნის ისტორიის შესწავლის დროს, სრულიად შეუძლებელია¹. ხოლო რაც შეეხება გლეხთა შედარებით პატარა გამოსვლებსა და აჯანყებებს, ასეთები არამც თუ სათანადოდ შესწავლილი არ არის, არამედ მათი არსებობის შესახებაც კი თითქმის არავინ არაფერი იცის.

ერთ-ერთ ასეთ უცნობ და შეუსწავლელ მოძრაობათაგანს მიეკუთხება ის გლეხთა აჯანყებაც სამეგრელოში, რომლის შესახებ ჩვენ აქ ლაპარაკი გვექნება, სახელდობრ, გლეხების ჯანაშიებისა და ფაცაციების აჯანყება სოფ. თამაკონში 1863 წელს². ეს აჯანყება საისტორიო ლიტერატურაში თითქმის სრულიად უცნობია. მის შესახებ ერთ ახლახიან გამოსულ წიგნში — „გლეხთა მოძრაობანი საქართველოში“³ მხოლოდ ორიოდე სიტყვაა ნათქვამი. იქ, სახელდობრ, ნათქვამია შემდეგი:

„1857 წლის შემდეგაც [სამეგრელოში] ხშირად ხდებოდა გლეხებსა და მემამულებს შორის შეტაჭება. ერთ-ერთ შეიარაღებულ შეტაჭებას აღვილი ჰქონდა 1863 წლის მაისში სენაკის ოლქში. ეს მო-

¹ სამეგრელოს გლეხთა მოძრაობებიდან არსებითად ცნობილია მხოლოდ 1857 წლის დიდი ამბოხება.

² ოფიციალ საბუთებში ეს აჯანყება ცნობილია ჯანაშიებისა და ფაცაციების აჯანყებად, მაგრამ მთავარ როლს ამ ამბოხებაში თამაშობდნენ ჯანაშიები.

³ გ. ხაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX ს., 1929 წ. ტულილისი.

ხდა სწორედ იმ დროს, როდესაც ტფილისში, მეფის მოქალაქეთა
კანცელარიაში, მოხელეთა ვიწრო წრეებში, ფარულად მზადდებოდა
გლეხთა რეფორმა, როდესაც თავად-აზნაურთა დეპუტატები ევაჭრე-
ბოდნენ შავრობას, რომ მაქსიმალურად დაეცვათ თავისი კლასობ-
რივი ინტერესები. ქუთაისის გუბერნატორის მოხსენებიდან ჩანს,
რომ სენაკის რაიონის გლეხები დიდი ხანია, რაც ღელავდნენ: ისინი
ერთმანეთს შორის მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, რომ არ შეესრუ-
ლებინათ მემამულეთა მოთხოვნილებანი. გლეხობამ გადასწყვიტა,
რომ თუ მთავრობა არ ჩაერევა და არ დაიტაროვს მათ მემამულეთა
შევიწროებისაგან, თვითონ გაუმტლავდებიან ბატონებს. ორი წლით
ადრე ამის წინ გლეხებმა გაგზავნეს ტფილისში საჩივარი თავის ბა-
ტონებზე, მაგრამ ვერავითარი პასუხი ვერ მიიღეს. აჯანყებამ იფეთ-
ქა სოფ. ოქმაკოში (sic), ე. ი. იმ რაიონში, რომლის მოსახლეობაც,
ხელისუფლების აზრით, მოუსვენარი ხასიათთა ცნობილი: აქ ყოველ-
თვის პირველად დაიბადებოდა ხოლმე ხელისუფლების საწინააღმდე-
გო აღმაშფოთებელი მოძრაობა. გლეხობა თავად ჩიქოვანებს ეკუ-
თვნოდა. სამხედრო ნაწილს, რომელიც მემამულეთა დასახმარებლად
იქნა გაგზავნილი, გლეხობამ წინააღმდეგობა გაუწია. სროლაში და-
იხოცნენ (?) მამასახლისი ბეჭანა ჯიბლაძე (sic), აზნაური დგებუაძე
და სხ. აჯანყება შეიძლება მთელ სამეგრელოს გლეხობას მოსდებო-
და. გუბერნატორმა აცნობა, რომ საჭიროა „მოძრაობა თვით ჩანა-
სახშივე ჩაქრობილ იქნეს“, რომ თავიდან „ავიცილოთ დაბალ ხალ-
ხთა და თავად-აზნაურობას შორის სისხლის ღვრა, რადგან თავად-
აზნაურობა უკვე თავს იყრიდა სამეგრელოს მთიან ადგილებში,
რომ აჯანყებული გლეხობა დაესაჯათ“. აჯანყებულთა წინააღმდეგ
ხელისუფლებამ დიდაღი სამხედრო ძალა გაგზავნა და თავად-აზ-
ნაურთა რაზმებთან ერთად შეესინენ აჯანყებულთ. აჯანყება ჩაქრეს
და სოფ. ოქმაკო ძირიან-ფეხვიანად გაანადგურეს“¹.

მოყვანილ ამონაწერში, რომლის მეტი დასახელებულ წიგნში ერ-
თი სიტყვაც არ არის ნათქვამი ამ აჯანყების შესახებ ², ზოგიერთ
შედარებით მცირე შეუსაბამობათა (ფაქტების სისწორის მხრივ) გარ-
და, ყურადღებას იქცევს მოთხოვნის მეტის-მეტი სიმოქლე და სქე-
მატიურობა. ასე მოკლედ მოხსენება ამ აჯანყებისა სპეციალურ შრო-
მაში გლეხთა მოძრაობის შესახებ გვაფიქრებინებს, რომ ავტორს ან
საჭირო წყაროები არ ჰქონდა მის უფრო ფართედ და სრულად გა-

¹ იქვე, გვ. 81.

² ეს ცნობაც ერთად-ერთია ლიტერატურაში ამ აჯანყების შესახებ — სხვაგან
არსად ეს აჯანყება უბრალოდ მოხსენებულიც არ არის.

საშუქებლად ან, რაც უფრო სწორი უნდა იყოს, მას ამ აჯანყებულობა ხევდრითი წონა და მნიშვნელობა ჯეროვნად ვერ შეუფასებია.

მართალია, 1863 წლის აჯანყებას არ ჰქონია სრულიად სამეგრელოს მნიშვნელობა; მას შედარებით ვიწრო და ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა; მასში მონაწილეობა ფაქტოურად მხოლოდ ერთი სოფლის გლეხებმა მიიღეს; მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს აჯანყება ერთობ საყურადღებო და საინტერესო მოძრაობად უნდა ჩაითვალოს მრავალ მხრივ; საყურადღებოა ეს მოძრაობა ოუნდაც იმ მხრივ, რომ ის საკმაო სისრულით გვისურათებს ერთის მხრივ სამეგრელოს გლეხობის მდგომარეობას და იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობდა თავად-აზნაურობასა და გლეხებს შორის სწორედ ე. წ. გლეხთა „განთავისუფლების“ წინ, ხოლო მეორე მხრივ გვაწვდის საინტერესო ცნობებს იდგილობრივ მემამულეთა და მეუის პოლიციის შეხმატებილებულად მოქმედების შესახებ გლეხობის წინააღმდეგ.

რა პირობებში მოხდა 1863 წლის აჯანყება? რა იყო ამ აჯანყების უშუალო მიზეზი? როგორ ფორმებში ჩამოყალიბდა ის? ვან იღებდა მასში მონაწილეობას? რით დამთავრდა ეს მოძრაობა და რა მნიშვნელობა ჰქონდა მას? — აი ის კითხვები, რომლებზედაც საჭიროა გაიცეს პასუხი იმისათვის, რომ სათანადო წარმოდგენა გვქონდეს ამ მოძრაობის შესახებ.

2

ისტორიულად ცნობილი ამბავია, რომ ბატონიშვილის დროს სამეგრელოში, ისევე როგორც საერთოდ საქართველოში, გლეხობა აუტანელ ეკონომიურ-უფლებრივ პირობებში იყო ჩაყენებული: მემამულის მიწაწყალზე დასახლებული, მემამულის სასარგებლოდ სხვადასხვა გადასახადებითა და ბეგარით და *ვირთული, პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველგვარ უფლებებს მოქლებული, მემამულისაგან სავსებით დამოკიდებული და დამონებული — სამეგრელოს გლეხობა მებატონის განუსაზღვრელ ექსპლოატაციის საგანს წარმოადგენდა და არსებითად მის ნამდვილ საკუთრებას შეადგენდა. „სამეგრელოს უმაღლეს კლასს უფლება ჰქონდა თავის ქვეშევრდომთა სიმდიდრესა და სიცოცხლეზე; ჩადიოდა ყველაფერს, რასაც მოისურვებდა; მიჰყავდა ქალები, ბავშვები, ჰყიდდა მათ და მოიხმარდა ყველაფერს, რაც წამოელანდებოდა (sic) ხოლმე. თვით გლეხს თავის ბატონთან მიჰქონდა: პურის, პირუტყვის, ღვინის და სხვა ნაწარმოებთა განსაზღვრული ნაწილი; ბატონის სიმდიდრე განისაზღვრებოდა



გლეხთა რაოდენობით. თითოეული გლეხი წლის განმავლობაში შემოიტანა და დანართდა ის გამოც უმაღლესი წოდება წლის განმავლობაში გადადობდა ერთი ადგილიდან მეორეზე და მით ღრღნიდა თავის გლეხობას, ზოგიერთ შემთხვევაში სხვების [გლეხობასაც], რაც ერთნაირად ნიადაგს უმზადებდა იმ არევ-დარევას, რომელიც ხშირად ურთიერთ შორის სასისხლო (sic) შეტაკებებს იწვევდა ხოლმე. მთავარიც სწორედ ასეთ ცხოვრებას ატარებდა. ძნელი იყო ყოველთვის გაგება იმისა, თუ სად იმყოფებოდა ის; მას მთელი თავისი ოჯახი, ქალები, ბავშვები, მსახურნი, სტუმრები, დესპანნი და სხვა პატივსაცემი უცხო პირები თან დაჰყავდა“, მოვითხრობს შარდენი¹.

ცარისტულ მმართველობის დამყარების შემდეგ, როგორც ვიცით, გლეხობის ასეთი მდგომარეობა სამეგრელოში ფაქტიურად არ გაუმჯობესებულა. პირიქით, გაუარესდა კიდეც, თუნდაც იმ მხრივ, რომ მემამულეთა ბატონობას ამიერიდან მეფის პოლიციისა და მეფის მოხელეთა ბატონობაც მიემატა: თუ წინათ, ე. ი. რუსული მმართველობის დამყარებამდე, გლეხი შხოლოდ თავის „მშობლიურ“ მემამულებსა და მებატონებებს ემსახურებოდა, მათ სასარგებლოდ გადასახადებსა და ბეგარას იხდიდა, ახლა გლეხი ვალდებული იყო ახალი ბატონიც — მეფის პოლიცია და მოხელეობაც ეცნო და მისი განკარგულებაც შეესრულებინა. ახლად დამყარებული მეფის პოლიციური ხელისუფლება მემამულეთა ინტერესებს ემსახურებოდა და თავის მოქმედებაშიც მათზე ემყარებოდა, ხოლო ეს უკანასკნელნიც პირველს იშველიებდენ გლეხობის წინააღმდეგ თავიანთი უფლებების დასაცავად. და ამ რიგად ორივე ეს ძალა, ერთად გაერთიანებული, გლეხის ნაშრომითა და ნათოლარით გამაძლარი, ბურებრივად მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ ოსებული სოციალური მდგომარეობა (ბატონიმობა) სამარადისოდ განმტკიცებულიყო. ამ მხრივ, ე. ი. ახლად მოსულ მეფის პოლიციისა და ადგილობრივ მემამულების „თანადგომითა და ერთნებაობით“ მოქმედების ფაქტის ილუსტრაციის თვალსაზრისით, ერთობ საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ დროის თვიციალურ დოკუმენტებში, თითქმის ყველგან, როდესაც ლაპარაკია გლეხობის აჯანყებაზე, პირდაპირაა ნათქვამი, რომ გლეხობა აჯანყებას აწყობს „პოლიციისა და მემამულეთა ხელის-

¹ ქ. შარდენი, Voyages en Perse et autres lieux de l'orient, (ციტატა მოგვყავს მ. კოლხებიდელის წიგნის „გლეხების აჯანყება სამეგრელოში“-ს მიხედვით, გვ. 6; შეად. კ. ბორობზ ინრ, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 100—101).

უფლების“ წინააღმდეგო («против полицейско-помещичьей власти»¹).

ამას გარდა, გლეხთა მდგომარეობის გაუარესებას ცარისტული მართველობის დროს ხელს უწყობდა თვით რუსული “კანონებიც, რომელთა გადმოლებასაც ახლად მოსული რუსი მოხელეები, მოუხედავად იმისა, რომ აქ ფორმალურად ვახტანგის კანონები ჯერ კიდევ გაუქმდებული არ იყო, მაინც ახერხებდნენ. ხოლო იმ კანონებისა და იმ დროს რუსეთის იმპერიაში არსებულ ბატონიუმშრ სამართლის შინაარსის მიხედვით, გლეხს უფლება არ ჰქონდა საჩივარი აღეძრა მემამულის წინააღმდეგ². „ჯერ ისევ ეკატერინე მე-2-ის (რომელიც ესოდენ ეძიებდა, რომ კოლტერს, დიდროს და დალამბერს ეჭოთ მისი ლიბერალიზმი) ბრძანების ძალით, ჩვენს აღმინისტრაციას უფლება არ ჰქონდა გლეხებისაგან მემამულებზე შემოტანილი საჩივარი მოესმინა“³. ეს ბრძანება რუსეთში ფაქტურად მე-19-საუკუნეშიც ძალაში იყო. ხოლო რუსულ მმართველობის დამყარების შემდეგ სპეციალური მთავრობის განკარგულებით ეს მდგომარეობა არსებითად დააკანონეს აქიც: თავაღმა ჩერნიშევსა 1842 წელს ცალკე ცირკულიარი გამოსცა საქართველოში, რომლის ძალით ადგილობრივს აღმინისტრაციას ნაბრძანები ჰქონდა: თვალყური ადევნეთ ყმებს, რომ ბატონებს ყველაფერში ემორჩილებოდენთ. ხოლო როცა ყმებმა, ის იყო, განიზრახეს წინააღმდევობა განეცხადებინათ, სამხედრო ეგზეკუციამ აგრძნობინა [მათ], რომ განთავისუფლების იმედი, თუ სამუდამოდ არა, დიდხანს მაინც არ უნდა გქონდეთ“⁴.

ამიტომ, როგორც ვთქვით, გლეხობის მდგომარეობა ჩევნში ცარიშმის შემსველის შემდეგ, თუ არ გაუარესებულია, არ გაუმჯობესებულა მაინც. სწორედ მეფის რუსეთის ბატონობის დამყარების შემდეგდროინდელ მდგომარეობას ახასიათებს, სამეცნიეროს გლეხობის 1857 წლის ცნობილი ოჯანყების მეთაურის, უტუ მიქავას, ცნობილი სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა გენერალ კოლუბიაკინთან შეხვედრის დროს. „ზედმეტია ლაპარაკი იმაზე — ეუბნებოდა მიქავა გენერალს — რომ მთელი ჩევნი შრომის ნაყოფი იმათა (ე. ი. მებატონებს — შ. ჩ.) რჩებათ; მათ რომ კაცმა ჰკითხოს, გლეხს არაფერი

¹ მაგალითად, მეფის ნაცვლის კანცელარიის ამ დროის არქივში მრავალი საქმეა დაცული ასეთი სათაურით: «дело о беспорядках и неповиновении крестьян полицейско-помещичьей власти».

² კ. ბორთ ზდინი, სამეცნიერო და სეანეთი, გვ. 143.

³ იქვე, გვ. 143.

⁴ იქვე, გვ. 265.

უნდა პქონდეს, და რაც რამ აბადია, ყველაფერს ართმევენ, თუ კონტაქტული
ხერხებით არა, ძალით მაინც. ჩვენ ამას შევეჩვიენით, ამას კიდევ
თქვენი ჭირი წაუღია, საქმე ის გახლავთ, რომ ამბობენ ვითომ ჩვენ
ადამიანის სულიც კი არ უნდა გვეღვის. მათის აზრით, რა პირუ-
ტყვი გნებავთ, ჩვენ არა გვჯობდეს. ვთქვათ ბატონს მეზობლის მი-
მინო მოეწონა, აღება და ერთ კომლ გლეხს აძლევს მეზობელს,
ოლონდ კი იმან ეს მიმინო დაუთმოს; მწევრას ან მექებრისათვის
რამდენსამე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ,
ვიდრე აღამიანები.

... [ჩვენ] ჩამოვართვით [მებატონეებს] ხაჯალურები და დადია-
ნურები, რომლითაც ისინი ზოგჯერ მთელის წლობითა გვტანჯავდნენ,
და მათის სახლებიდან გამოვიყვანეთ ჩვენი დები და ქალიშვილები,
რომლებსაც მოახლეები ერქვათ და ნამდვილად კი მათი ხასები იყვნენ,
და ქრისტიანულის წესით გავათხოვთ. ჩვენი სამშობლო შეგვზიზლდა,
გადავსწყვიტეთ მოვშორდეთ აქაურობას სამუდამოდ და საღმე ჯან-
დაბას გადავიკარგნეთ... ოხრად კი დარჩეს ისეთი სამშობლო, სა-
დაც თავიც კი ვერ შეგითარებია საღმე, საცა შენზე ნადირობენ,
გარეულ ნადირსავით დაგდევენ"¹.

უტუ მიქავას ზემოთმოვანილი სიტყვები ჩაწერილია 1857 წლის
გლეხთა აჯანყების „თანადამხდურისა და თვითშეიღველის“ კ. ბო-
როზდინის მიერ, რომელმაც თავისი ყურებით მოისმინა ეს სიტყვე-
ბი და რომელიც, ვითარცა მეფის მოხელე, მოუხედავად ლიბერა-
ლური რევერანსებისა დასახელებულ აჯანყების მიმართ, სრულიად
არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ამგვარ მოძრაობების
თაყვანისმცემელი; ამიტომ ეს დახასიათება ოდნავადაც გადამეტე-
ბულად არ შეიძლება ჩაითვალოს: ეს დახასიათება სავსებით სწო-
რად და ცხადად გვიხატავს გლეხობის აუტანელ მდგომარეობას
მე-19 ს. მეორე ნახევრის დასაწყისში, ე. ი. ცარიზმის ბატონობის
დროს სამეგრელოში, როდესაც ეს გლეხობა კვლავინდებურად უ„ბ-
რალო ნივთად“ და „მუშა საქონლად“² იყო გადაქცეული მებატონის
ხელში.

აქედან სავსებით გასაგებია ის გარემოება, რომ სწორედ „რუს-
თა ბატონობის“ დამკვიდრების შემდეგ ჩვენში გლეხთა აჯანყებებს
უფრო ფართე და თანაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიეცა: მე-

¹ კ. ბოროზდანი, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 115—116; შეად.: გ. ხა-
ჭაპურიძე, გლეხების აჯანყებანი საქართველოში, გვ. 75; მ. კოლხიდევლი, გ-
გლეხების აჯანყება სამეგრელოში, გვ. 44—46.

² იქვე, გვ. 262.



ბატონისაგან გაქცევა და ყაჩალად გასვლა („ველად გაჭრა“), უმარტინებელი სახალებსა და ბეგარაზე უარის თქმა, ტერორისტული აქტები (მე-მამულეთა აქლება და ამოწყვეტა), აშკარა ურჩობა და შეიარაღებული წინააღმდეგობა, მასიური გამოსვლები და აჯანყებები — ყველაფერი ეს უფრო გამჭირდა სწორედ მას შემდეგ, რაც საქართველოში რესერის თვითმპყრობელობამ ფეხი შემოდგა და აქ თავისი ბიუროკრატიულ-პოლიციური რეჟიმი დაამკვიდრა. მთელი მე-19 საუკუნის, განსაკუთრებით კი მისი პირველ ნახევრის ისტორია, შეიძლება ითქვას, ეს არის უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანილ გლეხობის პერმანენტული ბრძოლა მემამულეთა თავგასულობისა და მეფის პოლიციურ წესწყობილების წინააღმდეგ.

1863 წლის გლეხთა აჯანყებაც სამეგრელოში, ვითარცა ამგვარ ბრძოლის ერთ-ერთი რგოლთაგანი, უნდა მიეკუთვნოს მე-19-ე საუკუნის ისეთ მოძრაობათა ციკლს, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო მემამულეთა და ცარიზმის წინააღმდეგ. ასე რომ, როდესაც ვლაპარაკობთ ამ აჯანყების გამომწვევ პირობებსა და მიზეზებზე, პირველ რიგში და უმთავრესად ასეთ მიზეზად დასახელებულ უნდა იქნეს ის სოციალური უსამართლობა, რომელიც ბატონიშვილის ინსტიტუტისა და ცარიზმის სახით არსებობდა სამეგრელოში, და რომელიც დაბალ წოდებას — გლეხობას — სულს უხუთავდა. სწორედ ბატონიშვილის აუტანელი პირობები, შემაგრებული და განმტკიცებული მეფის პოლიციური ხელისუფლების კანონებით, წარმოადგენდა იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს 1863 წლის გლეხთა აჯანყება¹.

მაგრამ ეს მიზეზები საერთო ხასიათისაა; ეს ისეთი ძირითადი მიზეზებია, რომელთა ნიადაგზედაც არსებითად მე-19 საუკუნის გლეხთა ყველა მოძრაობა აღმოცენდა ჩვენში. ჩვენთვის კი ამ უამად საინტერესოა უშუალო მიზეზები, ან უკეთ რომ ვთქვათ, საბაბი 1863 წლის აჯანყებისა: სახელდობრ, თუ რამ გამოიწვია ეს აჯანყება უშუალოდ და, ამასთან დაკავშირებით კი, რა ხასიათი მიიღო მან თავის განვითარების შემდეგ ეტაპებზე.

3

ის წყაროები, რომლებიც ამ უამად ჩვენს განკარგულებაშია, შესაძლებელს ხდის გამოკარგვით 1863 წ. აჯანყების როგორც უშუალოდ გამომწვევ მიზეზებისა და მისი ხასიათის, ისე იგრეთვე

¹ ოფიციალ საბუთებში ნათქვამია, რომ 1863 წლის ამბოხების მონაწილე გლეხები მემამულეთა და ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებით „მუდამ გამოირჩეოდენ“.



ამ მოძრაობის სოციალური შინაარსისა და მისი თანდათანთბოთურები განვითარების მთავარი მოქედრები. ამ წყაროების მიხედვით შევეც-დებით კიდეც ვუპასუხოთ ზემოთ დასმულ კითხვებს და აღვადგინოთ 1863 წლის აჯანყების მთლიანი სურათი.

მაგრამ ვიდრე ამაზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი:

ამ მიმოხილვაში ჩვენ ვვმყარებით უმთავრესად და, შეიძლება ითქვას, მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალ საბუთებს—საარქივო მასალებს. მაგრამ ეს ოფიციალური მასალებაც სრული და ამომწურავი არ არის. 1863 წლის აჯანყების შესახები მასალები შეიძლებოდა თავის დროზე მოგროვილიყოთ თოხ დაწესებულებაში: 1. მეფის ნაცვლის კანცელარიაში — სასამართლო საქმეების დეპარტამენტში, 2. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, კანცელარიაში, 3. სამეცნიეროს მმართველის კანცელარიაში და 4. სენაკის ოლქის უფროსის კანცელარიაში, ე. ი. იმ დაწესებულებათა არქივებში, რომელთაც თავის დროზე დამოკიდებულება ჰქონდათ ამ აჯანყებასთან და რომელთაც, ამასთან დაკავშირებით, მიწერ-მოწერა უწარმოებით ამის შესახებ. იქნან სენაკის ოლქის უფროსის საარქივო ფონდს ჩვენამდე აღარ მოულწევია და ის მასალები, რომლებიც ამ ფონდში საფიქრებელია ყოფილიყო, დაქარგულიდ უნდა ჩაითვალოს; ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა და სამეცნიეროს მმართველის ფონდები ჯერჯერობით აღწერილი არ არის და ამის გამო ამ ფონდების მასალებით ამ უამაღ სარგებლობა ძნელია. — ყოველშემთხვევაში, არც ქუთაისის არქივში (სადაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ფონდის ნაშთებია დაცული) და არც ზუგდიდის არქივში (სადაც სამეცნიეროს მმართველის ფონდი ინახება) 1863 წლის აჯანყების შესახებ მასალები ჯერ-ჯერობით არ აღმოჩნდა. ხოლო რაც შეეხება მეფის ნაცვლის კანცელარიის, ან უკეთ, სასამართლო საქმეთა დეპარტამენტის ფონდს, აქ აღმოჩნდა ორი საქმე (№№ 1576 და 1659). პირველს ასეთი სათაური აქვს: „Дело по прошению жителей мингрельского владения, Сенакского округа, крестьян Джанапиевых, с жалобою на нападение на них князей Чиковани, сопровождавшееся разорением 29 домов с имуществом“¹, ხოლო მეორეს: „Дело о беспорядках, неповиновении помещичьей и полицейской власти и сопротивлении вооруженной рукой жителей мингрельского владения сел. Тамако, Джанапиевых и Пацациевых“². ორივე საქმეში სულ 15 საბუთია დაცული.

¹ ფონ. 21, საქ. 1576.

² იგივე ფონ. საქ. 1659.



ყველა ეს საბუთი წარმოადგენს მიწერ-მოწერას მეფის ნაცენტურული კუთაისის გენერალ-გუბერნატორსა და სამეგრელოს მართველს შორის 1863 წლის აჯანყების შესახებ და უშუალოდ შეეხება ამ აჯანყებას. მაგრამ ამ მასალებიდან ჩანს, რომ ეს მიწერ-მოწერა სრული არ არის: საქმე ისაა, რომ ნაწილი ოფიციალური საბუთებისა მეფის ნაცენტურას არ ეგზავნებოდა, ხოლო ნაწილი ამ უკანასკნელის მიერ განხილვის შემდეგ უკანვე უბრუნდებოდა ან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, ან სამეგრელოს მმართველს და ეს საბუთები არ შეიძლებოდა მოხვედრილიყო ჩვენს საქმეებში. ამის გამო ამ საქმეებში დაცული არ არის, მაგალითად, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დანიშნულ გამოიების მასალები (არის მხოლოდ ამ მასალებიდან შედგენილი მოხსენება), სამეგრელოს მმართველის ზოგიერთი მოხსენებები, სენაკის ოლქის უფროსის არც ერთი მოხსენება, აჯანყებულ გლეხების 1862 წლის თხოვნები, პასუხისებებაში მიცემულ გლეხთა გასამართლების საბუთები, საბრალმდებლო აქტი, განახენი და სხვა.

მაგრამ ის მასალები, რომლებიც ამ საქმეებში დაცულია, მაინც შესაძლებელს ხდის, როგორც ვთქვით, საქმია სისრულითა და სიზუსტით დავადგინოთ აჯანყებისა და მისი შედეგების უმთავრესი ფაქტები.

ამ მასალების მიხედვით საქმის ვითარება შემდეგნაირად წარმოიდგინება.

4

მე-19 საუკუნის დასაწყისში (ნიშანდობლივ 1819 წელს) სამეგრელოს მთავარმა, ლევანმა, თავად როსტომ ჩიქოვანს აჩუქა 5 კომლი გლეხი: გვარად ჯანაშიები და ფაცაციები¹. თუ როგორ მდგომარეობაში, ან ვის დამოკიდებულებაში იყვნენ ეს გლეხები მანამდე, არა ჩანს: შესაძლებელია ეს გლეხები სამთავრო გლეხები და მთავრის ყმები ყოფილიყვნენ, ან ე. წ. „აზატთა“ კატეგორიას და გლეხთა წოდების უფრო შეღავათიან (მაღალ) ფენას ჰქონებოდნენ². მაგრამ ამის შესახებ ჩვენს მასალებში არათერი ნათქვამი არ არის

¹ საქ. 1659, ფურ 2.

² ამ დროს სამეგრელოში ჯერ კიდევ არ იყო დაკანონებული ე. წ. „თავისუფალ კაცთა წოდება“ („составие вольных людей“). ეს უკანასკნელი შემოღებულ იქნა სამეგრელოს „ავტონომიის“ გაუქმებისა და რუსული მმართველობის ოფიციალურად დამყარების შემდეგ 1858 წელს (იხ. С. Есадзе, историческая записка об управлении Кавказом, ვვ. 380).

და არც შეიძლება ამ უამაღ ამის გამორკვევა მხოლოდ იმუნიტეტში ბის მიხედვით, რომელიც ამ მასალებშია მოცემული. მას შემდეგ კი, რაც ეს გლეხები როსტომ ჩიქვანის განკარგულებაში გადავიდნენ, ჩაყენებულ იქნენ, ე. წ. „მებეგრე“ გლეხების მდგომარეობაში: ისინი იხდიდნენ გარკვეულ ბეგარასა და გადასახადს ახალი მებატონის, როსტომ ჩიქვანის, სასარგებლოდ; სხვათა შორის იხდიდნენ გადასახად „საუდიეროსაც“ — 100 კოკა ღვინისა და 10 ლორის რაოდენობით¹, რაც თითო ოჯახზე (კომლზე) შეადგენდა 20 კოკა ღვინისა და 2 ლორს. სწორედ ეს გარემოება, ე. ი. ის, რომ ამ გლეხებს „საუდიერო“ გადასახადი და კერძოდ ლორის გადახდა ჰქონდათ დაკისრებული, გვაძლევს საბუთს ვთქვათ, რომ ისინი როსტომ ჩიქვანის განკარგულებაში გადასვლის შემდეგ „მებეგრე“ გლეხთა პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი, რადგან ამ კატეგორიის გლეხებს გარდა, ასეთ გადასახადს სხვა ფენების გლეხები (აზატები, მსახურნი, მოჯალაბენი) არ იხდიდნენ².

როსტომის სიკვდილის შემდეგ, მისმა მემკვიდრეობმა საჭიროდ და, თავისდათავად ცხადია, სასურველადაც დაინახეს როსტომის ღროს დაწესებული ბეგარა და გადასახადი გაედიდებინათ. კერძოდ, ისინი არ დაკმაყოფილდნენ „საუდიერო“ გადასახადით წინა წლების რაოდენობით³ და გლეხებს მოსთხოვეს არა 100 კოკა ღვინო და 10 ლორი, არამედ გაცილებით უფრო მეტი. ტარიელ და დავით ჩიქვანები გადასახადს ანგარიშობდნენ ოჯახთა რიცხვის მიხედვით თითო ოჯახზე 20 კოკა ღვინოსა და 2 ლორს, ხოლო რაკი ოჯახთა რაოდენობა, წინანდელთან შედარებით, გაყოფის შედეგად, გამრავლდა და 5-ის ნაცვლად (აჯანყების დროისთვის) 23 გახდა, გადასახადიც ერთობ გაიზარდა და 100 კოკა ღვინისა და 10 ლორის ნაცვლად, ამ ანგარიშის მიხედვით, გლეხებს 460 კოკა ღვინო და 46 ლორი უნდა გადაეხადათ⁴.

სამეგრელოში არსებული ჩვეულების მიხედვით, უმები მებატონეებს გადასახადების ერთ ნაწილს, მათ შორის ღვინოს, უხდიდნენ გაყრის შემდეგაც იმავე რაოდენობით, რა რაოდენობითაც იხდიდნენ ისინი გაყრამდე. გადასახადი დიდდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მებატონე გაყრის შემდეგ გლეხს დამატებით მიწას მისცემდა და ამ

¹ საქ. 1659, ფურ. 2.

² С. Е с а ლ ვ ე, გვ. 380.

³ საქ. 1659, ფურ. 2.

⁴ იქვე, ფურ. 2.



შიწაზე გლეხი ვენახს გააშენებდა¹. ამავე ჩვეულების მიხედვით დანარჩენი გადასახადებიც კი გაყრის შემდეგ გლეხებს სამი წელი განმავლობაში უნდა გადაეხადათ უწინდელის რაოდენობით². მაგრამ, როგორც ჩანს ჩვენი საბოთებიდან, ჩიქოვანებს გადასახადის გადიდების დროს ეს გარემოება მხედველობაში არ მიუღიათ: ამ საბუთებიდან ჩანს, სახელდობრ, რომ ჩიქოვანებს თავიანთ გლეხებისათვის არც მიწა მიუციათ გაყრის დროს, არც ვენახის გაშენებისათვის დაუცდიათ და არც რამე შეღავათი მიუნიჭებიათ მათთვის, როდესაც გადასახადების გადიდებას მოითხოვდნენ³.

თავისთავად გასაგებია, რომ გლეხებმა ვერ შესძლეს ასეთი გადიდებული გადასახადის გადახდა და თხოვნით მიმართეს მებატონებს⁴ — ეს გადასახადი იმ რაოდენობით გადაეხდევინებინათ გლეხებისათვის, როგორც ეს დაწესებული იყო როსტომ ჩიქოვანის დროს. გლეხები მებატონეების ყურადღებას მიაქცევდნენ იმ გარემოებას, რომ, ოჯახების გაყოფის დროს, მათთვის ჩიქოვანებს მიწების დამატებითი ნაჭრები არ მიუციათ, როგორც ამას ჩვეულება მოითხოვდა, და რომ ამის გამო ოჯახთა რიცხვის გამრავლებასთან ერთად საერთო ქონება გლეხებისა არ გადიდებულა: მათ განქარგულებაში მამული და ნაშენ-ნაგები საერთო ჯამით იმავე რაოდენობით დარჩა გაყრის შემდეგ, როგორც ეს გაყრამდე და გადასახადის გადიდებამდე იყო. გლეხები ამის გამო სთხოვდნენ ჩიქოვანებს, რათა ისინი დაქმაყოფილებულიყვნენ წინანდელი გადასახადით. მაგრამ ჩიქოვანებმა ამას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს: მათ მოსთხოვეს გლეხებს სრულად გადაეხადათ გადასახადი კომლების რიცხვის მიხედვით.

რაკი მემამულეებთან ნებაყოფლობითი და მშვიდობიანი გზით ვერაფერს გახდნენ, გლეხებმა თვითონ შეუწყვიტეს გადასახადის მიცემა ჩიქოვანებს⁵ და ამავე დროს საჩივარი აღძრეს ხელისუფლების წინაშე, რომ ისინი გაენთავისუფლებინათ ამ გადასახადისაგან და საერთოდ კი მთლიანად ჩიქოვანების ბატონობისაგან⁶. უკანასკნელ მოთხოვნას გლეხები იმით ასაბუთებდნენ, რომ სამეგრელოს მთავარმა, ლევანმა, როსტომ ჩიქოვანს ისინი აჩუქა არა სამუდამოდ

¹ С. Есадзе 88, 394.

² იქვე, გვ. 395.

³ საქ. 1659, ფურ. 7.

⁴ იქვე, ფურ. 8—9.

⁵ იქვე, ფურ. 2.

⁶ იქვე, ფურ. 3.



(სამემკვიდროდ), როგორც ამას ჩიქოვანები ამტკიცებდნენ, დროებით, ვიღრე როსტომი ცოცხალი იქნებოდა, რის შემდეგ გლეხები ჩიქოვანების ბატონობისაგან უნდა გაეთავისუფლებინათო ¹.

გლეხებმა პირველად (1862 წელს, ან შესაძლებელია ამაზე ადრეც: ცენობები არ არის) ასეთი საჩივარი აღძრეს სამეგრელოს მმართველთან ² და სენაკის ოლქის უფროსთან (კ. ბოროტლინთან), შემდეგ კი (1863 წელს) ასეთივე საჩივარით მიმართეს ჯერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, სვაიატოპოლქ-მირსკის, მერე კავკასიის მთავარ-მართებელს ³. მაგრამ ვერსაიდან მათ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს. ხელისუფლებამ უკანონოდ სცნო გლეხების საჩივარი და პრეტენზიები მებატონების წინააღმდეგ: „სენაკის ოლქის უფროსმა, სამეგრელოს მმართველმა და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა — გერიტებთ საბუთში — მიიღეს რა მხედველობაში, რომ გადასახადი „საუდიირო“, მხარის ჩვეულების მიხედვით, არ ნაწილდება გაყოფილ ოჯახებს შორის, არამედ იგივე რჩება თვითეულ ოჯახისათვის, და რომ ამ დროს მხედველობაში არ მიიღება გამყოფ ოჯახის განკარგულებაში არსებული მიწის რაოდენომა, — გლეხების თხოვნა სცნეს უსაფუძვლოდ ⁴. ამის გამო ხელისუფლებამ თავად ჩიქოვანებს დაუდასტურა სრული უფლება — მოსთხოვონ მომჩინერებს გადასახადი ისე, როგორც ეს თვითონ ჰსურთ; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გლეხები არ მოისურვებდნენ გადასახადის გადახდას ნებაყოფლობით, ადგილობრივ ხელისუფლებას ევალებოდა დახმარება აღმოჩინა ჩიქოვანებისათვის გლეხების დამორჩილების საქმეში ⁵.

ამის შემდეგ გლეხებმა ერთხელ კიდევ სცადეს „კანონიერი“ — გზით სამართლის მოპოება და მიმართეს თვით მეფის ნაცვალს კავკასიაში, დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს (1863 წლის მარტის 16), რომელიც ამ დროს, ახლად დანიშნული ნაცვლად, ესეც იყო ჩამოვიდა საქართველოში და აქედან ქუთაისით ყირიმს მიემგზავრებოდა ⁶. თავიანთ საჩივარში გლეხები კვლავ უხსნიდნენ მეფის ნა-

¹ იქვე, ფურ. 3.

² სამეგრელოს მმართველად ამ ხანებში გენ. კოლუბიაკინი იყო. შემდეგში (1862 წლიდან) ეს უკანასკნელი შესცვალა ჭილაშვილმა (დ. ყიფიანის ცოლის მამამ).

გლეხებმა თხოვნით მიმართეს როგორც პირველს, ისე მეორეს.

³ მთავარ მართებლის მოვალეობას ამ დროს ასრულებდა გრ. ორბელიანი (საქ. 1576, ფურ. 11).

⁴ საქ. 1659, ფურ. 3.

⁵ იქვე, ფურ. 8.

⁶ საქ. 1576, ფურ. 11

ცვალს, თუ ოოგორ აუტანელ პირობებში იყვნენ ისინი ჩაყენებულ
მემამულების მიერ და სთხოვდნენ მას სამართლიან მფარველობაზე კუთხით
გადასახადისა და ჩიქვანების ბატონომისაგან განთავისუფლებას.
მეფის ნაცვალმა, ოომელიც, რასაკვირველია, გლეხების მდგომარეო-
ბით ოდნავადაც დაინტერესებული არ იყო, ფორმალურად, „კანო-
ნიერებისა“ და „სამართლიანობის“ დაცვის მოსაზრებით, ეს თხოვ-
ნა გადასცა დასკვნისათვის ე. წ. „საჩივართა წინასწარ გამრჩევ დრო-
ებით კომისიას“, ოომელიც არსებობდა სანაცვლოსოან ¹. ამ უკანა-
სკნელმა კი საჭიროდ სცნო გლეხების ეს საჩივარი გადასცემოდა ქუ-
თაისის გენერალ-გუბერნატორს იმ მოტივით, რომ იმავე გლეხების
მიერ წინათ შემოტანილი სხვა ამგვარივე საჩივრებიც მასვე ჰქონდა
გადაცემული ². ამ რიგად გლეხების საჩივარი ისევ იმ პირის ხელ-
ში გადადიოდა, რომელსაც გლეხებმა თვით მიმართეს თავდაპირვე-
ლად თხოვნით და რომლისაგანაც დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ
მიიღეს. ამიტომ, ცხადია, ამ შემთხვევაშიც იგივე შედეგი უნდა მო-
ყოლოდა გუბერნატორის მიერ ამ საჩივრის განხილვას, რაც პირვე-
ლად მოჰყავა: თუმცა ოფიციალურ საბუობიდან არა ჩანს, თუ ოო-
გორი განახენი დაუდო გლეხებს მათ საჩივარზე, ან როგორი ნაბი-
ჯები გადასდგა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ამ მიმართულე-
ბით, მაგრამ იმ ამბების მიხედვით, რომლებიც ამის შემდეგ დატრი-
ალდა იქ, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ გლეხების ეს
თხოვნაც სრულიად უყურადღებოდ იქნა კვლავინდებურად დატოვე-
ბული ხელისუფლების მიერ და გლეხებმა ვერც ეხლა ჰპოვეს რაიმე
სამართლი ამ ხელისუფლებისაგან.

ამრიგად, გაყრის შემთხვევაში, არსებულ ბატონიშვილ სამართლი-
სა და ჩვეულების თანახმად, დაწესებულ შელავათების (დამატებითი
მიწის, ვენახის გაშენებისათვის დროის) მიუნიჭებლად გადასახადის
გადიდება და მებატონეების მხრივ დაუინებითი მოთხოვა ამ გადი-
დებულ გადასახადების გადახდისა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ,
გლეხების თხოვნებისა და საჩივრების უყურადღებოდ დატოვება და
ამ ნიადაგზე ყოველგვარი რწმენის დაკარგვა ხელისუფლების სამართ-
ლისადმი — ი ის უშუალო მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს 1863 წ.
გლეხთა აჯანყება: ამ მიზეზებს გარდა, საფიქრებელი და საესებით
დასაშვებია სხვა ისეთი მომენტებიც ყოფილიყო ჩიქვანებისა და მათი
ყმების ურთიერთობაში (სასტიკი მოპყრობა, ფიზიკური სასჯელის გა-
მოყენება და სხვა), რომელნიც აგრეთვე უშუალო საბაზი გახდებოდენ

¹ იქვე, ფურ. 12.

² იქვე, ფურ. 12.

ამ აჯანყებისა, მაგრამ ამის შესახებ ჩვენს მასალებში არავითარო მი-
თითება არ არის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გაკრით შეკატებულ
ნებულ ორ პატარა ცნობას: ა) ჩიქოვანების მხრივ გლეხებზე მიხტო-
მის შესახებ და ბ) თავად ბეჟანა დგებუაძის მიერ გლეხ ბოშინა ჯანა-
შიასათვის კბილების ჩამტვრევის შესახებ¹; პირველი ფაქტი, ე. ი.
ჩიქოვანების მიხტომა გლეხებზე უფრო გვიანდელი ამბავი უნდა იყოს,
როდესაც კონფლიქტი უკვე ფაქტი იყო; ხოლო რაც შეეხება მეორე
ფაქტს, საბუთებიდან არა ჩანს, სახელდობრ, რისთვის და როდის ჩაუ-
მტვრია კბილები ბეჟანა დგებუაძემ ბოშინა ჯანაშიას და ამ ფაქტს
ჰქონდა თუ არა უშუალო კავშირი გლეხების აჯანყებასთან. მაგრამ მაინც
უსაფუძღლო არ იქნება a priori დაუშვათ, რომ ორივე მოხსენებულ
ფაქტის მსგავსი ამბავი ჯანაშიებისა და ჩიქოვანების ურთიერთობა-
ში არც ისე გამონაკლისი და შემთხვევითი ხასიათისა იქნებოდა მო-
მხდარ აჯანყებამდეც, და ამგვარი ფაქტებიც ზემოდ დასახელებულ
მიზეზებთან ერთად საფიქრებელია ხელს შეუწყობდენ აჯანყებისთვის
ნიდაგის მომზადებას.

5

ამის შემდეგ, რაკი გლეხები ვერაფერს გახდნენ ვერც მებატონე-
ებთან და ვერც ხელისუფლებასთან ოხოვნებითა და საჩივრებით,
მათ გადასწყვიტეს თვით „მოეგვარებინათ“ ეს საკითხი: 1863 წლის
მაისის დასაწყისში სოფ. თამაკონის გლეხებმა, ჯანაშიებმა და ფაცაცი-
ებმა, კრება მოიწვიეს და ერთმანეთს შეჰვიცეს, რომ გადასახადს არ
გადაიხდიდენ და მებატონეებს არ დაემორჩილებოდენ; ხოლო თუ
ჩიქოვანები მოისურვებდენ ძალით გადასახადის აკრეფას და მათ
დამორჩილებას, იარაღით ხელში წინააღმდეგობას გაუწევდენ¹. ამ
გადაწყვეტილებასთან ერთად გლეხები შეუდგნენ სოფლის გამავრე-
ბასა და იარაღის მომზადებას². მაგრამ ამავე დროს, შეტაკებისა
და სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროდ იყო ცნო-
ბილი, რომ მშვიდობიანი გზითაც საქმის მოგვარებაზე ხელი არ
აეღოთ და კველა ისეთი ნაბიჯები, რაც საქმეს შეუტაკებლად მოა-
გვარებდა, მხედველობაში ჰქონებოდათ³.

¹ საქ. 1659, ფურ. 8—9.

² იქვე, ფურ. 9. როგორც ჩანს, გლეხები თოფის წამალს თვითონ აკეთებდნენ
თავიანთ სოფელში და ამ მხრივ შედარებით უზრუნველყოფილი იყვნენ (იხ. საქ. 1659, ფურ. 12).

³ ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ საბუთებში პირდაპირი ჩვენება არ
არის, მაგრამ რომ გლეხები ცდილობდნენ თავიდან აცილებიათ სისხლის ღვრა
და შეიარაღებული შეტაკება, ეს ჩანს მთელი მათი შემდეგი მოქმედებიდან (იხ.
შვემორე).

დასახულ გეგმების უკეთ განხორციელებისა და საქმის სათანა-
დოდ წაყვანისათვის გლეხებმა ერთგვარი სათაობირო ორგანიზაციის
„საბჭო“ — შექმნეს ¹; ამ საბჭოში რამდენიმე თავი - კაცი შეიყვანეს
და იმათი მეთაურობით პატარა მომქმედი აპარატი გაიჩინეს: ცნო-
ბების მიმწოდებელი (მაგ. ხახულია ჯანაშია) ², ხალხის შემკრები
(სოფრომიკა ჯანაშია) ³, ხელისუფლებასთან მისაგზავნი პირი (მაგ.
ნიკოლა ჯანაშია) ⁴ და სხვა. თუ რამდენი კაცი შედიოდა საბჭოში
და საერთოდ იყო თუ არა მის წევრთა რიცხვი განსაზღვრული, საბუ-
თებიდან არა ჩანს; მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საბჭოში და-
ახლოვებით 4—5 კაცზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვე-
ვაში მოძრაობის მეთაური გლეხები: 1. ბოშინა ჯანაშია, 2. გულა
ჯანაშია, 3. ბათაია ჯანაშია და 4. ხახულია ჯანაშია, რომელიც
მთავარ დამნაშავეებად არიან გამოყვანილი გამოძიების მიერ, იმ სა-
თაობირო ორგანოს — საბჭოს წევრებიც უნდა ყოფილიყვნენ, რომ-
ლის დანიშნულება სწორედ აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გა-
წევაში მდგომარეობდა. ამათგან მთავარ როლს, როგორც ჩანს, ბო-
შინა და გულა ჯანაშიები თამაშობდნენ და ესენივე ხელმძღვანელო-
ბდნენ საბჭოსაც. ეს უკანასკნელი იკრიბებოდა ბათაია ჯანაშიას სა-
ხლში ⁵.

ამასობაში ჩიქოვანებმაც დაიწყეს თავის მხრივ მზადება გლეხე-
ბის წინააღმდევ ზომების მისაღებად: გლეხების ურჩობის ამბავი ად-
გილობრივ ხელისუფლებას შეატყობინეს და ამავე დროს თავი მოუ-
ყარეს ადგილობრივ მემამულეებს, რათა „ურჩი“ გლეხები დაესაჯათ
და გადასახადიც ძალით იეკრიფათ ⁶. მაგრამ ჩიქოვანები ვერ ბე-
დავდნენ გლეხებზე პირდაპირ შეტევას და ამიტომ პირველ ხანებში
ცდილობდნენ მუქარისა და დაშინების გზით დაემორჩილებინათ გლე-
ხები. ამის შესახებ საბუთებში პირდაპირი მითითება არ არის, მაგ-
რამ გლეხების საჩივრების მიხედვით გამოდის, რომ ჩიქოვანები და-
შინების საშუალებასაც მიმართავდენ. მაგრამ აქედან არა გამო-
ვიდა რა: გლეხებმა გადაჭრით უარი განაცხადეს გადასახადებზე და
დამორჩილებაზედაც. საქმეს ვერ უშველა ვერც პოლიციის ჩარევამ:
ოლქის უფროსისა და მის თანაშემწის ბრძანებაზე — გამოცხადებუ-

¹ იქვე, ფურ. 14.

² იქვე, ფურ. 14.

³ იქვე, ფურ. 14.

⁴ იქვე, ფურ. 14.

⁵ იქვე, ფურ. 10, 13.

⁶ იქვე, ფურ. 5.

ლიკვნენ ამ საქმის თაობაზე, გლეხებმა სიჩუმით უპასუხეს დაჭრილები
თან არც კი მივიღნენ¹.

მაშინ, — ეს იყო 1863 წლის მაისის 9-ს, — სენაკის ოლქის უფ-
როსმა, ჩიქოვანების მოთხოვნით, სოფ. თამაკონში მიავლინა თავისი
თანაშემწერი ნანეიშვილი 10 კაზაკითურთ იმ მიზნით, რომ მას
განდგომილი ჯანაშიები მორჩილებაში მოეყვანა და გადასახადიც ძა-
ლით აეკრითა². კაზაკების გარდა, ნანეიშვილს, როგორც ჩანს,
თან ახლდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავაღ-აზნაურობიდან
და დაბალ მოხელეებიდანაც. თამაკონში მისვლისთანავე ნანეიშვილ-
მა ხელოსანი მიუგზავნა აჯანყებულებს და შეუთვალა — მოამზადეთ
ჩემთვის ბინა და თვითონაც მოემზადეთ ურჩიბისათვის პასუხისმა-
გებლადო. მაგრამ, როდესაც მიგზავნილი ხელოსანი მივიღა აჯანყე-
ბულებთან, შეეშინდა, მისვლის ნამდვილი მიზეზების დასახელება ვერ
გაძედა და ცხენის საძებნად წამოსვლა მოიმიზება: ცხენი დამეკარგა
და მის საძებნად წამოვედიო. გლეხებს, როგორც ჩანს, ეს ხელოსა-
ნი დაუკავებიათ. მაშინ ნანეიშვილმა, რაյი ხელოსანი აღარ დაბრუნ-
და, აჯანყებულებს მეორე მოციქული — აზნაური გოტა ცაგურია —
მიუგზავნა. მისულ ცაგურიას გლეხებმა გამოუცხადეს, რომ ისინი
უცდიან მეფის ნაცვლისთვის წარდგენილ თხოვნის შედეგებს, რის გა-
მოც მათ ამ შედეგების მიღებამდე არ შეუძლიათ დაემორჩილონ
ოლქის უფროსის თანაშემწის განკარგულებას. გლეხებმა დაავალეს
ცაგურიას გადაეცა თანაშემწისათვის, რომ მას დაეცადა პასუხის მი-
ღებამდე, ხოლო თუ ის ამაზე არ დათანხმდება, ჩვენ წინააღმდეგო-
ბას გავუწევთო ³.

ამავე დროს გლეხები შეუდგნენ მზადებას თავდაცვისათვის: და-
იწყეს მდინარე ტეხურის გაღმა მხარის (სადაც სოფ. თამაკონი იყო)
გამაგრება და ამ მიზნით შეიარაღებული პოსტების მოწყობა იმ აღ-
გილას, სადაც გაღასასვლელი ხიდი იყო გაკეთებული და სადაც (აქე-
თ თანაბირას) ნანეიშვილი იყო დაბანაკებული თავისი რაზმით ⁴. რომ
სოფლის აღება გაძნელებულიყო, გლეხებმა თამაკონში მიმავალი გზე-
ბი გააფუჭეს.

ნანეიშვილმა პასუხის მიღებისთანავე გადასწყვიტა შესეოდა სო-
ფელს და ამ მიზნით მოინდომა გასულიყო მდინარე ტეხურის მეო-
რე ნაპირას. მან უბრძანა კაზაკებსა და თავის მხლებლებს და-

¹ იქვე, ფურ. 3.

² იქვე, ფურ. 3.

³ იქვე, ფურ. 9.

⁴ იქვე, ფურ. 3, 9.

ძრულიყვნენ იმ მიმართულებით, სადაც გლეხებს საღარაჯო პოსტე¹—^{შეკრისალი} ჰი ჰერნდათ მოწყობილი. წინ მიღიოდნენ თავად-აზნაურები, შეკრისალი სახლისი ბეჟანა დგებუაძის მეთაურობით², ხოლო მათ მიჰყვებოდნენ კაზაკები ნანეიშვილის მეთაურობით. მაგრამ ამ დროს გლეხებმა, გაფრთხილების შემდეგ (რომ არ შამოსულიყვნენ), სროლა აუტეხეს ნანეიშვილის რაზმს, რომლის წინა ნაწილი (თავად-აზნაურებისაგან შემდგარი) უკვე ხიდზე ასულიყო კიდეც, და ამრიგად საშუალება არ მისცეს მათ მიეღწიათ მეორე ნაპირამდე. აქეთა მხრიდან გლეხების სროლას უპასუხეს კაზაკებმა. ამ შეტაკების დროს მოკლულ-იქნა ერთი კაცი და დაიჭრა ორი³.

ამრიგად, პირველი შეიარაღებული შეტაკება აჯანყებულ გლეხებსა და პოლიციასთან ერთად თავად-აზნაურობას შორის მოხდა მდინარე ტეხურის გამოლმა სოფ. თამაკონთან. ეს შეტაკება დამთავრდა ასე თუ ისე გლეხების გამარჯვებით: ნანეიშვილი იძულებული გახდა შეჩერებულიყო და იმექამად ხელი აელო თავის განზრახვაზე. დაჭრილ-დახოცილებშიაც არავინ არ იყო გლეხების მხრიდან: მხოლოდ ერთ გლეხს — სოფრინმიკა ჯანაშიას ტანისამოსში გაუარა კაზაკების ტყვიამ⁴. სამაგიეროდ თავად-აზნაურების მხრიდან მოკლულ იქნა თავადი ბეჟანა დგებუაძე, ხოლო დაიჭრა აზნაური გიორგი დგებუაძე (ფეხში) და გლეხი გუთუ კვაშილავა (მკლავში), რომელიც თავადებს ახლდა⁵. როგორც ჩანს, გლეხები შეგნებულად ცდილობდნენ საბაბი არ მიეცათ ხელისუფლებისათვის, რომ მათთვის ამ უკანასკნელის წინააღმდეგ მოქმედება დაებრალებინათ; და სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ მოკლულთა ან დაჭრილთა შორის არ იყვნენ კაზახები: თუ კი გლეხებს შეეძლოთ ტყვია მოხვედრებინათ დგებუაძეებისათვის, თავის და თავად ცხადია, იგივე შეეძლოთ მათ ექნათ კაზაკების მიმართ: მაგრამ ეს, როგორც ვხედავთ, მათ არ ჩაიდინეს, უეჭველია, ზემოთაღნიშნული მოსაზრებით.

თავადებს შორის, როგორც ჩანს, გლეხებს განსაკუთრებული მტრობა და ინტერესი ბეჟანა დგებუაძისა ჰქონიათ. ამ უკანასკნელს ეს სავსებით და სამართლიანადაც დაუმსახურებია: ის გარემოება, რომ ბეჟანა დგებუაძე მამასახლისი იყო და, მაშასადამე, მთავრობის ნდობით აღჭურვილი, რომ ის ნანეიშვილის დამსჯელ რაზმს წინ მიუძლოდა და, მაშასადამე, გლეხების დასჯის საქმეში განსაკუთრებულ

¹ იქვე, ფურ. 4.

² იქვე, ფურ. 4.

³ იქვე, ფურ. 10.

⁴ იქვე, ფურ. 9—10.



აქტივობას იჩენდა, საგმაოდ ახასიათებს ბეჟანა დგებუაძეს, როგორც
მტარებალ და სასტიკ მებატონებს, მაგრამ ამას გარდა საბურთო მოვალეობა
პოვება ერთი ჩვენება, რომელიც მის მტარებალობას უფრო ნათლად
ამტკიცებს და რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი:
საბურთო, სახელდობრ, ნათქვამია, რომ ბეჟანა დგებუაძემ ოდესლაც
გლეხს ბოშინა ჯანაშიას წინა კბილები ჩაუმტკრიაო. ყველა ამის მი-
ხედვით ჩვენ შეგვიძლია ვთქათ, რომ ბეჟანა დგებუაძეს მართლაც
დამსახურებული ჰქონდა გლეხებისაგან განსაკუთრებული სიძულვი-
ლი, რაც ჩანს იქიდანაც, რომ ის მოკლულ იქნა ხუთი ტყვით: ერ-
თი მოხვდა მას ხელში, ერთი ფეხში, ორი მუცელში და ერთიც
თავში (ეტყობა გაღმა ნაპირიდან გლეხები ყველანი მას უმიზნებ-
დენენ უმთავრესად); მაშინ, როდესაც გიორგი დგებუაძესაც და ქვა-
შილავას მხოლოდ თითო ტყვია მოხვდათ.

ბეჟანა დგებუაძისადმი განსაკუთრებული სიძულვილი გამოხატუ-
ლია იმ ლექსშიც, რომელიც ხალხს გამოუთქვამს მისი მოკვლის გა-
მო და რომელიც დღესაც შენახულია სენაკის რაიონში. ეს ლექსი
(სრული ვარიანტი) ასე იკითხება ¹:

მეგრულად:

„ბეჟა დგებია გეგულუუ,
დღა დო სერქ დეგელუუ.
ჯანაშიაქ თოფი გოჭოთუ,
ტეხირს ქიგოკერკელუუ.
სეჟანი სირმამი ქუდი
წყარქ მიდასერგელუუ.
უსამართო ორდი მარა,
ჯოლორქ ქიგობებელუუ“

თარგმანი:

ბეჟან დგებუაძე გეგულუუ,
დღე და ღამე დაგელია.
ჯანაშიამ თოფი გესროლა,
ტეხურში გადაგაკოტრიალა.
შენი სირმიანი ქუდი
წყალმა წაათრია.
უსამართლო იყავი, მაგრამ
ძალლმა დაგა...აო.

ამ შეტაკებაში, საბურთების მოწმობით, გლეხების მხრივ უშუალო
მონაწილეობა მხოლოდ 20 კაცმა მიიღო. საბურთებში ნათქვამია, სა-
ხელდობრ, რომ იმ დროს, როდესაც ნანეიშვილი თავისი რაზმით
მდინარე ტეხურს მიადგა და ხიდზე გასვლა დააპირა, სოფ. თამა-
კონის მთიან აღვილებიდან, ტეხურის მეორე ნაპირზე, 20-მდე შე-
იარაღებული გლეხი ჩამოვიდა ². მართლაც შესაძლებელია, რომ
მომხდარ სროლაში ამაზე მეტს მონაწილეობა არ მიეღო, რადგან

¹ ეს ლექსი მოგვაწოდა პროფ. ს. ჯანაშიამ, რომელსაც იგი ჩაუშერია 1915 წელს მასწავლებელ არსენ მესხისაგან (მარტვილის რაიონიდან). სვ. ჯანაშიას მოწმობით ამ ლექსის სხვა ვარიანტებიცაა შენახული დასახელებულ რაიონის გლე-
ხებში, კერძოდ ჯანაშიებში, მაგრამ მოყვანილი ვარიანტი ყველაზე უფრო სრულია.

² საქ. 1659, ფურ. 4. შეად.: საქ. 1576, ფურ. 2.

მეტი ძალის საჭიროება იმისათვის, რომ ნანეიშვილის რაზმის წინ-სვლა შექმერებინა ისეთ მოხერხებულ ადგილას, როგორც ტეხურის ხიდი იყო, არც არსებობდა¹. თუ რამდენი კაცი იყო მოწინააღმდეგე მხარეზე, საბუთებიდან არა ჩანს, მაგრამ უნდა ვითქიქოთ, რომ მეორე მხარეზე ამდენივე ან ცოტათი ამაზე მეტი უნდა ყოფილიყო: ნანეიშვილს, როგორც ვამბობდით, 10 კაზაკი და რამდენიმე შეიარაღებული თავად-აზნაური თუ დაბალი მოხელე ახლდა², ხოლო ადგილზედაც ალბათ ჩიქოვანები დაუხვდებოდნენ. სულ ესენი ვარა-უდით 40—50 კაცამდე უნდა ვიანგარიშოთ, რადგან ამაზე ნაკლების ძალით ნანეიშვილი, ცხადია, ვერ გაბედავდა განდგომილ ვლეხების წინააღმდეგ წამოსვლას. ხოლო რომ მას ამაზე მეტი ძალა ჰყოლოდა, ცხადია, ასე ერთბაშად ხელს არ აიღებდა თავის განზრახვაზე — სოფელს შეესერდა და გლეხები მორჩილებაში მოეყვანა. საბუთებიდან კი პირდაპირ ჩანს, რომ ამ შეტაკების შემდეგ ნანეიშვილი შექმერდა და მდინარეზე გასვლა ვერ გაბედა.

რა შედეგი მოჰყვა ამ პირველ შეტაკებას და როგორი გავლენა იქონია მან აჯანყების შემდეგ განვითარებაზე?

6

პირველ შეტაკების შედეგებმა ერთობ შეაძრწუნა მემამულეებიცა და ხელისუფლებაც. ხელისუფლება დარწმუნდა იმაში, რომ აჯანყებას სერიოზული ხასიათი ჰქონდა და რომ ეს აჯანყება „შეიძლებოდა“ მთელი სამეგრელოს გლეხობას მოსდებოდა“, თუ კი მთავრობის მხრით მის „ჩანასახშივე ჩასაქრობად“ გადამჭრელი ზომები მიღებული არ იქნებოდა. მეორე დღესვე (მაისის 10-ს) სამეგრელოს მმართველმა ჭილაშვილმა შეტაკების შედეგების შესახებ აცნობა ქუთაი-სის გენერალ-გუბერნატორს³ „სპეციალური“ პატაკით და სოხოვა მას სასწრაფოდ დახმარების გამოგზავნა. ამავე დროს მან მაშინვე მეხუთე მსროლელი ბატალიონის (რომელიც ამ დროს ზუგდიდში იდგა) ჯერ ორი როტა, ხოლო შემდეგ დამატებით ერთი როტაც სასწრაფოდ მიაშველა სოფ. თამაკონში დაბანაკებულ ნანეიშვილს⁴.

¹ აჯანყებულებს ნანეიშვილის რაზმისაგან ჰყოფდა მდინარე, რომლის მეორე ნაპირზე გადასვლა ხიდით შეიძლებოდა, ხოლო ხიდზე გადასვლის შექმერება პატარა რაზმისაც შეეძლო.

² იხ. ზემორე.

³ საქ. 1659, ფურ. 2.

⁴ იქვე, ფურ. 2.

ნანეიშვილმა, თავის მხრივ, პირველი შეტაკებისა და მარცხნიშვილის
დეგ, შემოიკრიბა ძალები, თავი მოუყარა ადგილობრივ მემამულე-
ებს და ალყა შემოარტყა სოფ. თამაჯონს ისე, რომ ყველა გზები, იქ
მიმავალი, თვით დაიკავა. რაკი ნანეიშვილმა შესძლო სოფლისათვის
ალყის შემორტყმა და გზების დაკავება, უნდა ვიფიქროთ, რომ მას
საკმაო ძალებიც ჰყავდა, მაგრამ მან მაინც ერ გაძელა, ჯარის ნა-
წილების მოსვლამდე, შეტევაზე გადასვლა და აჯანყებულებს კვლავ
„ხელოსანი“ მიუგზავნა¹. ხელოსნის პირით ნანეიშვილი გლეხებს
ურჩევდა ნებაყოფლობით დაშლილიყვნენ, მეთაურები ხელისუფლე-
ბისათვის გადაეცათ და დანაშაული მოენანიებინათ: თუ აჯანყებუ-
ლები ამაზე დასთანხმდებოდნენ, ნანეიშვილი შეღავათსა და პატიე-
ბას ჰპირდებოდა, ხოლო თუ ამის წინააღმდეგ წავიდოდნენ, აწიო-
კებას და სასტიკად დასჯას უქადდა². მაგრამ გლეხებმა არც ახლა
მიიღეს ნანეიშვილის წინააღმდება და მას ყველაფერზე უარი შემოუ-
თვალეს: ასე გასტანა ერთმა დღემ (მაისის 10).

მეორე დღეს, ე. ი. მაისის 11-ს, მოვიდა სამეგრელოს მმართვე-
ლის მიერ გამოგზავნილი სამი როტა კაზაკებისა პოდპოლკოვ-
ნიკ მაჭავარიანის მეთაურობით, ხოლო მაისის 12 აჯანყების ადგილ-
ზე გამოცხადდნენ თვით სამეგრელოს მმართველი და სენაკის ოლქის
უფროსი³, ცხადია, სამხედრო ნაწილებისა და შეიარაღებულ თა-
ვად-აზნაურობის რაზმის თანხლებით.

ამრიგად აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ ამ უამად თავი მოი-
ყარა საკმაოდ დიდმა ძალამ, რომელიც შესდგებოდა შეიარაღებულ
თავად-აზნაურობისა, პოლიციისა და სამხედრო ნაწილებისაგან. თუ
რამოდენა იყო ეს ძალა საერთოდ, საბუთებიდან არა ჩანს, მაგრამ
დაახლოვებით შეიძლება ამ ძალის რაოდენობა განვსაზღვროთ იმ
გაკვრითი ტნობებს მიხედვითაც, რომელიც საბუთებშია შენახული:
თუ ოლქის უფროსის თანაშემწერმ ნანეიშვილმა, როგორც ზევით
აღნიშვნული იყო და როგორც საბუთებშიც ნათქვამია, თავისი ძალე-
ბით (ე. ი. ადგილობრივ შეკრებილ თავად-აზნაურობისა და ყაზახ-
რუსთა) საშუალებით მოახერხა სოფ. თამაჯონისათვის ალყის შე-
მორტყმა და იქ მიმავალ გზების დაკავება, უნდა ვიფიქროთ, რომ
მას დაახლოვებით 100 კაციმდე მაინც უნდა ჰყოლოდა, თუ მეტი
არა; სამეგრელოს მმართველის მიერ მაჭავარიანის მეთაურობით გა-
მოგზავნილი სამი როტაც, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თითო-

¹ იქვე, ფურ. 6.

² იქვე, ფურ. 6.

³ იქვე, ფურ. 7.



როტაში შეიძლებოდა 150-დან 200 კაცამდე ყოფილიყო, შეადგენდა სამართლებული დაახლოვებით 500—600 კაცამდე; რაც შეეხება სენაკის ოლქის შემცირებულ როსს, საბუთში ნათქვამია, რომ მას 80-დე შეიარაღებული თავად-აზნაური ახლდა 1, მაგრამ ეს რაოდენობა უეჭველად დაპატარავებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან სამუთის ავტორი დაინტერესებული იყო უმაღლეს ხელისუფლების წინაშე (ვისოვისაც განკუთვნილი იყო ეს საბუთი) საქმის ვითარება ისე წარმოედგინა, რომ თითქოს მცირე ძალებით მოეხდინოს მას ამბოხების ლიკვიდაცია. ამას გარდა ოლქის უფროსთან (თავად-აზნაურობის გარდა) სხვა შეიარაღებული ძალა (პოლიციის მოხელენი) იქნებოდა²; დასასრულ, თვით სამეგრელოს მმართველს, უნდა ვითიქროთ, თან ეყოლებოდა არა ნაკლებ 100 კაცისა მაინც, რადგანაც „არეულობის“ დროს, ნაკლები ძალის თანხლებით, ის ვერ გაძლიერდა გამგზავრებას სოფ. თამაკონში, რომელიც მისი რეზიდენციადან (ზუგდიდიდან) საკმაო მანძილით იყო მოშორებული. ასე რომ საერთო რაოდენობა პოლიციისა და თავად-აზნაურობის შეიარაღებულ ძალებისა უნდა ვიგარაულოთ არა ნაკლებ 700—800 კაცისა.

ეს ძალა დაუპირისპირდა ერთ მუჭა აჯანყებულებს. ამ უკანასკნელთა რაოდენობა საბუთების მიხედვით ზუსტად გამორკვეული არ არის: ერთი საბუთის ჩევნებით, როგორც ვამბობდით, პირველ შეტაკების დროს, როდესაც თავადი დგებუაძე მოჰკლეს, მონაწილეობას იღებდა სულ 20 გლეხი, ხოლო მეორე საბუთის ჩევნებით, რომელიც აჯანყებულთა მხრით ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ამბავს შეეხება საერთოდ, განდგომილთა რიცხვი თითქოს 50 კაცამდე უნდა ყოფილიყოს³. მაგრამ, თუ ამ ნაჩვენებ რიცხვში (20—50) მხოლოდ აჯანყების უშუალო მონაწილეობით ვიგულისხმებოდა ამ რიცხვს იმათაც მიუვარგიშებთ, ვინც არაპირდაპირ მონაწილეობას იღებდა ამ აჯანყებაში, მთელი ძალა ამბოხებულ გლეხებისა მაინც საეჭვოა 150-დან 200 კაცზე მეტი ყოფილიყოს.

თავისთავად ცხადია, ამ მცირე ძალას არ შეეძლო გამკლავებოდა 700—800 კაცისაგან შემდგარ პოლიციის და სამხედრო ნაწილებს, რომელიც აჯანყებულების წინააღმდეგ მიღიოდნენ, როგორც

¹ იქვე, ფურ. 7.

² საქ. 1576, ფურ. 2.

³ ოლქის უფროსთა უფლებები და კომპეტენცია შეტად ვრცელი იყო. ყოველ მათგანის უშუალო განკარგულებაში იყო ასეული კასაკთა, ხოლო თუ დასჭირდებოდათ, მათ შეეძლოთ მოეთხვათ დამხმარე კომანდებიც (კ. ბ თ რ თ ზ - დინი, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 134).

ნამდვილ მოსისხლე მტრების წინააღმდეგ, სამხედრო მოქმედულებას უველა სასტიკი წესის გამოყენებით.

სამეცნიეროს მმართველმა მოსვლისთანავე უველა ძალები გააერთიანა, მათი უფროსობა პოლკოვნიკ მაჭავარიანს დაავალა და ბრძნება გასცა — ყოველ მხრიდან ალყა შემოერტყათ აჯანყებულებისათვის; ამავე დროს გლეხებს კაცები მიუგზავნა და მათის პირით ნანეიშვილის მუჯარა გაუმეორა: დაწყნარდით, ნებაყოფლობით დაიშალებით და ამბოხების მეთაურები წარმომიდგინეთ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამაზე არ დათანხმდებით, სოფელს ავაწიოკებ და ოქვენც სასტიკად დაგსჯითო¹. გლეხებმა ნებაყოფლობით დათმობაზე და აჯანყებულთა მეთაურების გაცემაზე უარი შემოუთვალეს; მაგრამ, რაკი დარწმუნდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევა მოსულთათვის აღარ შეეძლოთ, ოჯახი (ქალები, ბავშვები, პირუტყვი) გახიზნეს და თვითონაც იმ მხარისაკენ დაიხიეს, საიდანაც მთა-გორიანი და ტყიანი ადგილი იყო².

მაისის 13-ს მაჭავარიანის ჯარი და შეიარაღებული თავად-აზნაურობის რაზმი შეესია სოფ. თამაკონს და ნაცარტუტად აქცია გლეხობის მთელი ქონება: გადასწვეს 29 კომლი ისე, რომ არაფერი იქ არ დაუტოვებიათ³. „დასწვეს 29 ოჯახი, ხის ნაგებობები თავის მოწყობილობით, ქვეშაგები თავისი მოწყობილობით, ტანისამოსი, 8 ცხვარი, საწნახელები რიცხვით 300-ზე (ნამდვილი რაოდენობა არ ვიცით), 13 ნალია სიმინდითა და ფეტვით გავსებული. ბევრი, რაც დასწვეს, სხვისი იყო, ეკუთვნოდა 215 სულს; ზოგიერთი ქონება თან წაიღეს და თავის კაცებს დაურიგეს, ასე მაგალითად: ძროხები, ხარები, ცხვრები, თხები, ღორები და ფრინველები, როგორც იტყვიან, უკანასკნელ კატამდე ყველაფერი ცეცხლს მისცეს“—ო, ვკითხულობთ 1864 წლის პრილის 4-ს ჯანაშიების მიერ მეფის ნაცვლისათვის მირთმეულ თხოვნაში⁴.

უკან დახვისა და სოფლის დაწვის შემდეგ აჯანყებულთა „საბჭომ“ თათბირი გამართა ბათათა ჯანაშიას სახლში იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. ყველასათვის ცხადი იყო, რომ გამკლავება და წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ თათბირზე ამის მომხრენიც იყვნენ; უმრავლესობა კი იმ აზრისა იყო, რომ ხელისუფლებისათვის დელეგაცია მიეგზავნათ და მორჩილება გამოე-

¹ საქ. 1659, ფურ. 5.

² იქვე, ფურ. 5.

³ საქ. 1576, ფურ. 16.

⁴ იქვე, ფურ. 16.



ცხადებინათ. უკანასკნელი აზრის მომხრენი გამოდიოდნენ იმ მოქადაჭმულების რეგიდან, რომ აჯანყებულებს წინააღმდეგობის გასაწევად ძალა ჰქონდა შემდეგ დანაშაულს მაინც გვაპატიებს და ზარალსაც აგვინაზღაურებსო. თაობიზე, როგორც ჩანს, შეთანხმება აღარ მოხდა, ამიტომ, ვინც ამ აზრს არ იზიარებდა, ტყეში გაიხიზნა; უმთავრესად ისინი, ვინც ამბოხების მეთაურები იყვნენ, ხოლო დანარჩენებმა შეარჩიეს შვიდი ისეთი გლეხი, რომელთაც შედარებით ნაკლები ბრალი ედებოდათ აჯანყებაში (ქაქუჩია ჯანაშია, ოსიკა ჯანაშია, დათა ჯანაშია, გოგია ჯანაშია და სამიც სხვა)¹ და შეუთვალეს მაჭავარიანს, რომ აჯანყებაზე ხელს იღებდნენ.

ამით დამთავრდა ამ აჯანყების მეორე — ძირითადი ეპიზოდი: გლეხების ნაწილმა მორჩილება გამოაცხადა, ნაწილი ტყეში გაიხიზნა, ხოლო ჯარმა და პოლიციამ თავად-აზნაურობასთან ერთად სოფელი გადასწვა და აიკლო.

7

ამის შემდეგ სამეგრელოს მმართველმა აჯანყება ლიქვიდირებულად ჩასთვალა: მოგზავნილი გლეხები დააპატიმრა, ჯარი უკან გააბრუნა და ოლქის უფროსს დავალება მისცა შესდგომოდა საქმის ვითარების გამოძიებას იმ მიზნით, რომ აჯანყების მეთაურების ვინაობა გამორკვეულიყო და სათანადოდ დასჯილი. ამავე დროს მან ოფიციალური მოხსენება გაუგზავნა (მაისის 16-ს, № 3710) ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს აჯანყების ჩაქრობის შესახებ². ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა სვიატობოლქ-მირსკიმ თავის მხრივ საქმის ვითარებისა და მომხდარ აჯანყების შესახებ დაწვრილებითი ცნობები გაუგზავნა მთავარ სამმართველოს უფროსს ქრონიკმტერნს — მეფის ნაცვლისთვის მოსახსენებლად; აჯანყების მიზეზების გამოსარჩევად და დამნაშავეთა პასუხისმგებაში მისაცემად კი ქუთაისიდან სპეციალური გამომძიებელი, თავისი კანცელარიის მდივანი, ფონველკე, გამოაგზავნა³. სვიატობოლქ-მირსკი თავის მოხსენებაში შემდეგნაირად ასწერდა მომხდარ ამბავს:

„სამეგრელოს მმართველმა ორი პატაკით (მაისის 10-სა და 16-ს თარიღებით, №№ 3593 და 3710-ით) მაცნობა შემდეგი:

¹ საქ. 1659, ფურ. 12—16.

² საქ. 1576, ფურ. 1.

³ იქვე, ფურ. 2.



სენაკის ოლქის, სოფ. თამაკოს მცხოვრებ გლეხებმა, ჭარხლებული
და ფაცაციებმა, რიცხვით 20 კომლმა, რომელნიც უკვი რამდენიმე
წელიწადია, რაც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას მემამული
თავად ჩიქოვანების წინაშე, — 9 ამა თვეს გაუწიეს ძლიერი წინააღ-
მდეგობა შეიარაღებული ხელით ოლქის უფროსის თანაშემწეს, რა
დროსაც სასიკვდილოდ დასჭრეს თოფის ტყვიით სოფლის მამასახ-
ლისი, თავადი ბეჭანა დგებუაძე, რომელიც მოკვდა, და, ამას გარ-
და, აზნაური გიორგი დგებუაძე და გლეხი კვაშილავა.

წესიერების აღსადგენად სოფ. თამაკოში გაგზავნილ იქნა მე-5
მსროლელ ბათალიონის ორი როტა. მაისის 10-ს დასახელებულმა
გლეხებმა, უარყვეს რა მათთვის დაწესებული გადასახადები, გადაჭ-
რით უარი განაცხადეს ყოველგვარ დამორჩილებაზე, გამაგრდნენ
თავიანთ სოფელში და შეუდგნენ თავდაცვას იარაღით.

სამეცნიეროს მმართველმა, მიიღო რა მხედველობაში მხარის ამ
ნაწილისა და დასახელებულ — ბუნებით ერთობ გამაგრებულ — სოფლის
მცხოვრებთა მოუსვენრობა, რომელთა შორის იბადებოდა ხოლმე
ყოველთვის პირველი აღმაშტოთებელი და ხელისუფლების საწინა-
ომდეგო მოძრაობები, — საჭიროდ ჩასვალა დასაწყისშივე ჩაექრო
ყოველგვარი წინააღმდეგობა და, ყოველ შემთხვევისათვის, იმავე
დღესვე გააგზავნა სოფ. თამაკოში იმშვე ბათალიონის კიდევ ერთი
როტა, ხოლო შემდეგ, თვითონაც გაემგზავრა მომხდარ ამბების
აღგილზე იმ მიზნით, რომ გაეფრთხილებინა შესაძლებლობა სისხლის
ღვრისა და ყოველგვარ შეტაკებისა უბრალო ხალხსა და თავად-
აზნაურებს შორის, რომელთაც თავი მოყარათ ზემო ნაწილში აჯან-
ყებულ გლეხების დასჯის მიზნით, რაც უეჭველად მოხდებოდა კიდეც,
რომ ჯარი არ მოსულიყო.

მაისის 12-ს მან გაიგო, რომ აჯანყებულ გლეხების ნაწილი, რი-
ცხვით 20-დან 50 კაცამდე, გამაგრდა სოფ. თამაკოში, ძნელად
მისავალ ადგილზე, მტკიცე გადაწყვეტილებით თავი დაეცვათ. მთა-
ვარი აჯანყებლები კი მათ შორის აღარ იყვნენ, ისინი გაიხიზნენ
თავად დგებუაძის მოკვლის უმაღლ. შეკრებილი ცნობების მიხედვით
გამოირკვა, რომ ეს მცხოვრებლები, რომელნიც ძველ დროიდანვე
გამოირჩეოდნენ მოუსვენრობითა და მათზე დაწესებულ მოვალეობე-
ბის უარყოფით, უთანხმდებოდნენ თავიანთ მეზობლებს — დახმარე-
ბოლნენ ერთმანეთს მემამულეთა ხელისუფლებისათვის დაუმორჩილებ-
ლობაში, თუ კი მთავრობა არ მიიღებდა გადამჭრელ ზომებს მათი
ურჩიბის წინააღმდეგ და ნებას მისცემდა მათ თვით დაეჭირათ საქმე თა-
ვიანთ მემამულებთან უშუალოდ. ასე რომ მთის მცხოვრებთ, ადგი-

ლობრივი ხელისუფლების ოდნავ ყოყმანის შემთხვევაში, შეეძლოთ უკანონებულიყვნენ თავიანთ მემამულეების წინააღმდეგ.

ამის შემდეგ გლეხებს გამოეცხადათ, რომ თუ ისინი არ დაწყნარ-დებიან და მთავარ წამქეზებლებს არ გასცემენ, დაისჯებიან შეიარა-ლებული ძალით. ამავე დროს საბჭოს უფროს წევრს პოლარულოვნიკ მაჟვარიანს დაევალა ადგილისოთვის ალყა შემოერტყა თრი მსრო-ლელი როტით და ემოქმედა უკანასკნელ უკიდურესობამდე დაჯერე-ბის ღონისძიებებით, რათა აეცდინა სისხლის ღვრა, რაც შესრულე-ბულ იქნა კიდეც: სოფელი დაკავებულ იქნა როტებით თოფის გა-უსროლად და წინააღმდეგობის გარეშე. ზოგიერთი გლეხები გამო-ცხადნენ ნებაყოფლობით, სხვები კი დაიმალნენ გაუვალ ტყეში და მით გადაურჩნენ დევნას.

* ამასთან ერთად დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ჩილიაევი დასძენს: 1. რომ, ყოველგვარ სიცხიზღვისა და ცდის მიუხედავად, შე-უძლებელი იყო ხანძრისაგან გადარჩენა გლეხთა სახლებისა, რომელ-ნიც სხვათა შორის სრულიად ცარიელნი იყვნენ და რომელნიც დაიწვა-ნაწილობრივ თვით მცხოვრებლებისაგან, ხოლო ნაწილობრივ ჯერ კიდევ გამოუტკვეველ პირთაგან; 2. რომ დანარჩენ დამნაშავეთა დასაჭრად და გაქცეულ სხვა გლეხების თავის ადგილას დასაბრუნებ-ლად განკარგულება მოხდენილია და 3. რომ გლეხები ჯანაშიები და ფაცაციები, რომელნიც მარად განირჩეოდენ მემამულეთა ხელის-უფლებისაღმი დაუმორჩილებლობით, სრულიად არ არიან გადატვირ-თულნი განსაკუთრებული ბეგარით და ისინი თავიდანვე ეკუთვნოდენ თავად ჩიქოვანებს.

ვაცნობებ რა ამის შესახებ თქვენს აღმატებულებას მის უმაღლე-სობის დიდი მთავრისათვის მოსახსენებლად, პატივი მაქვს დავსძინო, რომ ამასთანავე მე ვავლენ მომხდარ ამბების ადგილზე ჩემი კანცე-ლარიის მდივანს, კოლეგსკი სეკრეტარს, ფონ-ველკეს და ვანდობ მას მოახდინოს მომხდარ ამბების შესახებ ფორმალური გამოძიება და მიიღოს ყოველგვარი ზომები, როგორც მომხდარ უწესოებათა მიზე-ზების სინამდვილის გამოსარკვევად, ისე აგრეთვე იმის გამოსარკვე-ვადაც, თუ ვინ იყვნენ მთავარი დამნაშავენი ამ აჯანყებაში¹.

მირსკის მოვანილ მოხსენებაში, როგორც ვხედავთ და როგორც მოსალოდნელიც იყო, საქმის ვითარება ტენდენციურად და არსებითად დამახინჯებულადაა წარმოდგენილი. მირსკის ცდა იქითქენაა მიმარ-თული, რომ მთელი დანაშაული მომხდარ ამბებისა გლეხებს მოახვიოს

¹ იქვე, ფურ. 1—4.

თავზე და ამავე დროს თავად-აზნაურობასთან ერთად თვით ადგილობრივი რივ ხელისუფლების მიერ ჩადენილი შეცობა გლეხების „შემოქმედი“ იძულებით და თანაც სავსებით სამართლიან ღონისძიებად დახატოს. გლეხებს არავითარი მიზეზი არ ჰქონდათ აჯანყებულიყვნენ და ჩიქოვანებისათვის ურჩობა გაეწიათ, რადგან ისინი კანონიერად ეკუთვნიან ჩიქოვანებს და არც ზედმეტი გადასახადებით არიან დატვირთულნი; მაგრამ ეს გლეხები საერთოდ ცნობილი არიან, როგორც მოუსვენარნი და მარად მთავრობის წინააღმდეგ მომქმედი ელემენტები და ამის გამო მათ წინააღმდეგ ხელისუფლებას გადამჭრელი ზომები უნდა მიეღო იმისათვის, რომ ეს აჯანყება სხვა რაიონის გლეხებსაც არ მოსდებოდა და მომავალში მათ ამგვარი რამ არ გაებედნათ; რაც შეეხება გლეხების სახლკარის გადაბუვვას და ნაამაგარის აკლებას, — ეს ნაწილობრივ თვით გლეხებმა ჩაიდინეს, ხოლო ნაწილობრივ ჯერ გამოურკვეველმა პირებმა, რომელთა ვინაობა გამორკვეული იქნება უკვე დაწყებული გამოძიებითო — ასეთია ამ მოხსენების დედა-აზრი. სინამდვილეში კი, როგორც ჩვენ უკვე ვიცით ზემო მოთხრობილიდან, საქმის ვითარება სრულიად სხვაგვარი იყო: გლეხები მეტის-მეტი გადასახადებითა და თავად-აზნაურების თავგასულობით უკიდურესობამდე მიყვანილნი, იძულებული იყვნენ, მშვიდობიან საშუალებების ამოწურვის შემდეგ, იარაღისათვის ხელი მოეკიდნათ და თავისი უფლებების დასაცავად ხმა აღემალლებინათ; თავად-აზნაურობამ კი, მეფის პოლიციისა და შეიარაღებულ სამხედრო ძალების დახმარებით, შური იძია გლეხებზე ურჩობისათვის და ათეულ წლების განმავლობაში რამდენიმე ოჯახის ნაამაგარი ცეცხლით გაანადგურა, ხოლო ისინი; ვინც აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა და ხელისუფლებას-თან გამოცხადდა, დააპატიმრა.

ყველა ამის შემდეგ იწყება „ფორმალური“ გამოძიება და მიწერ-მოწერა ვითომეცდა იმ მოსაზრებით, რომ გლეხების უქმაყოფილების მიზეზი გამოირკვეს, მათი ზარალი ანაზღაურდეს, დამნაშავენი პასუხისმგებაში იქნენ მიცემულნი და მომავალში ამგვარი რამ არ გამეორდეს. ყოველშემთხვევაში გლეხების ერთი ნაწილი, იმ ღონისძიებების გარეგნულ ხასიათის მიხედვით, რომელთაც ხელისუფლება აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ატარებდა (სპეციალური გამოძიება; გლეხების საჩივრის მოსმენა და სხვა), დარწმუნებული იყო, რომ მთავრობა ზარალს მაინც აუნაზღაურებდა გლეხებს და ამბოხების მონაწილეობის მოექცეოდა.



სინამდვილეში კი მთავრობის მთელს ლონისძიებებს მხოლოდ უკუცველებელი მიზანი ჰქონდა, რომ ურჩი გლეხები სასტიკად დაესაჯა და ამბობების სურვილი მათში სავსებით აღმოეფხვრა. მეფის ნაცვალმა, დიდმა მთავარმა, მიხეილ ნიკოლოზის ძემ, რომელსაც ჯერ კიდევ ერთი წლის წინეთ (1863 წლის აპრილში) მიმართეს ამავე გლეხებმა ჩიქოვანების თავვასულობისაგან მფარველობისათვის, საგსებით დაეთანხმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, თავად მირსკის — მის მოხსენებაში გამოთქმულ აზრში და ასეთი რეზოლუცია წააწერა ამ მოხსენებას: „ერთობ სამწუხაროა! იმედი მაქვს დამნაშავენი მოძებნილი იქნებიან და სამაგალითოდ დასჯილნი“¹.

სამეცნიეროს შმართველის განკარგულებასა და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მიერ დანიშნულ გამოძიებასაც სწორედ ეს მიზანი ჰქონდა: მათ უნდოდათ „მოუსვენარი“ გლეხები „სამაგალითოდ და-ესაჯათ“ და ეს გლეხები მებატონების სრულს მორჩილებაში მოყვანათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ მეფის ნაცვლის აზრი გაიგეს (ეს რეზოლუცია საგანგებო მიმართვით) წარეგზავნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს 1863 წლის ივნისის 17-ს)², უფრო ბეჯითად და უფრო ენერგიულად შეუდგნენ ამ საქმეს.

პირველი საქმე, რაც მათ უნდა მოეგვარებინათ ამ მიმართულებით, ეს იყო გაქცეულ და ტყეში გახიზნულ გლეხების რამენაირად (მოტყუებით ან დაშინებით) გამოყვანა და პასუხისმგებაში მიცემა. ამ მიზნით (ე. ი. გლეხების გამოყვანის მიზნით) გამოძიებამ სოფელს გამოუკხადა: უკეთუ დამნაშავენი თავის ნებით გამოცხადდებიან და დანაშაულს აღიარებენ, სასჯელი შეუმსუბუქდებათ ან სავსებით ეპატიებათ, ხოლო თუ ურჩობას გამოიჩენენ და ნებაყოფლობით არ გამოცხადდებიან, ძალით დააციმრების შემდეგ, სასტიკად დაისჯებიან. ამ ღონისძიებამ გასჭრა, მაგრამ გასჭრა მხოლოდ ნაწილობრივ: აჯანყების ჩაქრობის პირველ დღიდან, ე. ი. მაისის 14-დან ივნისის 26-დე (7 კაცის გარდა, რომელიც როგორც კამბობლით, უკვე მაისის 13-ს გამოცხადნენ მაჭავარიანთან) გამოცხადდა სულ მხოლოდ 13 კაცი³. მეორე ნაწილი კი ამბობებულთა მეთაურებიდან, რომელთაც ხელისუფლების მართლმაჯულება არა სწამდათ და მას არც ენდობოდნენ, ისევე ტყეში დარჩენენ. მაშინ ხელისუფლება შეუდგა მათს ჭერას თავად-აზნაურობისა და მამასახლისების დახმა-

¹ იქვე, ფურ. 1.

² იქვე, ფურ. 5.

³ საქ. 1659, ფურ. 12.



რეპიონ (როგორც ჩანს, ჯაშუშებისა და გამცემლების გამოყენების) ამ გზით სულ მოკლე ხნის განმავლობაში ხელისუფლებამ შესძლო დაპატიმრებინა რამდენიმე კაცი, მათ შორის აჯანყების მეთაურები და აქტიური მონაწილეებიც: ბოშინა ჯანაშია, ბათაია ჯანაშია, სოფრომიკა ჯანაშია, ნიკოია ჯანაშია, თედორიკა ჯანაშია და გოგია ჯანაშია¹.

თუ რამდენი კაცი იყო სულ ხელისუფლების მიერ ამ საქმეზე დაპატიმრებული, არა ჩანს, მაგრამ ვარაუდით მათი რიცხვი 30—40-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. აქედან 5 კაცი, როგორც ჩანს, მომკვდარა ციხეში ჯერ კიდევ გასამართლებამდე², 13 კაცი ბასუხისგებაში მიუციათ³, ხოლო დანარჩენი, დაკითხვისა და ციხეში წამების შემდეგ, გაუთავისუფლებიათ. ცოცხლებიდან პასუხისგებაში მისცეს უმთავრესად ისინი, ვინც ასე თუ ისე აჯანყებაში უშუალო მონაწილეობას იღებდა და, კერძოდ, ვისაც თავად ბეჭანა დგებუაძის მოკვლაში ბრალი ედებოდა. ესენი იყვნენ: 1. ბოშინა ჯანაშია, 2. გულა ჯანაშია, 3. ბათაია ჯანაშია, 4. სოფრომიკა ჯანაშია, 5. ნიკოია ჯანაშია, 6. თედორიკა ჯანაშია, 7. ხახულია ჯანაშია, 8. კაქუჩია ჯანაშია, 9. ოსიკა ჯანაშია, 10. დათა ჯანაშია, 11. თედორიკა ჯანაშია, 12. გოგია ჯანაშია და 13. გოგია ფაცაცია⁴.

თუ ვინ იყვნენ ისინი, ვინც გასამართლებამდე დაიხოცნენ ციხეში, ან ისინი, ვინც გამოძიების შემდეგ გაათავისუფლეს, ჩვენი საბუთებიდან არა ჩანს.

პასუხისგებაში მიცემულ გლეხებზე შედგენილი საბრალმდებლო აქტიც საქმეებში დაცული არ არის და არც ისა ჩანს, იყო თუ არა მათზე საერთოდ ამგვარი აქტი შედგენილი. მაგრამ გამოძიების მასალების მიხედვით შედგენილ ერთ მოხსენებაში მოყვანილია დახასიათება დაპატიმრებულ გლეხებისა და იქვე ნაჩვენებია ზოგადად, თუ, სახელდობრ, რას აბრალებდნენ პასუხისგებაში მიცემულ გლეხებს. თუმცა ეს დახასიათებები და თვით მოხსენებაც საკმაოდ უვიცურად და ტრაფარეტულად არის შედგენილი, მაგრამ ამის მიხედვით შეგვიძლია დაახლოებითი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ პასუხისგებაში მიცემულთა შესახებ. ასე, მაგალითად, ბოშინა ჯანაშიას შესახებ ამ მოხსენებაში ნათქვამია შემდეგი: „ბოშინა ხახუს-ძე ჯანაშია, 44 წლისა. სოფლელების ჩვენებით მთავარი წამქეზებელთაგანი; დაწვითა

¹ იქვე, ფურ. 13—16.

² საქ. 1576, ფურ. 17.

³ საქ. 1659, ფურ. 13—16.

⁴ იქვე, ფურ. 13—16.



და მოკვლით დამუქრებით აიძულებდა გლეხებს — არ გადაეხადა მაგრა ბეგარა. მაგრამ სოფლელების მიერ მხილებულმა, პირისპირ წაყენების დროს, არ აღიარა დანაშაული; ამავე პირისპირ წაყენების დროს — ბრალდებაზე, რომ ის ხიდზე მიმავალთ თოფს ესროდა, უჩვენა კვლავინდებურად, რომ წყალში ისროდა. ჯერ კიდევ ყოფილ მმართველობის დროს სამეგრელოში, მოკლულმა ბეგანა დგებუაძემ ჩაუმტკრია მას წინა კბილები; აბრალებენ, რომ ის ამ დგებუაძეს უჩვენებდა თავის ჩამტკრეულ კბილებს და ემუქრებოდა, მაგრამ ეს მან გადათქვა. პირისპირ წაყენების დროსვე აღიარა, რომ, თუმცა თავად ბეგან დგებუაძეს თავის ჩამტკრეულ კბილებზე მიუთითებდა, მაგრამ — ხუმრობისათვის, მუქარის გარეშე. [მისი ჩვენებით ის] აკეთებდა თოფის წამალს სამეგრელოში რუსული მმართველობის შემოღებაზდე; მაგრამ სოფლელების ჩვენებიდან ჩანს, რომ თოფის წამალს ისინი თავიანთ სოფელში აკეთებდნენ გასულ წელსაც. დაჭერილია იარაღით ხელში და ბრალი ედება იმაზი, რომ განზრახვა ჰქონდა თავი და ეცვა ხანჯლით. საყოველთაო გაჩხრევის დროს, გამჩხრეკლებმა უჩვენეს, ბოშინაში გამოსჩინდა ამაყი კაცი თავის ამხანგებს შორისო¹.

